

# მ ი ჯ ნ ა

№3 (26) დეკემბერი, 2023 წელი

## დავით აღმაშენებლის დაბადების 1050 წლისთავი



„დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი,  
საუკნოდმცა არს ხსენებაი მისი, ამინ: დავით“.

„იჳით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობის“  
ისჯორიყოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი  
„მას უამს იყო ჳასახიო: ივ-(16) წელსა.  
დავით IV გამეფებულა 1089 წელს, აქედან  
ცხადია, რომ იგი 1073 წელს უნდა დაბადებულყო.“



# მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 3 (26), ნოემბერი, 2023


დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
ჯემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



---

---

# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>კლასიკა</b>	<b>ბიორგი სიჭინავა</b>
	თორნიკე ქავშბაია ..... 59
<b>ივანე ჯავახიშვილი</b>	<b>პუბლიცისტიკა</b>
მეფე დავით აღმაშენებელი ..... 3	
<b>პოეზია</b>	<b>ლავა გვასალია</b>
	ხუტა პაჭკორია – ექიმი და შემოქმედი... 66
<b>ჯემალ შონია</b>	<b>თარგმანები</b>
ლექსები ..... 8	
<b>პროზა</b>	<b>ბარტოლდ პრესტი (პერმანია)</b>
	ლექსები ..... 69
<b>ლავა გვასალია</b>	<i>მთარგმნელი თორნიკე ქავშბაია</i>
ჯოდო ..... 11	
<b>მეცნიერება</b>	<b>რუსულენოვანი მწერლობა</b>
<b>ზურაბ ხასანია</b>	<b>ჯემალ შონია</b>
ვაჟა-ფშაველას მსოფლ- მხედველობისათვის ..... 21	ლექსები ..... 80
	<i>ქართულიდან თარგმნა ეთერ აგარონოვამ</i>
<b>კახა ქაცვანია</b>	<b>ეთერ აგარონოვა</b>
სუიციდური ცივილიზაციის პერიპეტიები... 33	პროზა ..... 83
<b>მურმან ზაქარაია</b>	<b>ვალენტინა გვილავა</b>
„ბჟა“-რძეს და „ბჟა“-მზეს ეტიმოლოგიის საკითხისათვის ..... 36	ლექსები ..... 86
	<b>იგორ ავანესოვი</b>
<b>კრიტიკა</b>	პროზა ..... 89
<b>ჯემალ შონია</b>	<b>რაისა მუზიჩენკო</b>
აფხაზეთის ქართული მწერლობის მატიანე ..... 45	ლექსები, პროზა ..... 93
<b>ლევან ჯინჯისაძე</b>	<b>გახსენება</b>
რევაზ ოკუჯავა (შემოკლებით) ..... 47	ხუტა პაჭკორიას ხსოვნას ..... 97
	ჩვენი თანაგრძნობა ..... 97

დავით აღმაშენებლის დაბადების 1050 წლისთავი

## ქუე დავით აღმაშენებელი



**დავით აღმაშენებლის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა. გამეფება და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება**

როგორც უკვე აღნიშნული იყო, გიორგი II-მ თავი დაანება მეფობას და „მარტოდ შობილსა“ შვილს დავითს „*თვთ მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა*“. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი „მას ჟამსა იყო ჰასაკით: ი ვ – (16) წლისა, ხოლო ქორონიკონი: – ტ თ (309). მაშასადამე, დავით IV გამეფებულა 1089 წელს და ტახტზე ასვლის დროს თექვსმეტი წლის ჭაბუკი ყოფილა. აქედან ცხადია, რომ იგი უნდა **1073 წელს დაბადებულიყო.**

დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანა თურქების თარეშისაგან მოქანცული იყო, „მოოხრებულ იყო ქართლი“ ისე, რომ, მემამულის სიტყვით, „*თვი-ნიერციხეთასა სადმე არ იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა*“. ამასთანავე „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხეთი ყოველი, სამშუილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს“. მხოლოდ „თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი ქვეყანა მათი ლიპარიტს“ ეჭირა და საქართველოს „მეფეს დავითს წინაშე იყვს რეცა ერთგულად“. რაკი ქვეყანა აოხრებული იყო, ქართლის ჭალაკე ირემთა და ეშუთა მიერ“. ამასთანავე ქართლში თურქები დაძრწოდნენ, ხოლო „ზამთრისავე

მონვენისა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დილუამს ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი“. ამიტომ, როდესაც დავით აღმაშენებელი გამეფდა, „მაშინ საზღაური სამეფოსა“ აღმოსავლეთით ნამდვილად თითქმის მარტო „მთა მცირე ლიხითა და სადგომი სამეფო *წალულისთვის*“ იყო, ხოლო ამაზე შორს აღმოსავლეთისაკენ, მეტადრე სადაც ჭალაკები მოიპოვებოდა, ცალკე ნადირისაგან, ცალკე მტრისაგან საშიში იყო და ისე არავინ ბედავდა ჩასვლას, „ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მხედართა მიერ მოინახიან და მაშინლა ჩამოვიდიან ვაკესა“.

ამას გარდა, თბილისის საამიროს და თრიალეთს გარდა, მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო მათ ეპყრათ და თავისუფლად





დანავარდობდნენ; მოახლოვდებოდა თუ არა შემოდგომა, „სთუელთა“ თურქები „ყოველითა ფალანგებითა მათითა“ და ხარგებითა, აუარებელის წვრილფეხა და სხვილფეხა საქონლით „ჩამოდგიან გაჩიანთა პირთა, ყოველთა ამათ მუნერთა ადგილთა საზამთროთა“, სადაც ზამთარში მშვენიერი საძოვრები და სანადირო მოიპოვებოდა და ყველაფერი უხვობით იშოვებოდა; ხოლო გაზაფხულის დამლევს საზაფხულოდ სომხეთის მთებში მიდიოდნენ და იქაურს გრილს ადგილებში ცხოვრობდნენ. აღმოსავლეთი საქართველო გაოხრდა და მოიჭამა თურქთაგან.

ესოდენ დაუძლურებული სამეფო ერგო დავით აღმაშენებელს და თავდაპირველად გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომების შეგროვებას შეუდგა; მან „ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ შემოკრიბნა სადმე დამთომილნი“; ნელ-ნელა „სოფელთავეცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“, ქვეყანა დაშოშმინდა და მოეშენა. ამასობაში ოთხმა წელიწადმა გაიარა. „ამას შინა გარდავიდა წელიწადი ოთხი, მოკუდა სულტანი მალიქში“ და თურქთა ძლიერებაც ამიერთაგან თანდათან სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მალიქმა, ანუ მელიქმაჰ I მოკვდა 1092 წელს, ხოლო დავით აღმაშენებლის მეფობის 4 წელიწადი 1093 წელს შესრულდებოდა. მამასადამე, 1093 წლამდე დავით მეფე საქართველოს მოშენებისათვის და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნავდა. ძლიერი სულთანის სიკვდილს საქართველოში მშვიდობიანობის დამყარებისათვის ხელი უნდა შეეწყო. ხოლო თურქეთის თანდათან დაუძლურება საქართველოს დიდებული მეფის მოღვაწეობას ვეღარ შეაფერხებდა. როდესაც გარეშე მტერი ზურგს არ უმაგრებდა, მაშინ შინაური ურჩი გვარიშვილებიც საშიშარნი არ იყვნენ. ამავე 1093 წელს „ლიპარტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკჳდა წინაშე მისსა“, იმიტომ რომ, თუმცა „ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულობა და სიძულვილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითაო“, ამბობს მემატიანე.

დავით აღმაშენებელი თავის მამასავით სუსტი ხასიათის კაცი არ იყო, რომ მას ლიპარტის ორჭოფობა „წყალობით დაეფარა“. რაკი მეფე დარწმუნდა, რომ არ იქნა და არ გასწორდა

იგი, „ინება განურთა მისი, ამისთჳსცა პერობილ ყო იგი ჟამსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე“. ახლა კი ლიპარტმა მოინანია და მეფეს შუამდგომელნი მოუგზავნა; მეფემ შეინყნარა თხოვნა, დიდხანს აღარ დასტოვა საპერობილეში და „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ განუტევა“; ამასთანავე არც თანამდებობა ჩამოართვა. მაგრამ ლიპარტმა თავისი სიტყვა და ფიცი მაინც ვერ აასრულა, ისევ ორგულობა დაიწყო, მაშინ კი მეფე დარწმუნდა, რომ ლიპარტს ვერაფრით მოარჯულებდა და როგორც „კუდი ძაღლისა არა გენემართების“ და „არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, ისე იგი თავისას არ მოიშლიდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა „მეორესა წელსა“ ანუ (1093+1) 1094-5 წელს „კუალად შეიპყრა, ორ წელ პერობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნა“. მამასადამე, მეფეს ლიპარტი საპერობილეში 1096-1097 წელს ჰყოლია და 1097 წელს საქართველოთგან განუძევებია. დავით აღმაშენებლის ამგვარი მტკიცე და გარკვეული მოქმედება ურჩი დიდგვარიანი მოხელის წინააღმდეგ უეჭველია სხვებისათვისაც კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო. საქართველო ეხლა კი ძლიერი და ნიჭიერი პიროვნების ხელში ჩავარდა. მისი მოღვაწეობის ნაყოფიერებას, როგორც აღნიშნული იყო, იმ დროისათვის დამკვიდრებული პოლიტიკური მყუდროებაც ხელს უწყობდა: მაჰმადიანობა აღმოსავლეთსა და პალესტინაში ეცემოდა; „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალემი და ანტიოქიაო“, ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, და მართლაც ანტიოქია და იერუსალიმი ფრანგებმა 1097 წელს აიღეს. მაჰმადიანთა იმდროინდელი დაუძლურება სპარსეთის სელჩუკიანთა თურქებს უფრო დაეტყოთ. ხოლო ამავე დროს გარეშე მტრის შემოსევისაგან მოსვენებულმა საქართველომ ზურგი გაისწორა, „მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი და არლარა მისცა სულტანსა ხარაჯა“. მამასადამე, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა 1097 წელს მომხდარა; რაკი ამ დროითგან მოყოლებული საქართველომ სულთანს ყოველწლიური ხარაჯის ძლევა მოუსპო, ამასთანავე გაჰქრა აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური დამონების ის ნიშანიც, რომლის დადებაც თა-

ვის დროს ბაგრატ IV ისე თაკილობდა. მაგრამ ამ დროის შემდგომ საქართველომ მარტო თურქთა ხარაჯობას კი არ დააღწია თავი, არამედ მათი დაუპატიჟებელი სტუმრობისაგანაც განთავისუფლდა და ამიერიითგან „თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლსა“.

რაკი თურქების თვითნებობა ალაგმული იყო, დავით აღმაშენებელს შეეძლო სამეფო საზღვრების გაფართოებაზე ეფიქრა. მარტო კახეთი და თბილისის საამირო-ლა იყო სრულიად საქართველოს სამეფოს გარეშე და მათი შემოერთება-ლა აკლდა. დავით აღმაშენებელმა კახეთით დაიწყო. ამ დროს იქ მეფედ იჯდა კვრიკე. დავითმა შეურჩია დრო და „ნარულო კვრიკეს ციხე ზედაზენი, ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი. მაშასადამე, ეს ამბავი მომხდარა 1101 წელს. „შემდგომად წელიწადისა ერთისა“, ანუ 1102 წელს, მიიცვალა კვრიკე მეფე და მის მაგიერ მეფედ დასვეს მისი ძმისწული აღსართან, „რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშანნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და ყოვლად უმეტრად უსამართლო“. როდესაც დავით აღმაშენებელს ასეთი მოწინააღმდეგე ჰყავდა, კახეთის საბოლოო შემოერთება, რასაკვირველია, ძნელი არ იქნებოდა.

მაგრამ სანამ ამის განხორციელებას შეუდგებოდა, მეფემ მთელი თავისი ყურადღება საეკლესიო საქმეებს მიაქცია და დიდი ცვლილება მოახდინა, რომლის შესახებაც საუბარი დანვრილებით ქვემოთ იქნება.

### **ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის, კახეთ-ჰერეთის შემოერთება**

რაკი საქართველოს საეკლესიო ცვლილება სასურველად განხორციელდა და ეპისკოპოსებად ღირსეული და არა ორგული, დიდგვარიან აზნაურთა მიმკერძობელი, მღვდელ-მთავრები იყვნენ, დავით აღმაშენებელს უფრო გულდამშვიდებით შეეძლო საქართველოს საბოლოო გაერთიანებას შესდგომოდა. მეფემ კვლავ კახეთს მიაქცია თავის ყურადღება. ამას გარემოებაც ხელს უწყობდა: კახთა მეფე აღსართან „შეიპყრეს ჰერეთა დიდებულთა არიშიანმან... და ბარამდა დედის ძმამან მისმან ქავთარ, ბარამის ძემან და მოსცეს მეფესა“ დავითს. დავით აღმა-

შენებელმა ამით ისარგებლა და ჰერეთ-კახეთი საქართველოს შემოუერთა. ამას, როგორც ჩანს, განძის პატრონის წყრომა აღუძრავს და ომი ატეხილა. ბრძოლა ერწუხში (თუ ერტოხში) მომხდარა და ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგედ ყოფილან „სულტანისა იგი სპანი ურიცხუნი, ათაბაგი განძისა და... კახთა ქუეყანისა ერი მტერთავე თანა გარემოდგომილი“. თუმცა დავით მეფის მოპირდაპირედ შეერთებული მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო, მაგრამ თავგანწირულის ბრძოლითგან იგი მაინც ძლევამოსილი გამოვიდა. ერწუხის ხეობაში ხელ-ჩართული ომის დროს ისეთი საშინელი სისხლის ღვრა ყოფილა, რომ თვით მეფის ტანისამოსი მტრის სისხლით იყო მოსვრილი, ხოლო „მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს (მეფეს) და მეოთხესა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“. გამარჯვებულმა მეფემ საბოლოოდ დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და „ნებიერად აიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“ და „მიჰვიანა წყალობა ყოველთა ზედა მკვდართა ქუეყანისათა“. რაკი ეს ამბავი გელათის მონასტრის აგების უწინარეს მომხდარა, ხოლო, როგორც შემდეგ აღნიშნული იქნება, გელათის აშენება 1106 წელს იყო დაწყებული, ამიტომ ცხადია, რომ ერწუხის ომი და კახეთ-ჰერეთის შემოერთება 1104-1105 წელს უნდა მომხდარიყო.

ჰერეთ-კახეთის დაპყრობის შემდგომ დავით აღმაშენებელმა შინაურს საკულტურო მოღვაწეობას მიჰყო ხელი, რომლის შესახებაც განსაკუთრებით ქვემოთ გვექმნება საუბარი, და რამდენსამე წელიწადს, როგორც ეტყობა, სამხედრო მოქმედება შეუჩერებია, საიმისო თვალსაჩინო ლაშქრობა მაინც არა გადაუხდია რა.

### **1110-1118 წლების ბრძოლები**

ეხლა საკუთრივ საქართველოთგან შემოუერთებელი-ლა იყო მარტო „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი“, რომელნიც „ჰქონდეს თურქთა“. ქართველთა მთელი სამხედრო ხელოვნება და ნიჭი სწორედ ამ ქვეყნის დაბრუნებისათვის უნდა შეეღიათ. ასეც მოხდა სწორედ, თრიალეთი და კლდეკარი მაშინ ეჭირა გიორგი მწიგნობართ-უხუცესისა და ჭყონდიდელის დისწულს თევდორეს, როდესაც

„მეფე გარდავიდის აფხაზეთად“ და მახლობლად არ ეგულებოდათ, უფრო უდარდელად იყვნენ, „უმცრო-რე ეშინოდეს თურქთა და მათთა ციხოვანთა“; და ქართველებმა მტრის შესაცდენად სწორედ ასეთს სამხედრო ხერხს მიჰმართეს: „მეფე გარდავიდა“ ლიხთიმერეთს, ხოლო ამავე დროს ამერეთში ქართველები სამზადისს შეუდგნენ, „შეკრებეს გიორგი ჭყონდიდელსა და მნიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულელი და ივანე ორბელი და სიმარჯუით მოიპარეს სამშუილდე“. ასე ადვილად და ხერხიანად მოაწყეს ეს საქმე. „ოდეს სამშუილდე და ძერნა აიღეს (ქართველებმა), ქრონიკონი იყო სამას ოც და ათი“ ანუ 1110 წელს.

სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ძლიერი ციხე იყო და სამხრეთით ტფილისს ამაგრებდა; სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე მიდიოდა; ამას გარდა, როცა ქართველები ჩრდილოეთით და დასავლეთით მიმდგარნი ტფილისის საამიროს სამხრეთითგანაც შემოერთდნენ, მაშინ ტფილისის აღება ისე ძნელი აღარ იქნებოდა. თურქებსაც ამ ამბავმა თავზარი დასცა: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევენს და ღამე მეოც იქნეს“. ქართველები ამ მოულოდნელმა გარემოებამ ძალზე გაახარა და მტრისაგან მიტოვებული ციხეები სიამოვნებით „ჩუენ თანა მოითუალნეს“. ამგვარად, 1110 წელს საქართველოს შემოუერთდა ქალაქი სამშვილდე და სომხითის ციხეების მომეტებული ნაწილი.

თურქები თავის დამარცხებას, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ დასთმობდნენ და ამიტომაც იყო, რომ შურის საძიებლად „მოვიდა ძალი სულთნისა და ყოველი თურქობა კაცი ვითარ ასი ათასი“. ისინიც უჩუმრივ, „უგრძნეულად“, შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მაინც შეუტყვეს და დავით აღმაშენებელს, რომელიც მაშინ ნაჭარმაგვეს იდგა, მოახსენეს. მეფემ ეს ამბავი რომ შელამებისას, „მიმწუხარ“, შეიტყო, დაუყოვნებლივ იმ 1500 ჯარისკაცითურთ, რომელიც-კი იმჟამად შეესწრო იქვე, თრიალეთისაკენ გაემგზავრა და მთელ ღამეს გზაში იყო. ცისკარს თურქების მენინავე რაზმიც მოვიდა. ისინი არ მოელოდნენ, რომ ქართველთა მხედრობა მათ საბრძოლველად მზად დაჰხვებოდა „იქმნა

ბრძოლა ძლიერი მას დღესა“; თუმცა ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს: „მიდრეკასა დღისას მიდრკეს სივლტოლად“ თურქებიც და გაიქცნენ. თურქების მრავალრიცხოვანი მხედრობის გაქცევა იმდენად გასაოცარი და გაუგებარი იყო, რომ ქართველებს არა სჯეროდათ, აქ რაიმე ვერაგობა არ იყოსო; „მეფე და სპანი მისნი ესეოდენ ურწმუნო იქმნეს, ვიდრემდის არავინ სდევნა ყოვლა, რამეთუ ხვალისა ომი ეგონათ“ და ფრთხილობდნენ. ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო ალბათ 1110-1112 წლებში.

რაკი თურქები ასე თავზარდაცემულები იყვნენ, გიორგი ჭყონდიდელმა და მნიგნობართუხუცესმა, ალბათ დავით აღმაშენებელთან შეთანხმებით, კვლავ განაგრძნო თავისი სამხედრო მოქმედება და ხერხი: „მეფისა მუხნარსა ყოფასა „მან მტერს რუსთავიც წაართვა. ეს ამბავი მომხდარა 335 ქრონიკონს, ესე იგი 1115 წელს.

თუ აღმოსავლეთ-სამხრეთით თურქებს ქართველებისა უკვე ეშინოდათ, ეხლა დასავლეთის მხრით მოიტანეს იერიში და „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი“; მათ იმედი ჰქონდათ, რომ უვნებლად იქმნებოდნენ: ტაოს „ზამთრისა სიფიცხესა და მათთა სიმაგრეთა მიენდვენს“. რომ მტერი მოეტყუებინა და გაეთამამებინა, დავით აღმაშენებელმა აქაც თავის ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართა: „თჳთ ქუთაისს გარდვიდა“, რომ ამგვარად თურქები „უეჭველ“ ეყვნა, ხოლო საიდუმლოდ დანიშნულ ვადისათვის „სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა“. თებერვალში 336 ქრონიკონს ანუ 1116 წელს მეფემ მესხებსა და ქართლებს აცნობა, რომ დანიშნულს დღეს „პაემანსა“ კლარჯეთში დახვდომოდნენ. ხოლო თვითონ დანარჩენის სპითურთ ფრთხილად „ჭოროხის პირი წარვლო“. ორივე ქართული მხედრობა ერთად შეიყარა და უდარდელს მტერს უცბად, „უგრძნეულად“, თავს დაესხა; ქართველებმა თურქები დაამარცხეს და დახოცეს; ქართველთა ლაშქარს მრავალი საქონელი და დიდძალი ნატყვენავი დარჩა.

იმავე 1116 წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ასული კატაა საბერძნეთის მეფის რძლად „გაგზავნა“, ხოლო ამაზე უწინარეს „პირველ ამასსა“ თავისი უფროსი ქალი თამარი შირვან-შაჰს მიათხოვა. ორსავე შემთხვევას საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობაზე



ძალიან კარგად უნდა ემოქმედა: შირვანის და საბერძნეთის მხრით საქართველო უზრუნველყოფილი იქნებოდა და დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ძალ-ღონე სამეფოს შინაური საქმეებისათვის, თურქების სრულად განდევნისა და საქართველოს საბოლოო გაერთიანებისათვის მოეხმარებინა. მართლაც „მეორესა წელსა“, ანუ 1117 წელს მეფემ „დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასად და შოთა და აღილო ციხე გიში“; თავისი შვილი უფლისწული დემეტრე ლაშქრითურთ შირვანს გაგზავნა და მან აიღო ციხე ქალაძორი.

ზემოაღნიშნული ამბის „მეორესა წელსა“, ესე იგი 1118 წელს ბზობას მეფე დანუჯით გაემგზავრა რაჭის პირს; ნაჯიდურში მას მოახსენეს,

რომ ბეშქენ ჯაყელი თურქებმა ჯავახეთში მოკლეს და ამის გამო მეფეს თურქებზე გალაშქრებას უშლიდნენ; მაგრამ დავით აღმაშენებელი ამ სამწუხარო შემთხვევამაც ვერ შეაშინა და მაინც თავისი არ დაიშალა, დაესხა რაჭის პირს მდგომ თურქებს და ზოგი დახოცა, ზოგი ტყვედ წამოიყვანა.

ამავე 1118 წელს მეფემ „აღილო სომხეთის ციხელორე“. „მაშინვე“ 1118 წელს „ივლისსა“ დავით აღმაშენებელმა აგარანიც დაიპყრო. საქართველო იზრდებოდა და ფართოვდებოდა; მტერი თანდათან უკან იხევდა და ძლევამოსილს მეფეს დაპყრობილს ქართველთა მიწა-წყალს უთმობდა.

(ნაწყვეტი ალებულია წიგნიდან „საქართველოს იმედი“, ნ. – 1, თბ., 2014)



## ჯემალ შონია

### ეს საქართველო მუდამ თან ახლავს

ბნელში კვესივით უცებ იელვებს  
ფიქრი და უცხოს დახევს სურათებს,  
ტიბეტის მთებს თუ კორდილიერებს  
რალაც ერთ ნამში ახვესურეთებს.

სამშობლო შორეთს მომიახლოებს,  
დავინყებულად დიდხანს ჩათვლილებს,  
მაიას ტომის სამოსახლოებს  
თვალწინ იოლად გააშატილებს.

ქართველ კაცს ვხედავ ყველა გონიერ  
უცხოში, მინდა, ყველა დავიცვა  
და მოტყუებულს ასე მგონია,  
საქართველოა ეს დედამინა...

და სინამდვილეს ვხვდები ესოდენს,  
მსურს მისი ნათლით გადაფიფქება:  
საქართველო რომ არ არსებობდეს,  
ეს დედამინაც აღარ იქნება.

დიახ, ეს ფიქრი ბნელში გაკვესავს,  
იმედის შუქს ჰფენს სახლს და ნასახლარს,  
რომ უცხოეთში ნასულ ქართველსაც  
ეს საქართველო მუდამ თან ახლავს.

სადაც ვართ, მისი მადლი დაგვიცავს,  
მისით ვსუნთქავთ და ვიბრძვით, მივლელავთ  
და მგონია, რომ ეს დედამინაც  
საქართველოსთვის გაჩნდა პირველად.

ბნელში კვესივით უცებ იელვებს  
ფიქრი და უცხოს დახევს სურათებს,  
ტიბეტის მთებს თუ კორდილიერებს  
რალაც ერთ ნამში ახვესურეთებს.

### უკრაინული დახატა ხატა

უკრაინული დახატა ხატა  
და მიახატა ხატაზე ხატი...  
იქვეა ეზო – ძალლი და კატა,  
ხბო და თიკანი, იხვი და ბატი...

და, რა თქმა უნდა, იქვეა დედა,  
იქვეა ბავშვიც – ხატის მხატვარი;  
იმათ თვალეებში ლურჯ ზეცას ხედავ,  
ფუნჯის ფერებშიც მზეა ჩამდგარი.



შენც ამ ფერადი იმედის გჯერა,  
სხვაზე უმეტეს მოგხიბლა რამაც:  
ყველას ჭიშკრისკენ გაურბის მზერა  
და გამარჯვებულს მოელის მამას!

### ჩვენი სიცოცხლე

საით მიილტვის მთელი სამყარო,  
საით დაძრულა ვარსკვლავთ მენყერი,  
გინდა ასნიო, გინდა დახარო  
თავი, ამ მიწას ვერ გაექცევი.

ფეხი დაუცდა და გადავარდა  
ვილაც მიწიდან, ბედის მლახავი,...  
კვამლისფერ მონებს სულ სხვა დავართა  
მიჰყავთ სიცოცხლეს – მზეთუნახავი.

ხოლო თვითონ მზის ფრენენ ისრები  
იქითკენ, სადაც ბნელი ღელავდა;  
სამყაროს ველზე შენც გაიჭრები  
შენივ სიცოცხლის საძებნელადა.

მოუბრუნდები მერე დარდებად  
მას, დედამინა რასაც შევარქვით,  
რადგან, მიწაზე რაც ეკარგებათ,  
ვერ პოულობენ სხვაგან ვერაფრით.

ჩვენც აქაური ღვინო დავისხით,  
მიმოვაპკურეთ მიწას კახური,  
რადგან გვშორდება ნებით თავისით  
ჩვენი სიცოცხლე მზედანახული.

**არ მახსენდება**

ვერ ამოკერავს ეს დრო ნატყვიარს,  
ვერ გაამთელებს გულის ნაქსოვებს;  
ყველა ტკივილი თუმცა მატყვია, -  
ამდენ ტკივილს რა დაიმახსოვრებს.

აკრიფეს სხივი ჟამთა ელდებმა,  
მზე მომაცილეს, ჩემი ერთგული...  
და ახლა ერთიც არ მახსენდება  
დღე – უტკივილოდ გატარებული.

**თავსხმები მოვარდებიან**

მოვარდებიან თავსხმები  
ღელვებითა და ელდებით  
და ჩვენც ნვიმების თანხლებით  
ერთმანეთს შევასველდებით.

მოიხსნის ღრუბლის სიმძიმეს  
ქარი ფოთლების ტარებით...  
ვინვიმებთ... და რომ ვინვიმებთ,  
ერთმანეთს გავედარებით.

რაც შენმა გულმა ნამგვარა,  
უჩემოდ ველარ ისვენებს  
და ვენაფებით ამგვარად  
მზისა და მთვარის სისველეს.

დაე, ცის თალიც გარანდოს  
იმ ქარმა ჟრჟოლის ავსებით...  
ინვიმებს და ჩვენც არასდროს  
ერთმანეთს არ შევაშრებით.

**ისე მოხდა...**

ისე მოხდა, რომ ჩემი თავიდანაც გავექრი,  
როგორც ნისლი გაედინება ნისლიდან,  
თითქოს დახატული ვიყავი ფანქრით  
და ვერ ვხვდებოდი, თუ რა საშუალებით ვინ მშლიდა.

ისე მოხდა, რომ ჩემი სახელიც არ მერქვა,  
მამამ რომ დამარქვა და დედა რომ იფიცავდა,  
ჟამთა რიყეზე ვეგდე რამე ქვად,  
ახლოს ორმოში ჩასადებ იმ ფიცართან.

ისე მოხდა, რომ ახალი სახელით  
არავინ მიცნობდა,  
ძველი უკვე არც მე მახსოვდა  
და სუნთქვა გადაყვითლებულ მინდორთა  
ცელისპირზე ერთო სიმწვანის აკორდად.

ისე მოხდა, რომ ფანქრით ნანერის შემდეგ  
ქვაზე ამოკვეთილიც ნაიშალა  
და ან უსახელო ლოდზე უნდა შევდგე,  
როგორც არავინად ყოფნის კაემანი...

**ცა რომ დატოვონ...**

ნუგემის შველას ცას ვევედრები,  
ბნელს ძალღებავით როცა მიუსევს  
ღამე და მაშინ ჩუმი ფრენდები -  
ნატვრები ციდან მწერენ ნიუსებს.

ხედავენ, გული დანალვლიანდა,  
როს სიმარტოვის ქარში შემცივდა,  
მაგრამ რალა ქნან, – ნატვრა ჰქვიათ და  
ვერ ჩამოდიან შორი ზეციდან.

ცა რომ დატოვონ, აღარ ერქმევათ  
მოციმციმე და ტკბილი ოცნება  
და ნიავევით მათი შეფრქვევა  
ღამის ჯებირებს ვერ გამოსცდება.

ცის ანარეკლი გდია გუბეში,  
ნამდვილ ცაში კი ნატვრა ნავარდობს  
და მაღლით მათოვს მხოლოდ ნუგეში,  
მათოვს მუდამ და მშველის არასდროს.

**...და მზის ჩასვლიდან**

მზე იძირება შორი გემივით,  
ველარ გაუძლო ბინდის ცუნამებს,  
და მზის სხივები გადარჩენილი  
ზღვაოსნებავით წყალში ცურავენ...

ნამოუყვია ღრუბლის აისბერგს  
თავი და უმზერს გემის გასაჭირს;  
ზღვა გალუმპულ მზეს გულზე დაიბნევს  
და ჰორიზონტის ზონარს გადაჭრის...

და ვარსკვლავებით შეკრულ საკინძეს  
მყისვე შეიხსნის სივრცე თვითონვე;  
კვლავ ტივტივებენ წყლის ზედაპირზე  
სხივები და კვლავ შველას ითხოვენ...

და ველარ ვხვდებით ახლა სრულებით,  
რომ ბუნების და უფლის განგებით  
ჩვენ ვართ იმ სხივთა მცხრალი სულები  
და მზის ჩასვლიდან ცაში ვსახლდებით...

**შენში...**

ეს აბორგება მოჰგავს ცუნამებს  
და ზღვას ამსგავსებს სხეულს ვნებიანს...  
შენთან გემები არ დაცურავენ,  
რადგანაც შენში იძირებიან.

გემი კი არა, ცაც კი ტორტმანებს,  
გამომწყვდეული მაცდურ თვალეში,  
და არც ადარდებს ჩუმ და შორ მთვარეს,  
მეც რომ შენი ზღვის ფსკერზე დავეშვი.

შენში ამგვარად ის ცა ვიპოვე,  
ისიც ჩემსავით ჩამოძირული,  
ჩემი თავისთვის ვხდები თვითონვე  
ცივი ცეცხლი და ცხელი ყინული.

ასეთ ბორგვას და ციებ-ცხელებას  
ენირებიან ჩემი ნავები,

თურმე ამ ზღვასაც სურს დასველება  
და სველი კოცნით შენც ინამები.

მეც, შენი ღელვა რომ განმეცადა,  
შევეშვი ქართა მინდვრად თარეშებს;  
შენში ვარ, შენში არის ზეცაც და  
მალლა მთვარე ჩანს ზეცის გარეშე.

**ახლოს იქნება...**

თევზივით ლალი და ხალასი ხარ,  
ჯერ არ იკარებ ფიქრებს, შმორიანს;  
აყრილი არის ყველა ხარიხა,  
ახლო მინდვრამდე მაინც შორია...

ხედავ სარკმლიდან, – როგორ კრძალავენ  
მორიგს, ამ მინდორს ვინაც ეწვია...  
ჩამდგარი ქარის ღია ძარაზე  
აგდია სევდა – სველი მზეწვია...

ჯერ არ დამდგარა ბოლო ზამთარი,  
არ მოვარდნილან ბოლო ის დრონი,  
შენაც დადიხარ, მზის რძით დამთვრალი,  
შორია ჯერ ეს ახლო მინდორი...

მერე კი... მერე ვიტყვით, – დაობდა  
თევზიც, წყალიც და მზის გაფიქრებაც...  
და თვით უშორეს სასაფლაოთა  
მინდორიც ძალზე ახლოს იქნება.





## ლამა გვასალია



ტყეში მარტო დადიოდა. მერე რაო, ტყეში სიარული რა გმირობა არისო, – იტყვიან, და მართლებიც იქნებიან, რამდენ ვინმეს უვლია ტყეში მარტოს, თუნდაც უღრანში. დაქუფრულ, ნადირის მზერით გამოთვალებურ ტყეში. როცა მიდიხარ და ცალი ფეხი უკან გრჩება, იმის შიშით, წინ, ამ უშელავათო უღრანეთში აუცილებლად გამოჩნდება შიშისმომგვრელი რამ და გულსა და სხეულს ერთნაირად ამოგივლებს კანკალის ცივ ოფლში. მიდიხარ მაინც, მიდიხარ ადამიანური ინტერესის დასაკმაყოფილებლად და იმ უნიათო გრძნობის დასამარცხებლად, რომელიც შენს ვაჟკაცურ შემართებას ტკივილად მოსდებია. ჰო, შიშის დასამარცხებლად. დიდი და ფართო თვალები აქვს შიშს, კიდევ: ძალ-ღონისა და რწმენის დამშრეტი სამსალა, რომ მოაშთობს და მოგუდავს ისეთი. თუ შიშს სძლია კაცმა, სიკვდილსაც სძლევსო, – ნათქვამია და ასეცაა.

რა კარგად უთქვამს ჩვენს დალოცვილ წინაპარს: „უშიში, ვითარცა უხორცო“-ო, ე.ი. ხორცია მშიშარა, ტკივილის, სიცივის, შიმშილის, კრთომისა თუ სხვაგვარი წუხილ-ვაების ვერამტანი, თორემ სული სტამბოლის კაჟივითაა, მტკიცე და შეუვალი. შემფოთება, აღელვება და სხვა რამეები კი შეუდგება ხოლმე, მაგრამ არ ეპუება ბოლომდე და მტკიცობს. სულია მაინც, არა მხოლოდ ამქვეყნიური, არა-

## ჯოდო

*სიკვდილს თავისი სილამაზე სდევს,  
მთავარია სიამაყემ არ დახაროს თავი  
და არ მოიხაროს მუხლი!..*

**(ჩემი დიდი ბაბუების ანტონ და ჯოდო  
გვასალების ხსოვნას ვუძღვნი ამ მოთხრობას)**

მედ მარადიული, იმ სოფელშიც წამსვლელი და თუ მისთვის ყველაზე დიდი სენი – „მოკლეობა“ არ დაემართა, ვერაფერს უზამ და ვერც დაემუქრები, თუ თავს გამოიდეგ და ვერ შეეპუები, მერე რა, მოგმორდება, ჰო, არ გინდა და ნავა. აბა შენს იწილო-ბინილოსა და ღრიანცელებს ხომ არ გადააყოლებს საკუთარ სიფრიფანობასა და უანკარეს სიმსუბუქეს.

აი, სულმოკლეობა კი, ცუდია მეტად, ცუდია კი არადა, შემზარავიც. ეს ისეთია, ხორცს სარკომა აღმოუცენდეს, მოურჩენელი ავადობა და გამოხრას და გამოჭამოს ისე, რომ საფლავის ჭიებიც პირში ჩალაგამოვლებული დატოვოს. მოკლედ, სულია ყველაფერი და ხორცი, ანუ სხეული მთელი მისი მოცემულობითა თუ შეუხედავ-შესახედაობით ჭურჭელია ამ ღვთაებრივად მარადიული რამისა.

შიშს მოვაცოლეთ ეს ყველაფერი და ჯოდოს, რომელსაც თავისი ფიზიკური სიდიდისა და სულიერი სიმტკიცის, მასთან მოჭარბებული სიკეთისა და ღირსებაში გადაზრდილი დიდბუნევენობის გამო, დიდ ჯოდოსაც ეძახდნენ. არაფრისა ეშინოდა. უშველებელ სხეულში უშველებელი, სიკეთით მოვარაყებული გული უფეთქავდა, ყველას პატრონი და მწე გახლდათ. ძობა ძაძუას უთქვამს მისი დასაფლავების დღეს, მონადირეების მიერ საგანგებოდ ამოთხრილ და შენიღბულ ორმოში ჩავარდნილ

მამალ გავეშებულ მგელს ჩაუხტა, თვალის და-ხამხამებაში დაახრჩო, პირი შუაზე გაუხლიჩა და ორმოდან ლეკვივით ამოისროლაო. მთელს ოდიშ-საბედნიანოში გამორჩეულ და დაუმარ-ცხებელ ფალავანს დემ ჩიჩუას რომ დაეჭიდა დადიას ქალაში, სულ ჰაერში ატრიალ-ათამამა, მერე გუდასავით მოიქნია და ისე დაანარცხა ძირს, ბეჭის ამოგდებას და ნეკნების მოტეხი-ლობებს ვინ ჩიოდა, სული ძლივს აიყოლიაო სანყალმა.

ხუთი ვარგისიანი კაცის მტევნის ტოლი მარტო ერთი ტორი ჰქონია, ხელებს რომ შე-ატყუებდა ერთ დოქ წყალს იგუბებდა შიდო.

ასეთ დევკაცს აბა რისი უნდა შინებოდა, კომკივით ქედუხრელი დაიარებოდა, შეკრული და შეუვალი. საბირდაბირე ხერხით დასამუ-შავებელი, უმეტესად საოდედ გამოსაფიცრი ხეები გამოჰქონდა ხარკამეჩებშებმული დიდი ურმით, მუხის, კოპიტისა და თელის უზარ-მაზარი მორები. ტყეში მარტო დადიოდა, აბა თავისი უმცროსი ძმა ბუტუტი უჯანოდ იყო და რა ექნა? ჯან-ლონით სავსე ბიჭს ეშმაკეული შეუჩნდა, თუთამის ღამეული მოჩვენებები აუ-ხირდნენ, ფიქრებში ჩაუსახლდნენ და გონება აურიეს. საიმქვეყნოო მიეთ-მოეთი ამქვეყნად დაიმართა და ცას მიაბარა უმანკო სული. და-დიოდა, სვამდა, ჭამდა, მაგრამ ამქვეყნისა არა ეტყობოდა რა. ამაზე დარდმა გული გამოუხრა ჯოდოს. ბევრად პატარა იყო მასზე. იმდენად პატარა, რომ მის უფროს ვაჟზე – გუგუტაზე სამი წლით იყო უფროსი მხოლოდ. დები ვენერა და ლუბაც მისი საპატრონონი იყვნენ.

მამამისი, შეძლებული და რომ იტყვიან – ფეხზე ძლიერად მდგარი კარის აზნაური ანტონი გააკულაკეს წითლებმა, ყველაფერი წაართვეს, მასთან ორი დუქანი, წისქვილი, სამჭედლო, ასევე: ცხენები, ძროხები, კამეჩები. თითო-ოროლა რამ შეარჩინეს, სხვა ყველაფე-რი კოლექტივს მიაკუთვნეს. ჰო, ასე გაანიავა ლენინ-სტალინის ხელისუფლებამ მისი და გერ-გეხეს ნაშრომ- ნაჯაფარი.

მერე გაბოლშევიკებულმა მეზობლებმა „წითლების“ გულის მოსაგებად სოფლის ხის ეკლესია, წმინდა დედა შვილის – კვირიკესა და ივლიტას სახელობისა რომ დაანგრის და ცეცხლს მისცეს, უვაჟკაცია იმ სულმნათ ან-

ტონს, აღმოდებული ეკლესიიდან დიდი ხატი ჩამოუხსნია და გადაუმაღავს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენოდათ იქაურებს, ხომაა ნათქვამი: ეშმაკზე კარგად მეზობელს უჭრის თვალეზიო, და ასეთ საქციელს და უფლისმიერებას ვინ აპატიებდა ისედათ მოძულეებულ და მტრად დაგულეებულ კულაკს, და გადააყოლეს კიდეც. კერძოდ, შურლუა ქარიას დაუბეზლებია, ეგაო, ანტი-სოციალისტია, ღმერთს ეთაყვანება, გა-მოუსწორებელი კულაკია, ვერც განკულაკებამ იმოქმედა და ვერც ვერაფერმა, მაგის მობრუ-ნება არ იქნებაო. ახლა ხატიც გადაარჩინა, ხალხის მტერია და სამიში კაციაო!..

ტყავის გრძელყელიანი ჩექმებითა და ში-ნელის ფართხალა შავი პალტოებით გამონყო-ბილ კაცებს წაუყვანიათ ანტო, იგივე ანტონ გვასალია და მას მერე არავის უნახავს. წავიდა და წავიდა.

ამ დროისთვის ჯოდოს სამი მცირეწლოვა-ნი შვილი ჰყავდა: გუგუტა, თალიკო და ძუძუთა კუკური. ორი ოჯახის რჩენის ტვირთი დასწო-ლია ყმანვილკაცს, სულ რაღაც ოცდახუთი წლის ბიჭს. ამიტომაც დღე და ღამე უსწორე-ბია, ქვრივი დედა და სამი ობოლი და-ძმის, მასთან თავისი წვრილშვილის გადასარჩენად.

იმ დროს თურმე ძვირად ფასობდა საოდე ქყონის, კოპიტისა და თელის მორები. თანაც ყველას როდი შეეძლო ტყეულრანიდან მათი გამოტანა, ჭაობიანი ეშმაკის ველის შემდგომ თუთამოხას ტყეში ხარობდნენ ვარგისი ხეე-ბი. იქ წასვლა და იქიდან მერქნის გამოტანა დიდ შრომასთან ერთად, დიდ ვაჟკაცობასაც მოითხოვდა.

\*\*\*

რა ახლა მოსატანი ამბავია, მაგრამ ვთქვა უნდა მაინც, წუხელ ბაბუა მესიზმრა, თმე-ბი ერთიანად გათეთრებოდა, წვერ-ულვაშიც პირველი თოვლივით სპეტაკად და ფაფუკად დაჰფენოდა. ძველებურად გამართული და არწივივით მზირალი, ეგაა, მარჯვენა ფეხით ძველებურად კოჭლობდა. ეს ფეხიც ერთი უბრალოდ გასახსენებელი შემთხვევის დროს მოიტეხა. მე და ჩემი დები და ბიძაშვილები პატარები ვიყავით, ბაბუამ ყანიდან „გაზ 53“-ით ჩალა გამოიტანა და უშველებელი ზვინი

დადგა. ბიძაჩემი მერაბი ურჩევდა, მამა, ორ ზვინად დავდგათ, ნამეტანი დიდია, რა გაჭირვებაა ცხრაასი კონა ერთად რომ არ დააყენო? – მაგრამ თავისნათქვამა იყო გუგუტა გვასალია, დაიჯინა და მაინც ერთ უშველებელ ზვინში მოაქცია თითქმის ერთი ჰექტარი ყანის ჩალა-ჩალური... ჰოდა, რომ მოუკოკლოზინა თავი ზვინს, და ჩამოსასვლელად კიბე მოითხოვა, ჩემმა დამ ირმამ, თუ მაგარი ხარ კიბის გარეშე ჩამოდიო, ე, მანდ გმირებზე რომ გვიყვები, აბა ტყუილკაცები ხომ არ იყვნენო. ამის გაგონება იყო და ბაბუა, სანამ ბიძაჩემი კიბეს მიადგამდა იმ უშველებელ საჩალეთს, ჩამოხტა...ჰო, ჩამოხტა, ფეხი მოიტეხა და იმ დროინდელი ტრავმატოლოგების „დამსახურებით“ დაკოჭლდა...

ამჯერად, მიუხედავად მისი მუდამ ღიმილიანი დამოკიდებულებისა, უხალისოდ შემხვდა.

– როგორ ხარ, ბაბუ? – მისებურად თბილად გამოსცრა კბილებიდან.

– რა ვიცი, ვარ რა, არამიშავს, უკეთესად მინდა ვიყო, მაგრამ ამისთვისაც მაღლობა უფალს.

– ეს რა უბედურება გემართებათ, ბაბუ, რასაა რომ დაამგვანეთ ქვეყანა, ამდენი კიკინებიანი და საყურეებიანი კაცები სად შეკრიბეთ, რა უბედურებაა?

– მოდაა, ბაბუ, ძალად არავის უკეთებენ, ვისაც უნდა ისინი შვრებიან და იყვნენ, ვის უშლიან. თავისუფალია ყველა თავის არჩევანში.

– კი, მაგრამ თავისუფლებაა ეს, ჭირიმე? – არ ჩერდებოდა ბაბუა. – ან ეს ძაღლისა და კატის კულტი რა სიკვდილია, ნეტავი? შეუბამს საბელი ულვაშებიან, წარმოსადგე კაცს და დაჰყვება კუდში ეშმაკივით ძაღლს. ეამაყება და კაცურ საქციელად მიაჩნია იმ ნკიპურტივით წუპაკის ტარება, მერე დგას და იმის მოსაქმებას უყურებს და ელოდება ამხელა ვირგლა.

– ნუ, რას ვიზამთ ახლა, უვლიან ძაღლებს, თუ იყოლიე, მოუარო უნდა კიდეც, – ვცაღე კვლავ ჩემდროელების დაცვა. ამან გაანინმატა ბაბუა.

– რასაა, რო იძახი, წიე, ეს დაცემულობისა და ღირსებიდან გამოსვლის ნიშანია, როგორ უნდა იკადროს ვაჟკაცმა წუპაკის მოსაქმების

ყურება და ამაზე დროის დაკარგვა? ასეთი კაცი მეომარი ვერ იქნება, ბაბუ, ვერც მამალკაცი და შესაბამისად ლომის ბოკვერებსაც ვერ მიუხელებს იმ თავის კონტაპრუნა ცოლს, ადამინის მაგიერ ძაღლსა და კატას რომ კოცნის და ახარჯავს სიყვარულს.

– აბა არ უნდა უყვარდეს, კაცო, ცხოველი, რასაა რომ იძახი? – ცოტა არ იყოს, გავგულისდი მეც.

– ადამიანივით არ უნდა უყვარდეს და იმის დაძღურელ დრუნჩ-პირს არ უნდა ეტუჩავოს, არ უნდა ეფეროს სულიერივით და საღვთოდ მონიჭებული სიყვარული არ დაახარჯოს უსულს და უადამიანოს!

– რავიცი, აბა, ნეტა ეგ იყოს მარტო სადარდებელი ამ უგემურ სამყაროში.

– ეეჰ, მეგონა გამიგებდი შენ მაინც, გურდღუბიავ, მაგრამ ვერა, ან სხვა სამყაროში ხარ, ან მიზანმიმართულად „აპრავებ“ ამ სი-საძაგლეს.

– განა ევროპაში არ ხდება ასე?

– მერე ევროპა რა შუშია? – ბრაზი ჩაუდგა ხმაში ბაბუას, – გამოარაფრებულ და უფლისმიერებისგან გამოცლილ ევროპას გინდა მიჰბადო? კატებზე და ქოფაკებზე რომ ქორწინდებიან ისეთ ევროპას, გონიერებისა და ზნეობისგან დაცლილს, მილიონებს კატებს რომ უტოვებენ ანდერძით ისეთ ხალხს? ერთსქესიანების ქორწილებით მოზეიმე ევროპას?..

– განა მარტო ეგაა, ევროპა, ბაბუ?

– ახლა ეგაა, ჩემო ბატონო, სიკვდილისკენ მიმართული და სასრულთან მიახლოებული გადაბერებულ-გადახრინებული სამყარო, იცი შენ, წიგნიერებას ვერ დამინუნებს კაცი და ვერც თქმისა თუ გამოხატვის უნარს, მაგრამ ამ საძაგლობას თვალს ვერ მოვუხუჭავ და სათქმელსაც ვერ წავიკბილავ!..

ვერ შევთანხმდით მე და ბაბუა, ჩემი ჭკვიანი და მოსიყვარულე, უთბილესი და უკეთილესი ადამინი. ნანყენი წავიდა, ნისლიეთს შეუერთდა და დამიტოვა გულისტკივილი. ადრე ძილთაშორის მეფერებოდა ხშირად მისებურად, სულ გურდღუბია, გურდღუბიაო მიხმობდა, მისგანვე სიყვარულით შერქმეული სახელით, ათას რამეს მეტყოდა, მარიგებდა, გზას მისახავდა, მაიმედებდა. ახლა კი თვალეცრებლიანი და

გაგულისებული გამშორდა, ვინ იცის რა იფიქრა, რა მდულარე დაესხა უკეთილეს გულზე.

\*\*\*

იმ საბედისწერო დღეს ჩვეულებრივად დილაადრიან ადგა, საოჯახო საქმეები მოისტუმრა, ცოლს, ქსენია შელხეს საქონელი მოანველინა, საძოვარში გადენა პირუტყვი, შევიდა სახლში, ფრთხილად, ძილი რომ არ გაეტება ბავშვებისთვის, ისე ჩაკოცნა, პირფარა გადასწერა სამთავეს და ანგვარას მიაშურა. კამეჩები შეაბა, ურემს ნარნა და საცხერეები შეუმონმა, კამეჩის საქონე რქიდან მარჯვენა და საჩვენებელი თითით ღორის ქონი სქლად ამოიღო აკაციის ჭიოტი, ანუ საამისოდ გამოთლილი მოკლე ბოლობრტყელი კეცით, ურემის თვალები ამოქონა, კეცი ქონიან რქაში ჩაარჭო, უკანა საცხერეს საიმედოდ მიამაგრა და თხილის გრძელი ჯოხით შეუძახა ჯაგას და ბურგას, იმათაც მსუბუქად, მაგრამ ზანტად გასწიეს უღელი და გასასვლელისკენ ნავიდნენ. ქსენიამ აბგა მოურბენინა ქმარს, რამე ხომ არ გრჩება, თოლიო, ჰკითხა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. არაფერი, საყვარელი, ნაჯახი, ნალდი და ხერხი მიდევს, წყალი, აბგაც და მეტი რა მინდაო. სიყვარულით სავსე თვალებით გახედა ჩალისფერ ჩითის კაბაში გამოწყობილ ცოლს, დილის სიომ კაბის ბოლო აუფრიალა შელხეს, თვალები უფრორე აუმზიანდა ჯოდოს, გაუღიმა ქალს, მალე დავბრუნდები და მე ვიცო, ბოლო სიტყვები ვნებაჩამდგარად, თვალბმოჭუტვით უთხრა და მიჰყვა უკვე გზაზე გასულ ურემს.

ლილინი უყვარდა, ან მუდამყამს მარტოდ მყოფს სიმღერაზე უკეთესი თანამგზავრი ვინ უნდა ჰყოლოდა. შიგადაშიგ, უფრო გასამხნეებლად, ვიდრე იმსახურებდენ ხმამალა შესძახებდა ვეშად მიმავალ კამეჩებს: ჰა, ჯაგა, ჰა, ბურგა, დობირგულეთ გუდურეფ, დობირგულეთ... (ანუ, ჰა, ჯაგა, ჰა, ბურგა, იმუხლმარდეთ, გუდურიებო, იმუხლმარდეთ).

აკა სი რექიშო, აღმასირექიშო, ნააა...

ორდე ლეხინი- ვამაძირექიშო, ნააა...

დედოვ ნანა, მებდინაო ჩქიმიცოდააა...

ირო შურიშა, ირო გურიშა, ნაა...

ლილინებდა ჯოდო და მიუყვებოდა ოღრო-

ჩოღრო საურმე გზანვრილს. შეძახილიც არ ავინყდებოდა: ჰა, ჯაგა, ჰა, ბურგა, დობირგულეთ, გუდურეფ, დობირგულეთ...

ასე იარა ერთ საათზე მეტხანს, შაშვების ჭახჭახი მიაცილებდა მთელი გზა, თვითონაც ლილინებდა. ქვერსემიამ გადასახვევს მიადგა, აქედან უნდა გადაეხვია ჭაობიანი ველისკენ და დაინყებოდა თუთამოხას ტყე.

ურემი ტყის შესასვლელთან გააჩერა, ხარები ჩამოხსნა, ცალ-ცალკე დააბა საბელით, ერთი ურემს მიაბა, მეორე – ობლად ამოსულ ჯიჭონს.

მარჯვენა მხარეს, მდინარე ლუბეკისკენ ნააქცია უშველებელი კოპიტი, გადაზომა და ბირდაბირი ხერხით დაინყო გადახერხვა. მარტო ხერხავდა, მაგრამ ისე მოხდენილად და ძალიანად, იტყოდი, ამას მეორე კაცი არც სჭირდებაო! ტანგული ექესი მორი გამოვიდა, სათითაოდ მხრებით გაიტანა და ურემთან დაანყო. ახლა თელას მიადგა. მარჯვენა მხრიდან ერთ მტკაველზე შეუჭრა ნაჯახით, იმ მხარეს რომ ნააქცია მიტომ. თელა ისეთი სწორი და ტანსხეპია გამოდგა კენწერომდე, ალვის ხის დარად, ტოტები არცა ჰქონდა. ეს ხეც დახერხა ბირდაბირით, ოთხი მორის ზემოთ უსწორო და ურგები გამოდგა, საკმარი იყო ისედაც, ათ მორზე მეტი არც დაეტეოდა ურემზე და ხარებიც ვერ ზიდავდენ ამ ჭონჭყოშ-ჭაობში. ჯერ ურემთან მოზიდა და დაანყო ყველა, მერე აბგა ჩამოხსნა საცხერიდან, ურემის მარჯვენა თვალთან ჩამოჯდა, მზეს მიეჩრდილა და ამოალაგა სალუკმო. გული გაიმაგრა, ჭურადან ცივად შენახული წყალი ჩაირაკრაკა ყელში და ხარებს უღელი დაადგა, თითქოს მისი ესმითო ურჯუკელ კამეჩებს, ჯოდოს შეძახილს მისდევდნენ კვალზე. დატვირთა ურემი, ძირთავები მორებს ურემის თავისკენ უქნა, მსუბუქი რომ არ ჰქონოდათ უღელი მიტომ. თავ-მსუბუქზე ვერც ხარები დაატანდნენ ძალას და აყირაგების საფრთხეც მეტი იყო. დატვირთულ ხეებს საბელი ზემოდან ქვევით გადაუჭირა, თოკი მარჯვენა თვალის გასწვრივ კათარს მიაბა, იმ კათარის ზემო საცხირესთან აბგა და ანჯარები მოათავსა საიმედოდ და შეუძახა ჯაგას და ბურგას.

შარშან ადრიან გაზაფხულზე, ხეთა კვირ-



ტების გამოტანამდე სათავისოდ რომ გამოჰქონდა საფიცრე მორები, შემოაღამდა, ხორგელებს დაეხმარა ლაფში ჩაფლული ურმის ამოყვანაში, მერე ურმის თვალს გორთა ამოუვარდა მთავარი ღერძიდან და სანამ იმის გამართვას მოასწრებდნენ, მზეც გაექცათ. ხორგელები ოცხენე ბოგას შუკაში შევიდნენ, ჯოდო, როგორც ყოველთვის, გურფულის გზას გაუყვა, გზას იტყვი, თორემ ჯოჯოხეთის სავალი უფრო სწორპირიანი იქნებოდა ალბათ, ვიდრე ეს სალაფეთი. ღიღინი უყვარდა ჯოდოს და მღეროდა ახლაც:

სქან ყოროფაქ მა დოპილუ,  
ვამოხიოლ რინა შურო,  
გიმფერუანქ, თოლიკაკა,  
გინორთელს ჩქიმი გუროოო, ნააა...

უგრძნობლად გასულიყო დრო და გაქცეოდა მზის შუქი კაცს.

ამ დროს უკნიდან შემოესმა: ჯოდო, მომხედე, საყვარელო, ნახე როგორი ცირა ვარ, შეხე როგორ გელოდება ჩემი ძუძუ-მკერდი, ჩემი სხეული, მომხედე, კაცო, რა თავპატიუს იდებო.

უცებ დედის ნათქვამი გაახსენდა, ტყეში მარტო მიმავალს ვინმემ თუ დაგიძახოს, ყურადღება არ მიაქციო, უკან არაფრის დიდებით არ მოიხედო, თორემ ტყაშმაფა იქნება და მოგაჯადოებსო. ტყაშმაფებისა და ოჩოკოჩების არ მეშინიაო, ჯოდომ, გაულიმა დედას, მიანათა ცისფერი თვლები და თბილად განაგრძო: ნანა, რასაა რომ იტყვი, ხოლმე, მართლა გჯერა მაფების და ჯოჯოების ამ ბრძენ ქალს?

– რას ამბობ, წიე, – აქ გაცეცხლდებოდა გერგეხე, – ბრძენქალობა და გონიერება რა შუაშია ამასთან, რას ჰქვია მჯერა, აბა ჯვებე თარია და ბერდი კორტა ვინ დაამუნჯა და დაატყვევა თუ იცი?! შენზე ნაკლები ბოშები არ იყვნენ, მარა იმ ღმერთს გარიდებულ მაფასთან ვერაფერს გახდნენ. ჯადოქარია ის უხანე და რა გინდა რომ უყო, ღონე მაგასთან არ გაგივა და ჯიქურობა, როგორი ეშმაკობითაც თავად მოგიდგება, შენც ეგრე თუ არ დაუხვდი, დაგჯაბნის და გაგთვალავს.

– და რა უნდა მიყოს, ნეტავი? – ღიმილით ჰკითხა დედას ჯოდომ.

– რა გაცინებს, წიე, ფუი ეშმაკსა და უხსენებელს, მაგათთან ხუმრობა არ შეიძლებაო.

სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ჯოდოს ეგეთი რამეები, მაგრამ ახლა კი თავად დადგა არჩევანის წინაშე, მოეხედა თუ არა დაძახილზე. მოეხედა და რომ მოეჯადოებინა იმ უხსენებელ ტყისქალს? არადა აინტერესებდა მართლაც ისეთი ლამაზი და საოცრება იყო ტყაშმაფა, როგორც ჯვებე თარია და ბერდი კორტა ყვებოდნენ, თუ მოჩვენებოდათ მაგ საწყლებს და ჯოჯო და გონჯი იყო სულაც. ჯვებე კი იყო ენანასწრებული, მაგრამ დინჯ და ბრძენ ბერდის ტყუილიც დაეჯერებოდა. თეთრი, გაპიტკინებული, სავსე გავით, გამომთვარებული უკანალით, ბროლის ყირმიზყელით, დახატული პირისახითა და ზღვისფერი თვლებით ანგელოზს ჰგავდაო. ის ანგელოზი ვის ენახა, მაგრამ ყველა თავისებურად წარმოიდგენდა უფლის ფრთებფარფატა სეფექალებს, მზეთუნახავებსა და კალმით ნახატებს. ჰოდა, ეგეთი იყო ის შეჩვენებული. უნდოდა მოხედვა, როგორ არ უნდოდა, ერთპირზე კინალამ სძლია თავქეიფა სურვილმა, მაგრამ წამიერად გაახსენდა თუ არა თავისი წვრილშვილი, ამოსდო ყოველივეს გონების ლაგამი და დაიურვა სიცინცე ამჩატებული გულისა. არადა ამ დროს ძნელია ახალგაზრდა კაცის გულისა და ნდომის დაურვება, სისხლი ათჯერ უფრო სწრაფად იწყებს ჩქროლას ზეით-ქვეით, ცახცახი სახლდება სხეულში და თვალებსაც სურვილის სხივი აბნელებს. მიუხედავად ყველაფრისა, თავისი პატარების ანგელოზებმა სძლიეს ცდუნების სილიზლეს და გზა გააგრძელებინეს უკანმოუხედავად ყმანვილკაცს.

„ჯოდო, ჯოდო, ჯოდორია, მომხედე და გამახარე, ჩამეხვიე, დამეუფლე და შენც გაიხარეო“.

ყოველთვის ერიდებოდა შემოღამებას ტყეში, მზის ბოლოსწინა სხივს ჩაავლებდა მზერას და უკანასკნელი შუქის ჩაქრობამდე დატოვებდა თუთამოხას არემარეს და სოფლის ველობზე გავიდოდა, აქ კი სამშვიდობოს იყო უკვე. ძაღლების ყეფაც ისმოდა და საქონლის ბლავილიც. ძაღლების ხმისა ეშინიაო ტყაშმაფას, – უთხრა დედამ. მგლებთან და სხვა ნადირებთან ცხოვრებას არ უკრთის და შინაური ნუპაკისა, როგორ ეშინიაო, გაიკვირვა ჯოდომ. ეგა, მგლის ჯიშისაა, თეთრი მგლის სისხლი უდის

ძარღვებში და ნადირი აბა როგორ შეაშინებს, მაგრამ ძაღლების ყეფა და სუნიც კი ძალას ართმევსო. ეგრე რომ არ იყოსო, – განაგრძობდა გერგებე, ტყაშმაფები წალეკავდნენ სოფელსა და ქვეყანას, ყველა საქორწილე ბიჭს მოაჯადოებდნენ, დანარჩენებს კი სიკვდილს უწევდნენო, ამას იტყოდა და გრძელ შელოცვასაც მოაყოლებდა, პირს ტყისკენ იზამდა და სამჯერ მიაფურთხებდა ეშმაკებსა და კუდიანებს. ახლა კი ვერ მოასწრო თუთამოხას დატოვება.

არ ეშვებოდა ტყის გრძელთმება ქალი. ბოლოს, როცა ყურადღება არ მიაქცია მამაკაცმა, მორთო, მარა რა კივილი მორთო, მთვარეს რომ ძირს დაანარცხებდა ეგეთი, ხმა ჩაიწყვიტა, ჩაიკარგა, მაგრამ ჯოდომ არაფრისდიდებით არ მოხდა.

ამ რია-რიასა და გონების გაფანტვაში ხარები ასცდენოდნენ გზასწორს და ჭაობლელისკენ გადაეხვიათ, იქით მიწა ზედმეტად ჭაობნყლიანი, თოთო იყო, უცებ, სანამ ჯოდო ტყაშმაფას კივილს ყურს წაართმევდა და გონზე მოვიდოდა, კამეჩებს ფეხი წასცდათ და რბილობში შეაბიჯეს, ურმის თვლები ყელამდე ჩაეფლნენ ქანჭყობში. პირველი რაც მოიფიქრა, დროზე, სანამ ზურგზე მახრჩობელა წყალმინა გადაუვლიდათ, აპეურები თვალის დახამხამებაში აწყვიტა და უღლიდან ჩამოხსნა. გაიქცა ტყისკენ, ფიჩხები მოაგროვა და ურმის, რომელსაც ნელ-ნელა ჭაობი ითრევდა, უკანა მხარეს დაყარა, ფიჩხებზე ჩაიმუხლა, ზურგი შეაქცია და ბეჭებით შეუდგა. დაჭრილი ნადირივით დაიღრიალა და აწყვიტა დატვირთული ორთვალა ჭაობიდან და გზაზე შეუგდო მარცხენა თვალი, მეორეჯერაც უბიძგა და სავალზე მდგარი გაზანგული კამეჩების უკან მოაქცია. ამ დროს თითქოს რაღაც შიდა ბადე გაიხა და ჩამოსწყდაო გულ-მუცელი, აუტანელი ტკივილი იგრძნო, მარცხენა ხელის დახმარებით ტანი ძლივს-ძლივს აითრია, მაგრამ უცებვე იდაყვზე დაეცა, ტკივილი უფრორე გაუმწვავდა, გეგონებოდათ ცეცხლი ჩაუნთეს მუცლის ღრუშიო. მიწამ ჩანთქაო თითქოს, ძალ-ღონე წაერთვა, მისავათდა, უსაშველოდ ტკიოდა მთელი სხეული, მაგრამ დაკვნესების უნარიც არ გააჩნდა. ვაი, ნანაო, წამოიკვნესა ერთხელ და თითქოს უკუნეთს უერთდებო

– მიწის ფერი დაედო. ერთ წამში თვალწინ, კადრებივით, ჩაირბინა მთელმა ცხოვრებამ. ბოლშევიკების მიერ სვეგამნარებულმა მამის ხატებამ, რომელიც შორიახლო იდგა და ჩუმიად შეჰყურებდა სულთმობრძავ შვილს, დედამ და და-ძმებმა, ქმრისა და მამის მომლოდინე, გასაცოდავებული ცოლისა და შვილების გამოსაწყლებულმა თვალებმა...

გვარა გაახსენდა, ჭკვიანი და ენაძალიანი ჭყიში. რა დროს არ იყო ცოცხალი, სულმნათი, თორემ რას გაუჭირვებდა ჯოდოს. ყველა სიკეთესთან ერთად მკურნალიც იყო და უებარ წამლებს ამზადებდა მცენარეულს, თაფლშეზავებულსა და ლოცვით გამზევებულს. მოტეხილობისა და ნაღრძობის მალამოებსაც ამზადებდა საუკეთესოს. ეჰ, ჯიჯი, ეჰ, გვარა პატენი, აქ იყო ნეტავი. ერთხელ ხომ შემიკედლე და ამომიდექი მხარში, ახლაც წამომაცენებდი ფეხზე, ბრძენო მოხუცო. ერთხანს გაერიდა ბოლშევიკებს მოხუცი. სხვა ჭყიშები, მის შორიახლოს რომ იდგნენ, ჭყონიები, გვარამიები, ნაჭყებიები და ლუკები, ყველა დაიჭირეს და გადაასახლეს. საქონელი კოლექტივის საკუთრება გახადეს. მაკე ფურდემოებსაც კი ყელი გამოლადრეს, ხორცის გეგმის შესასრულებლად და ცენტრალური კომიტეტის წინაშე თავის მოსაწონებლად. ასე მიინევდნენ უღმერთო უსასრულობისკენ წითელვარსკვლავიანი ჯალათები. რამის თქმას გაბედავდი და შინსახკომის ვამპირები, უკეთეს შემთხვევაში, ციმბირის ყინულეთს უკან მოგატოვებინებდნენ, ან კედელთან მიყენებით დაუსვამდნენ ნერტილს ყოველივეს. საამისო ლოზუნგიც ეწერათ გულის ფიცარზე, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა. მკვდრები ხომ ყველაზე უკეთ დუმან. უღრანში შეინია გვარამ, ჭაბიას ველსაც კი გასცდა და თუთამოხას უღრან და გაუვალ ტყეში, სადაც შესვლისაც კი ეშინოდათ, გადაიტანა სადგომი და კარე, წაასხა საქონელი და გაშორდა ადამიანეთს საერთოდ. დიდი ხანი მკვდარიც კი ეგონათ კერკეტი მოხუცი, რომელიც ასე უსიტყვოდ განერიდა კოლექტივს და გაუჩინარდა უგზო-უკვლოდ. თუმცა ბოლომდე ვინ დამალვია ადამიანის ეშმაკეულ მზერას და დააბეზღეს ურჯუკელი მოხუციც, რომელიც მალევე აიყვანეს შინსახკომელებმა

და საქონელი გამორეკეს, ერთიანად შერეკეს კოლექტივში, მოხუცი ჭყიში საციმბირედ და-აპატიმრეს, მისი სადგომი და კარე ერთიანად მისცეს ცეცხლს.

\*\*\*

თხუთმეტი წლისაა, ჯერ ბავშვია, რა დროს მაგისი ცოლობაა, აცალე, შე კაცო, დაქალდეს, მზე ჩაუსახლდეს რიგიანად და მერე კი ვინ ოხერი დაგიდგება წინ, მოიყვანე და ქორწილიც გავმართოთო, – ეუბნებოდნენ ოჯახისეები შელხეზე, რომელიც თუთხმეტი წლისა იყო მხოლოდ და სიყვარულმორეულ ჯოდოს კი გადაეწყვიტა მისი შერთვა.

– შემოდგომამდე მაინც მოიცადე, ნანა, დავაბინაოთ მოსავალი, უფროვე გავრიგიანდეთ და გავგზავნოთ ხალხი შელიებთან წესისა და რიგის მიხედვით, – მიეთბილა დედა ვაჟს.

– ახლავე გავგზავნოთ, თუ ასეა, – არ ოკდებოდა ჯოდო და ადგილს ვერ პოულობდა.

– პატარაა ჯერ, ნიე, როგორ უნდა უთხრა მშობლებს, ასეთი ბაღანა მომათხოვეო, – ჩაერთო საუბარში ანტო. მამისა კი ძალიან ერიდებოდა ჯოდოს და სიტყვის შებრუნება ვერ გაბედა. დედას მიუბრუნდა და თავჩაღუნულმა უთხრა: სხვებმა რომ წაიყვანონ, ნანა?

– რასაა რომ იძახი, – მოღუშვით გამოხედა მამამ შვილს, ფორი შელიას ვინ შებედავს მაგას?! არ გცოდნია ვინაა ფორი, სახლუკარო ძაღუიები ხომ არ გგონია შენ ფორი და მისი ძმები. გაიზარდოს ცოტა, მოიკიდოს ქალობა და აგერ არა ვართ, დალოცვილო? ნავლენ შენი ბიძები და ვინ დაგვიჭერს ქალს. წესითა და რიგით უნდა იცხოვრო კაცმა. თუ თავშივე ურიგოდ მოიქეცი, ლიბო მოერყევა ოჯახს და უფალიც შეგაქცევს ზურგს.

არაფერი უთქვამს ჯოდოს, არ შეუხედავს არავისთვის ისე გავიდა გარეთ. ბიძაშვილებთან გადავიდა, იზდორესა და ანდრის დაელაპარაკა, მისდა გასაკვირად ბიჭებიც წინააღმდეგ ნავიდნენ, ხო იცი მაგის ორივე ბიძა ჩეკისტია და არ გვაპატიებენ, თანაც შელიების გადაკიდება ასეთ დროს ხო იცი რას ნიშნავს, ისედაც არ გვიყურებენ კარგი თვალთ და რა ჯანდაბად გინდა, აცალე ორი წელი და შეირთე მერეო. ჯარი მიწვეს, წამიყვანენ და ვინ იცის რა მოხ-

დებო?- ბიჭების დაყოლიება სცადა ჯოდომ, მაგრამ ვერაფერს გახდა. ის ღამე თეთრად გაათენა, დილაუთენია, მამლების პირველი ყვილზე წამოხტა და საშელიოს გზას დაადგა. ვინმეს რომ არ შეემჩნია ღობე-ღობე, მხარმიფარებით მიფრთხილობდა, გუდა შელიას, ქსენიას ბიძის სახლს უკან მდგარ უშველებელ ცაცხვის ხეზე აძვრა და ნიშანი მისცა შეყვარებულს, ამ ცაცხვიდან პირდაპირ უყურებდა ჯოდო ქსენიას საძინებელს. გაუკვირდა გოგოს, ასეთ დროს რამ მოიყვანა, მოხდა ალბათ რამეო და წამოხტა ლოგინიდან, გადახედა უმცროს დაიკოს, რომელსაც ტკბილად ეძინა, გაალო ფანჯარა, ფრთხილად გადავიდა და გადმოხტა. ბოთურიამ თავიდან დაიღრინა, მაგრამ როგორც კი იცნო პატრონი, მიელაქუცა და კუდის ქიცინით აგრძნობინა, თუ როგორ უყვარდა. მიეფერა გოგოც და ქარივით გადაეველო ბიძის ღობეს, მიუახლოვდა ცაცხვის ხეს, ჯოდოც იქვე იდგა, აიტაცა ბუმბულივით თავისი მახარია, ერთხანს ატრიალა, აქანავა, მერე ჩაიკრა გულში და მაგრად მოუჭირა ხელები. თან ჩურჩულებდა: ვერა, ვერ გავძლებ უშენოდ, არ შემიძლია მეტიც მოთმენაო!

გოგომ ამოკვნესით უთხრა: მეტკინა, დამლენე, რა უბედურებაა, მკლავ?

– გკლავ კი არა, გაცოცხლებ, ჩემო სიხარულო, ჩემო მახარია, არ შემიძლია უშენოდ, ვერ ვითმენ, ვერ ვიძინებ, ვერ ვჭამ, ვერ ვსვამ, გულის ტკივილი დამჩემდა, ჩემებს კი ვერ გავაგებინე ვერაფერი.

– რატომ მწუნობენ? – წყენით მიმართა ცირამ.

– არა, ჩემო სიცოცხლევე, რასაა რომ ამბობ, შენ ვინ უნდა დაგინუნოს, განა ანგელოზებსაც ინუნებენ? – სიყვარულით აკაშკაშებული თვალებით მიმართა ჯოდომ.

– აბა რა ხდება?

– არაფერი, უბრალოდ, დავიცადოთ ცოტა, პატარაა ჯერ ქსენია, როგორ ვაკადროთ მისებს, ბავშვი მოგვათხოვეო, – „ბავშვის“ თქმა არ უნდოდა, წამოსცდა, ინანა, მაგრამ რა დროსი იყო, გოგოც ამ „ბავშვს“ ჩაეჭიდა, წყენით მიმართა:

– ჰოდა, მართლები არიან, ბავშვი ვარ, გავიზარდო უნდა, თუ არადა...

– ჰო, რაა თუ, არადა?

– არაფერი, – გაიბუსა გოგო და ზურგით დაუდგა ბიჭს.

– მითხარი, მითხარი თუ გიყვარდე? – ჩაუჯინდა ჯოდო. მამლებმა მოუხშირეს ყვილს, ძაღლებიც აგნიასდნენ და ანკა-ბანკა მიმავალ ცხენოსანს დაუნყეს ყეფა. დაუჭედავი, უნალო ცხენი გამოსცემს ასეთ ხმას, სავალი დეზს კენჭები ესობა რბილზე და კიდეზე, სადაც უხრეშო ალაგია, მიაქვს თავი. – ნავედი, გვნახავენ, ამოიხვნეშა ცირამ.

– არ გიპასუხია ჯერ, მითხარი რას იზამ, თუ არადა?

– არაფერს, უბრალოდ ვისაც ბავშვად არ მივაჩნივარ, ის წამიყვანს, – თქვა და გაქცევა დააპირა, მაგრამ მიმინოს ჩიტი რას გაექცეოდა, დაიჭირა ჯოდომ და მიიკრა მკერდზე.

– ეგ არ მითხრა, საყვარელი, ეგ არ მითხრა, თორემ მოვკვდები... არა, იმასაც მოვკლავ ვინც ამას გაბედავს და შენც ზედ მიგაყოლებ. მერე საკუთარ თავსაც გამოვუტან განაჩენს. ამას ვერავინ გაბედავს, ვერავინ, – სცადა ამ წუთას ამოეკლებული ეჭვების გაფანტვა ბიჭმა.

– კარგი, თოლი, გამიშვი, ნუ მიჭერ, კაცო, მეტკინა ყველაფერი, წადი ახლა, გვნახავენ, გათენდა მთლად. – ჯარგვლის კარი გაიღო და წაილიღინა ვილაცამ. – მამაჩემია, დავიღუპე, ნავედი. – აცახცახდა გოგო.

– მოკლედ, ხვალ შუალამისას, ოცხენებოგას თავკართან მოდი, იქ დაგვხვდები ცხენით და წავალთ.

– რასაა, რომ იძახი, სად წავალთ, ხომ არ გაგიჟდი, დაგვხოცავენ ჩვენები. გეყო რა.

– მე ვიცი რასაც ვამბობ და რასაც ვაკეთებ, თუ გიყვარვარ მოხვალ, იქ დაგელოდები, თუ არადა მეცოდინება, რომ არ გინდივარ და ჩემი საქმისა მე ვიცი. – თქვა ეს ბიჭმა და ისე, რომ არ დალოდებია გოგოს პასუხს, გუძა შელიას შუკის გამყოფი ლობისკენ გასწია უსწრაფესად, ლობეს ფეხდაუკარებლად გადაეწვლო და გაუჩინარდა. გაუგეს ძაღლებმა, მორთეს ყეფა, გავარდნენ იქით, თუმცა ჯოდო მამალი მგელივით სირბილით მიყვებოდა ლაღუს ნაპირს, რომელიც დუდუნითა და ღელისთვის შესაფერისი ტალღოვნებით მიკობტაობდა დიდღელისკენ, სადაც ჩაიტანდა აქაურ ამბებსა

თუ ჭორებს, ალბათ იმასაც, ჯოდო ასე დილაადრიან, უთენია თავანყვეტით რომ გარბოდა მინაზე ფეხდაუკარებლად.

ქსენია კი დილის სუსხისგან ტუჩებდალურჯებული და აკანკალებული იდგა ცაცხვექვემ, ნაბიჯი ვერ გადაედგა. არ შორდებოდა ტკივილიანი კითხვა: როგორ?!

სიყვარულს ვინ მორევია, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაივლის, ტალღებსა და ჩქერალებს გადალახავს, მაგრამ ვერაფერი შეაჩერებს. რა კარგადაა ნათქვამი: როგორც მდინარის დინებას ვერ შეაჩერებ, ისე გასათხოვარ გოგოს ვერ უზამ ვერაფერსო. ჰოდა შუალამისას, ოცხენე ბოგასთან მოფარფატდა წითელაბგიანი ქსენია, იქ ელოდებოდა თავისი სანაქებო ქარიშით ჯოდო, ამხედრდა, მოისვა გულისწორი უკან და შეუყვინენ დიდი ტყის ველობს შეყვარებულები. ბედზე არ იყო აღიდებული მუნჩია, არ მოუნიათ ხიდისკენ ასვლა, ფონი ადვილად მოძებნეს და ჭაფიას ველს მიაშურეს, იქითკენ კი – თუთამოხას ტყეს. ისე მიჰკვროდა გოგო, ჯოდოში განსხეულდაო თითქოს, გატრუნულიყო, მთლიანად მინდობილი ბედსა და შეყვარებულს.

გვარას მიადგნენ კარეში. გამოენთენ ძაღლები, ერთნაირად მურგვები, მოვლილები, მგლისთანა ქოფაკები. ჭრიალით გაიღო კარი და გამოიხედა დაბალი ტანის, ჩაფსკვნილმა ჭყიშმა, გაუკვირდა ახალგაზრდების ხილვა ამ უღრანეთში, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, ისე მოიპატიჟა, ბიჭი დაქვეითებულიყო, გოგო ჯერაც ცხენზე იჯდა. მიხვდა გვარა საქმის ვითარებას, მოგიკლავთ ცხენი, არ გეცოდებოდით, დალოცვილებო, ქიმიტებს, ჩამოდი შვილო, შევიდეთ სახლში, შენ კიდევ ატარე ცხენი ერთხანს, არ შეაშრო ასე ოფლი, გაცივდება დაიხუთება და გაფუჭდებაო. მერე უცებ გამოფხიზლდაო თითქოს, მიუბრუნდა ბიჭს და ჰკითხა, ვისი შვილი იყო, ანტო გვასალიასიო, ჯოდო მქვიაო თავად.

კარგით, ჩემო ბატონო, მიხედეთ ცხენს, გოგო გამომყვესო. ასეც მოიქცნენ.

ჯოდომ ატარა ერთხანს საყვარელი ულაყი, მერე მოხსნა უნაგირი და იქვე საძროხის შესასვლელთან დაკიდა, ცხენი კი ქართაში შედენა. თბილი და ნათელი სადგომი ჰქონდა ჭყიშს.



მაღალზე იდგა, ორი საფეხურით უნდა შესულიყავი შიგნით. შუაცეცხლზე კარდილა ეკიდა, ქსენია ჯორკოზე იჯდა, თავისი აბგა გვერდზე დაედო და ცეცხლს მამით უჩხიკინებდა. გოგოს მოპირდაპირედ იჯდა მოხუცი და უხმოდ ჩაპყურებდა კარდილაში ათუხთუხებულ წყალს. შემოვიდა თუ არა ჯოდო, ნამოდგა და მოლუშულმა მიახალა ყმანვილს:

– ჩემი გვარი თუ იცი, ყმანვილო, შენ?  
 – როგორ არა, გვარა ჯიჯი, ვიცი. – თავჩაქინდრულმა ამოთქვა ბიჭმა.  
 – რა გვარის ვარ?  
 – შელია, ჩემო ბატონო.  
 – იცი ვინაა ქსენია ჩემი?  
 – კი, ბატონო, ბიძაშვილის შვილი.  
 – მერე, შე დალოცვილო, ჩემი ნათესავი მოიტაცე და მე მომაცენე დასამალად?  
 – სხვა გზა არ მქოდა, ყველგან მომაგნებდნენ და ცუდს გამაკეთებინებდნენ.  
 – რა ცუდს, ნეტავი?  
 – რა და წართმევას მომინდომებდნენ, ამას მე არ დავთმობდი და სისხლი დაიღვრებოდა.  
 – ანტომ იცის ეგ ამბავი?  
 – რომ წამოვიყვანე არა!  
 – მშვიდობიანად რატომ არ მოაგვარეთ, გეთხოვრებოდა ხელი ჩვეულებრივად.  
 – არ იზამდნენ, პატარაა ჯერო და...  
 – მერე რა გეჩქარებოდათ, თქვე დალოცვილებო?  
 – ჩვენ არა, სიყვარულს ეჩქარებოდა, გვარა ბიძია!- ღიმილით უთხრა ჯოდომ.

ამ პასუხმა გვარასაც ჩაუსახლა ღიმილი ტუჩების კიდებზე.

ვესაუბრე გოგოს, პატარაა ჯერ, უჭკუო, რა დროს ამისი გათხოვებაა, ნავიყვან, ჩავაბარებ მის პატრონს და სიტყვას გაძღვევ, არანაირი საცუდო გაგრძელება ამ ამბავს არ მოჰყვება. აცალე, გაიზარდოს და მერე ვინ ოხერი დაგიშლით, იქორწინეთ და იმრავლეთ.

მამაჩემიც ამას მეუბნებოდა, გვარა ჯიჯი, მაგრამ არ შემიძლია მის გარეშე, მოვკვდები, ვერ გავძლებ და...

– ჭკვიანი და ბრძენი კაცია მამაშენი, და გეჯერებინა უნდა მისთვის.

– ეტყობა, ჭკუა და სიბრძნე ვერ თავსდებიან სიყვარულთან, – ღიმილი მოერია ახლაც ბიჭს.

– შენც ასე ფიქრობ, შვილო? – მიუბრუნდა გოგოს ჭყიში.

– კი, გვარა ბიძია.

– იცოდი, ჩემთან რომ მოჰყავდი?

– არა, გვარა ბიძია, არ ვიცოდი.

– კარგით, ბიძიკოებო, თუ ასე გინდათ ერთმანეთი, რას ვიზამ, თანაც იმიტომ ხარ კარგი და მაგარი ბიჭი, ჩემთან რომ მოიყვანე ჩემივე ნათესავი. ეჰ, საოცარი კაცი ყოფილხარ.

მეორე სადგომი მაქვს აქვე ახლოს, მე იქ წავალ, იყავით, სანამ გაგიხარდებათ, ადამიანებს დანატრებული ვარ მაინც და ვიცხოვროთ ერთად, ღომი, ყველი და ხორცი არ მოგაკლდებათ და ...

– დიდი მადლობა, გვარა ბიძია, ამ სიკეთეს არ დაგივინებთ და არც ღმერთი მოგაკლებთ მადლს და წყალობას.

– ჯერ სუფრა გავშალოთ, ქსენია აქ დატრი-ალდეს, ჩვენ ერთი მოზვერი მაინც ჩამოვკიდოთ, ქორწილია ბოლოს და ბოლოს, მე ვარ თქვენი მაყრიონიცა და სტუმარ-მექორწილაც, აბა ჰე...

ქეიფის ბოლოს, როცა გვარიანად შეგვათ-რო გვარას ორნახადმა ხილის არაყმა, ერთი რამ ითხოვა გვარამ ახალდაქორწინებულე-ბისგან, ანუ ჩვენგან, თუ პირველი შვილი ბიჭი გეყოლათ, გუგუტა დაარქვითო. და რატომ ეგ სახელი-თქო, როცა ვკითხე, ჩემს პატარა ძმას ერქვა, სახადმა გადაიყოლა, ქვეყანას მერჩივნა და იქნებ...

კი, გვარა ბიძია, ამაზე განყენინებ-თქო. კარგი, აბა თქვენ იცითო და წავიდა კარისკენ კერკეტი მოხუცი, რომელსაც არასდროს ჰყოლია ოჯახი, ცოლი, შვილები... უძირო ნაღველი ედგა გვირალ ნაცრისფერ თვალებში, ცრემ-ლებით შემოღობილი ნაღველი!..

\*\*\*

ნელ-ნელა გაძლიერდა ღამე, მერე მთვარემაც ინება გავერცხლისფერება. ერთხანს ტურების გულისწამლებმა კვილმა და მგლების დამშეულმა ყმუილმა შეძრეს არემარე, მერე ეს ხმებიც დაეკარგა და სამყარო ნელ-ნელა გავიდა მისი არსიდან...

\*\*\*

ღილით ტყისმჭრელებმა მიაგნეს, მამა-

შვილ სტურუებს მოეკრათ თვალი ურმის გვერდით დანთებულ კოცონთან მჯდარი თეთრწვეროსანი მოხუცისთვის, თვალმოუნყვეტლად რომ დაჰყურებდა გაშემებულ დეეკაცს. ანტონი იყო, ამბობდნენ სტურუები, უშველებელი კოცონი დაენტო, ალბათ ნადირისგან რომ დაეცვა ცხედარი მიტომო. რომ მივუახლოვდით დაიკარგა თუ გაქრა ბერიკაცო. არადა ანტონი იმ დროისთვის ბოლშევიკებს 5 წლის დახვრეტილი ჰყავდათ და იქ აბა როგორ უნდა ყოფილიყო?

რას ჰქვია არ იყო, გაგიჟდნენ სტურუები, ბატონი ანტო ჩემი ნათლია ბრძანდებოდა, ქვეყანას მერჩინა, ჩემი იმედი და ძალა, ჩემი ქორწილის თამადა და გაჭირვების ტალკვესი იყო და გინდათ მითხრათ, ვერ ვიცანიო, – გაგულისდა მამა სტურუა, შვილმაც, – დაახლოებით ოცი მეტრიდან ვნახეთ, ანტონ გვასალია იყო ნამდვილად.

ღმერთო დაილოცოს შენი სახელი, რას

არ გაიგებს კაცის ყურები... ვინ ჩასწვდენია უფლის ჯერჩინებას, ჩვენ რო ჩავსწვდეთო, – ბუტბუტებდა სოფლის მღვდელყოფილი და გაკვირვებით იწერდა პირჯვარს, თან შიშით იყურებოდა აქეთ-იქით, ვინმე ისეთი არ იდგეს, არ დამაბეზლოს, თორემ დავილუპებო. მავნებელი მენშევიკის შვილის ცხედართან პირჯვარს იწერდაო, რომ გაეგო საბჭოს თავმჯდომარეს, ჯვარზე გააკრავდნენ უანაფოროდ დატოვებულ მღვდელყოფილს და მის ოჯახსაც ცეცხლს მისცემდნენ.

ტიროდნენ გვასალიები, იწვა დეეკაცი ჯოდო და დახუჭული თვალებით გაჰყურებდა სივრცეს, ის უფრო მეტს ხედავდა და უფრო ახლოს იყო უფალთან, ვიდრე ცოცხალი, თვალახელილი და იმედის სიმღერად ქცეული საბჭოეთი!..

2023 წლის 22 ნოემბერი, ზუგდიდი.



**ზურაბ ხასიაია**

**ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისათვის**



1. ბრძოლა პოეტის სულში

შილერი ლაპარაკობდა ეგრეთ წოდებულ ნაიფურ და სენტიმენტალურ პოეზიათა შესახებ. გულისხმობდა იმ განსხვავებას, რომელიც შენიშნა ძველი მსოფლიოსა და ქრისტიანული კულტურის პოეტთა შორის. ნაიფური ანუ გულუბრყვილოა პოეზია, როცა ავტორი მთლიანად ერწყმის ნაწარმოებს. სხვაგვარადაც შეიძლება ვთქვათ: ავტორი მხოლოდ ხატავს და არ ჩანს თვით მისეული შეფასება. სენტიმენტალური ანუ გრძნობამორეულია პოეზია, როცა ავტორი მაღლა დგას თავის ნაწარმოებზე. აქ მთავარია თვით მისი პიროვნება და მოვლენების მისეული შეფასება. თუ ამ საზომს მოვიმარჯვებთ, ქართულ მწერლობაში „სენტიმენტალური“ პოეზიის ტიპური ნიმუში იქნება, ვთქვათ, ბარათაშვილი, ხოლო „ნაიფურისა“ – აკაკი, მეტადრე კი – ვაჟა-ფშაველა. მის თხზულებებში მთავარია, თუ როგორია თვით ბუნება. ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ რა ერჩია პოეტს; როგორ შეაფასებდა ის იმას, რაც არის. ეს აძნელებს ვაჟას მსოფლმხედველობის მკაფიოდ გამოკვეტას. მართლაც, მსოფლმხედველობაში

შეფასება მონანილეობს. ხოლო თუ შეფასება თანმიმდევრულად ჩრდილშია, მაშინ საფუძველი იქმნება მსოფლმხედველობის ნაირ-ნაირ განმარტებისათვის. ვაჟას მსოფლმხედველობა, მართლაც, სრულიად სხვადასხვაგვარად განმარტება ხოლმე. ეს სხვადასხვაობა სანიმუშო სახით ჩანს ვაჟას მსოფლმხედველობის ორ საუკეთესო გამოკვლევაში. ერთი კონსტანტინე კაპანელს ეკუთვნის, მეორე – სერგი დანელიას. პირველში ვაჟას მსოფლმხედველობა განიმარტება ერთგვარ ინდივიდუალიზმად, ეთიკური მემბოხის სულისკვეთებად; მეორეში – ერთგვარ უნივერსალიზმად, ბუნებასთან ესთეტიური შერწყმის სულისკვეთებად. წინასწარვე ვაცხადებ: ვაჟას მსოფლმხედველობის მკაფიოდ გამოკვეტა არათუ ძნელია, არა-



მედ– შეუძლებელიც. ვაჟას სული თვითონაა ბრძოლის ასპარეზი. მასში ორი მრწამსი ებრძვის ერთმანეთს. ვაჟა ინდივიდუალისტია, რომელიც ცდილობს შეურიგდეს ბუნებას და „ესთეტიურის“ ნიაღში იცხოვროს. მისი სული ბრძოლისა და ჯახის შემცველი ვულკანია. ეს წინააღმდეგობა სრულად ირეკლება მის ლექსებში, პოემებში, მოთხრობებში.

## 2. „სიცოცხლის ფილოსოფია“

თუ ფილოსოფიური იარლიყები გაგვიტაცებს, ვაჟას შეიძლება თავისებური „სიცოცხლის ფილოსოფოსი“ ვუნოდოთ. მართლაც, მთელი ქვეყნიერება, ვაჟას თუ დავეთანხმებით, სიცოცხლის ფშვინვა და ბორგვაა. თანამედროვე მეცნიერებაში ის აზრია გაბატონებული, რომ ქვეყნიერება შედგება უსულო სხეულები-საგან და სულიერ არსებათაგან. სიცოცხლე ჯერჯერობით მხოლოდ დედამიწაზეა ცნობილი. დანარჩენი ქვეყნიერება ცივად და კუშტად აირეკლავს ჩვენს ცნობისწადილს. თვით დედამიწაც, უმთავრესად, არაცოცხალია და, უბრალოდ, მასზე ბინადრობს სიცოცხლე. ვაჟა ასე არ ფიქრობს. მას ჩვენი „არაორგანული ბუნებაც“ ცოცხალი ჰგონია. ცოცხალია არა მხოლოდ ადამიანები, ცხოველები და მცენარეები, არამედ – მიწაც, წყალიც, ჰაერიც, ცეცხლიც; ცოცხალია კლდეები და ქვები; ცოცხალია ციური სხეულები. ის, რასაც სიკვდილს ვუნოდებთ, შეშინებული „ნახევარცნობიერების“ მოჩვენებაა. სრული ცნობიერების წინაშე ასეთი რამ არ არსებობს. არის მხოლოდ „გარდაცვალება“ ანუ გარეგანი სახის შეცვლა. ქვეყნიერების სამანებში უსაზღვროდ დახეტილობს სიცოცხლე და სიკვდილისათვის ადგილი არაა. რაოდენ შორს დგას ეს თვალსაზრისი „ექსისტენციის ფილოსოფიისგან“. კირკეგორი, ჰაიდეგერი, სარტრი, მათი გუნდელები, პირიქით, სიკვდილის საყოველთაოობას ფიქრობენ. სიცოცხლე, იმთავითვე, სიკვდილითაა გარემოცული, მის კლანჭებში ფეთქავს და ჟამი-ჟამ ეხახუნება კიდევ მას. კირკეგორს ადამიანის სიცოცხლე სიკვდილისადმი მიძღვნილად ეჩვენებოდა. სიცოცხლე, ლამის არი, არც კი არსებობს. ყველგან სიკვდილი და არ-

ყოფნაა. აქ ისეთი მყვირალა განსხვავებაა, რომ ცოტაოდენი მსგავსების მოძებნაც კი ჭირს. აქ იმდენად ორი განსხვავებული აზროვნება კი არ ჩანს, რამდენადაც – ორი განსხვავებული კულტურა. ერთ შემთხვევაში გვაქვს სოფელის მრწამსი. კაცი ტრიალებს თავის საგვარეულოში, ჭიუხებში და ცხვარ-ძროხაში. გვარის ნიაღში შენ თვითონ კი არ იწყებ შენს „ამბავს“, არამედ აგრძელებ სხვათა დაწყებულს. შენ თვითონ კი არ ამთავრებ შენს „ამბავს“ სადღაც შუა გზაზე, არამედ – სხვებს გადასცემ. ამიერიდან ისინი გააგრძელებენ მას. აქ ძნელია წარმოიდგინო სიკვდილი. აქ ყველგან სიცოცხლეა. სიკვდილი თავისი საიდუმლოებით თითქოს ემატება სიცოცხლეს და რაღაც მონინებას, კრძალვას იმსახურებს. სასონარკვეთას კი არანაირად არ იწვევს. მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქალაქელის მრწამსთან. ქალაქელი კაცი უცხო გარემოშია. მისი საქმე არც არავისას აგრძელებს, არც არავისაში გრძელდება. არც არავინ იცის ამ საქმის შესახებ; ხოლო თუ იცის, – სრულიად შემთხვევით. ამიტომ მალევე დაივიწყებს. ადამიანი გამოპყოფია თავისი ფესვებით ყველას და ყველაფერს და მხოლოდ ზედაპირულ თანაყოფაშია სხვებთან. „სხვები“, ძირეულად, მხოლოდ უარყოფაა მისი. აქედან — სიკვდილის ტოტალობა. ადამიანი ყველა მხრიდან გარემოცულია უარყოფელი ძალით — სიკვდილით. ვაჟას „სიცოცხლის ფილოსოფია“ ზედ ეკვრის ადამიანის განვრცობას მთელი ბუნების მიმართ. კერძოდ, ბუნების ჩაუქრობელი სიცოცხლე იმთავითვე ადამიანურია. ბუნების მოვლენები და საგნები მხოლოდ სიცოცხლით კი არ არიან აღბეჭდილნი, არამედ – სწორედ ადამიანური სიცოცხლით. ადამიანებივით ფიქრობენ და ცხოვრობენ ფრინველები, ცხოველები, მცენარეები, მთები... მაგალითების მოტანა ვაჟას თხზულებებიდან არ არის საჭირო, რადგან ამას ვაჟას მკითხველი ყოველ ნაბიჯზე აწყდება. მეტისმეტად ზერელენი ვიქნებოდით, თუ ამ „ანთროპომორფიზმს“ მხატვრულ ხერხად მივიჩნევდით. ეს იქნებოდა ვაჟას ლექსებისა და მოთხრობების გამოცხადება იგავ-არაკებად. იგავ-არაკი, თავისთავად, ფრიად პატივისცემი ჟანრია ლიტერატურაში. საინტერესოა მისი



სიმახვილე და დამრიგებლობა. ოღონდ ესაა, რომ ვაჟა შორსაა ყოველივე ამისაგან. მისი ზემოთქმული „ნაიფურობა“, კერძოდ, მხატვრული ჭკვრეტა და განცდის სიმართლე სრულიად გამორიცხავს იგავურ ჟანრს, ეზოპეს ან იესოს სტიქიას. მცენარეებისა და ცხოველების, ბუნების სტიქიების სიცოცხლე ვაჟას ადამიანურ სიცოცხლედ ეჩვენებოდა და სრულიად ალაღმართლად აღწერდა მათს ადამიანურ ცხოვრებას. „ექსისტენციის ფილოსოფიაში“ ლაპარაკია ადამიანური სიცოცხლის ერთადერთობასა და განუმეორებლობაზე. სხვათა შორის, ასეთი მიდგომა სრულიად ეთანხმება ჩვენი დროის მეცნიერებასაც. დასავლური მეცნიერება ცნებებით აზროვნებას მხოლოდ ადამიანის თვისებად აცხადებს. „ექსისტენციის ფილოსოფიაც“ და დასავლური მეცნიერებაც აქ ერთნაირად შეიძლება ჩაითვალოს ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციის მემკვიდრეებად. ბიბლიამ დაბეჭითებით გახაზა ადამიანური აზროვნების უნიკალობა. მხოლოდ ადამიანი გამოცხადდა „ღვთის ხატად და მსგავსად“. სხვა ცხოველები ამ ღირსებას არ ატარებენ. ადამიანსა და ცხოველს შორის ისეთი უფსკრული გაითხარა, რომ მათი ერთად მოხსენიება და თუნდაც მიმსგავსებულად განხილვა ლამის მკრეხელობას გაუტოლდა. ისინი არ არიან ერთი შემოქმედის შვილები; სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ბიბლიამ ადამიანს გული გაუცივა მისი უძველესი მეგობრის – ცხოველის მიმართ და ამით ნადირთა უმოწყალო ჟღერის, ფანტასტიური კატაკომბების იდეოლოგიად იქცა. ამას უფრო ზოგადი სარჩულიც აქვს: ბუნება სხვაა, ადამიანი – სხვა. პირველი შემთხვევითი ქმნილებაა, მეორე – ღვთის ხატება და მსგავსებაა. ადამიანი ბუნებაზე განუზომლად მაღლა დგას და მასზე ბატონობს. თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ზედმეტად ქალაქური გეზი და ბუნებისადმი ბარბაროსული მოპყრობა სწორედ ბიბლიის ძველთაძველი დოგმებიდან მომდინარეობს. ყოველივე ეს სრულიად მიუღებელია ვაჟასათვის. ის, ამ შემთხვევაში, ქრისტიმდელი წარმართია. მას, ალბათ, გააღიზიანებდა დასავლელი მეცნიერის ნაკლებად დამაჯერებელი მსჯელობანი ცხოველთა არაგონივრული ქცევის, მათი

არაცნობიერი სიცოცხლის შესახებ. ბუნების სხვა შვილებიც ფიქრობენ და აზროვნებენ, უხარიათ და იტანჯებიან. ბუნების ეს ადამიანურობა თემური მრწამსიდან მომდინარეობს. როცა ადამიანები ჯოგურად ცხოვრობენ, მათ შორის განსხვავებას გასაქანი ჩახერგილი აქვს. ისინი ხის ფოთლებივით ჰგვანან ერთმანეთს. ადამიანის ინდივიდურობა, მისი განმარტოება და თვითგანვითარება, მის მიერ საკუთარი ცხოვრების ქმნადობა საკუთარი თავიდან, რასაც ბიბლია თავისუფლებას უწოდებს, ჯერ არ დაწყებულა. ადამიანს ნაკლებად ესმის თავისი განსხვავებულობა. ამიტომ ის გრძნობს განუკვეთელ ერთობას სხვებთან; მათ შორის – ბუნების საგნებთან. მას მცენარე თავისივე მსგავსი ჰგონია. ეფიქრება, თუ ისიც მასავით ცხოვრობს, მასავით ფიქრობს და განიცდის. ასეთია პირველყოფილი აზროვნება და ადვილი დასანახია, რამდენად მეტი საშუალება აქვს მას თვითგამოხატვისათვის. სიტყვები ისევე, როგორც საგნები, მრავალმნიშვნელოვანია, რაც ქმნის პოეტურ გარემოს. ადამიანის ფიქრი მიდრეკილია მხატვრული აზროვნებისაკენ, ლექსისაკენ. კულტურის განვითარება კი გეზს იღებს საგანთა მიმართებების მყარი გამოსახვისაკენ. თითქოს სიზმარი მიექანებაო სიცხადისაკენ, ზღაპარი – სინამდვილისაკენ, სიცოცხლე – მოსაწყენი ოპერაციებისაკენ. ყოველივე ამის საზრისი ერთია – წარმოსახვის უნარის ხარჯზე ფეხს იდგამს ლოგიკური აზროვნება. ნაირფეროვანი ბუნების ადგილზე მკვიდრდება შავ-თეთრი სამყარო, სადაც აზროვნების მხოლოდ ლოგიკური განზომილებაა შესაძლებელი. ადამიანს ზედმეტად ნათლად ესმის თავისი განსხვავება ყველასა და ყველაფრისაგან. ამიტომ აქ სრულიად ზედმეტია ლაპარაკი რაიმე „ანთროპომორფიზმზე“. არათუ ბუნება, არამედ მეორე ადამიანიც კი სრულიად განსხვავებულია ჩემგან და უცხოა ჩემთვის. ასეთ სამყაროში ვაჟა აღარ დაიბადება და არც მისი ლექსები დაინერება; ხოლო თუ დაინერა, იგავარაკებად აღიქმება. ზემოხსენებული ანთროპომორფიზმით აიხსნება ვაჟას „სიცოცხლის ფილოსოფიის“ განსხვავება დასავლური ფილოსოფიის ამავე სახელწოდების მიმართულეებისაგან. ვაჟას „სიცოცხლის ფილოსოფია“

ნარმართულია, მითოსურია, ცივილიზაციამდეღია; დასავლური კი ქრისტიანული ცივილიზაციის ნაყოფია. ის „რეაქციაა“, პასუხია განსჯის ცივილიზაციის მიერ სიცოცხლის დათრგუნვაზე. ამიტომ ის შიგადაშიგ ისტერიული და ავადმყოფურია. ნიადაგი, საიდანაც ის აღმოცენდა, სიცოცხლისა და გონების დაპირისპირებაა. ამიტომ რუსოს, შოპენჰაუერის, ბაირონის, ბერგსონის „სიცოცხლე“, როგორც წესი, გონების წინააღმდეგ ამბოხითაა აღბეჭდილი. აქ სიცოცხლის ზეიმი უთუოდ გონების ჩარჩოების გადალახვაშია. თავისუფალ სიცოცხლეს ფათერაკიანობის, ავანტიურისა და ერთგვარი სისასტიკის ანგელოსები დასტრიალებენ ზედ. ნიცშეს, ცხოველებს შორის, მაინცდამაინც არწივი, ლომი და გველი უყვარს. შოპენჰაუერს ქოფაკები უყვარდა. სხვაა ვაჟას „სიცოცხლის ფილოსოფია“. აქ სიცოცხლე და გონება ჯერ კიდევ არ გადამტერებიან ერთმანეთს. გონება სიცოცხლიდან აღმოცენდება და მას ემსახურება. სიცოცხლეს გონება ანათებს და ამშვენებს. ამიტომაც ეს სიცოცხლე სწორედ ადამიანური. მითოსური ანთროპომორფიზმი ბუნების ადამიანური გონიერების განცდაა. დასავლური „სიცოცხლის ფილოსოფია“ არ სცნობს არსებულის გონიერებას. ის ღალატებს არსებობის სისასტიკეზე. გონებას კი იგი განმარტავს გადაგვარებად, მძლავრი სიცოცხლის მოჩლუნგებად და დასუსტებად. ვაჟასაც უყვარს არწივი და გველი, მაგრამ ძალმორჭმულ ნადირთ, ვფიქრობ, მაინც შვლის ნუკრი და პატარა ბულბული ურჩევნია; ოკეანეს – წყაროს წყალი, მძლავრ მუხას – ობოლი ია. მაგრამ ეს სხვა თემაა. ამით მივაღწეეთ სიკეთისა და ბოროტების საკითხს ბუნებაში.

### 3. სიკეთე და ბოროტება ბუნებაში

როგორ ესმის ვაჟას ბუნება? ეს არის ხილული ქვეყნიერება თავისი „ქცევის წესებით“. არაფერია ამ ხილული ქვეყნიერების, ბუნების მიღმა – არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც რაიმე მარადიული ფორმები. ამ პირდაპირი გაგებით, ვაჟას არ სწამს არავითარი „მეტაფიზიკა“. ის, პირველი ბერძენი ფილოსოფოსების მსგავსად, „ფიზიკოსია“, ამ სიტყვის თავდაპირველი, ბერ-

ძნული მნიშვნელობით. ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ვაჟასათვის მიუღებელია ბუნების შემოქმედება ღვთის მიერ. ბიბლიური ღმერთი არაფრისგან ქმნის ბუნებას და ადამიანს. ვაჟას, ცხადია, ნაკლებად აინტერესებს ამგვარი მტკიცების ლოგიკურ-მეცნიერული გამართლებულობა. უბრალოდ, მისი მრწამსია ისეთი, რომ ბუნებაზე მაღლა არაფერი დგას. შეუმუსვრელია ბუნების სხეული, მატერია; უძლეველი და ბრძნულია მისი „ქცევის წესები“. მძლავრი და კდემამოსილია ბუნება. ვაჟა ისეთივე მონივნებით იხრის ქედს მის წინაშე, როგორც საშუალო საუკუნეების შთაგონებული ბერი – ეკლესიისა და იღუმალი ჯვარცმის წინაშე. ბუნება არავის შეუქმნია; მისი წესები არავის დაუდგენია. პირიქით, ყველაფერი ამქვეყნად იქმნება ბუნების მიერ, მისი წესებით. აი რა განაპირობებს მისი უძლეველობის რწმენას და მისდამი ღვთისმოშიშურ მოკრძალებას. ეს წარმართული ხედვა ხალხური ეპოსის ნაყოფია. ინდივიდის ცნობიერება ჯერჯერობით ხალხის უსახო წიაღში თვლემს. ადამიანმა მარტოობის სუსხი არ იცის. ის პირველქმნილი მთელის ნაწილად რჩება და თავის გაჩენას, ყოფნას და ქმნადობას ამ მთელს უმაღლის. ეპოსი განსაკუთრებით ჟამგამძლეა მთაში, რადგან აქ კერძო მოქმედებობის ასპარეზი ნაკლებია და ინდივიდი თავისი „ლირიკით“ ჯერ არ ჩანს. სხვა ვითარება იქმნება ბარში. აქ მეტია საფუძველი ინდივიდთა დამორიშორებისათვის. მით უფრო ითქმის ეს შუამდინარეთის გამო, სადაც სავაჭრო გზები იყრიდნენ თავს და ინდივიდს თვითდამკვიდრების მეტი საშუალება ჰქონდა. ბუნებამ აქ ადრე დაჰკარგა თავისი ღვთაებრივი შარავანდი და სახალხო ეპოსს ინდივიდური თვითცნობიერება ჩაენაცვლა. უნაყოფო, უდაბური მიწებით გაბეზრებულ ებრაელებს, წესით და რიგით, ჩქარა უნდა დაჰკარგოდათ „ბრძენი ბუნების“ განცდა. მათ ხალხისით უნდა მიეღოთ პიროვნული ღმერთის, მამის მიერ ბუნების შემოქმედების შუამდინარული იდეა. ეს იდეა შემდეგ ებრაული წიგნებიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაში გადავიდა. ამავე ნიადაგიდან აღმოცენდა „სიკეთის“ მონიზმიც. ეს, ძალიან მოკლეა, იმის მტკიცებაა, რომ ქვეყნიერება

სიკეთის მოფენაა. ბოროტება არ არსებობს. ის მხოლოდ ეჩვენება დაბინდულ ცნობიერებას. ასე სწამდა რუსთაველს: „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს“; „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ და სხვა. თითქოს უპიროვნო ყოფიდან ამოფეთქილი ინდივიდუალობა ვერ უძლებს ნამდვილ ბუნებას და თხზავს მასზე აღმატებულ „კეთილ სანყისს“. იწყება ბუნების „ჩასწორება“ ადამიანის მიერ, სინამდვილის დავიწყება. „სიკეთის მონიში“ ამგვარი ჩასწორების ერთი ნაირსახეობაა. მეორეა სპარსული დუალიზმი. სიკეთე და ბოროტება ანუ აჰურამაზდა და აჰრიმანი დამოუკიდებელი სანყისებია. ბოროტების ნეოპლატონური უარყოფა სპარსელებს ნამეტან თვითნებობად მოეჩვენებოდათ. ბოროტება არსებობს და განუწყვეტლად ებრძვის სიკეთეს, ვითარცა წყვილიადა – სინათლეს. ამ ბრძოლის დასასრული ჯერ არ ჩანს, მაგრამ უშორეულეს მომავალში იკვეთება სიკეთის გამარჯვება. ამით სპარსულ ცნობიერებაში ჩნდება ისტორიის იდეა, რაც შემდეგ ბიბლიისა და სახარების მთავარ აზრად იქცევა. სანამ ქრისტიანულ ისტორიზმს ვნახავდეთ, საინტერესოა თვალი გადავავლოთ „ბუნების ჩასწორების“ კიდევ ერთ, ამჯერად უკვე რადიკალურ ნაირსახეობას – ბუდიზმს. აქ ბუნება ბოროტების ველია. სიკეთე მხოლოდ ნაკლებ ბოროტებას ჰქვია. ამით ბუნების ისეთი სურათი იხატება, თითქოს ნეოპლატონიზმი დააყენესო თავდაყირა. ვეფხისტყაოსნის ბუნებისგან ქვა ქვაზე აღარ რჩება. სიკეთე ბუნების მიღმაა. ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი „მე“-ს გადალახვა და ღვთაებად გადაქცევა, წმინდა სულიერების მოპოვება. დაბოლოს, ვაჟას თავისებურების გამოსაკვეთად ზემოხსენებულ ქრისტიანულ ისტორიზმს შევხედოთ. ბიბლიის თანახმად, თავიდან ბოროტება არ იყო. სუფევდა მხოლოდ სიკეთე, მაგრამ, ეშმაკის ჩაგონებით, ადამიანმა შესცოდა და ქვეყნად ბოროტება შემოვიდა. ამიერიდან ბუნებაც ნახდა და ბოროტების ნაყოფად გადაგვარდა. ადამიანის ყოველივე მცდელობა ამაოა. ეს მხოლოდ ერთ ბოროტებას შეცვლის მეორით. მას იხსნის მხოლოდ რწმენა ანუ ავტორიტეტისადმი უპირობო მინდობა და მორჩილება. ცხოვრება იქცევა

მაცხოვრის ისტორიულ მოლოდინად. ღმერთი, ძის სახით, ისტორიას შეერევა და ბოლოს დაასრულებს კიდევ მას. ასეთია, ძალიან მოკლედ, პიროვნების მიერ „ბუნების ჩასწორების“ ძირითადი ნაირსახეობანი. მათ ერთი საერთო საზრისი აქვთ – გაჩნდა პიროვნება და მოკვდა ბუნება. მის სანაცვლოდ პიროვნებამ გამოიგონა უზენაესი, მიუწვდომელი „სიკეთე“ და ამით ინუგეშა, გაიმაგრა თავი. ბუნების „ჩასწორების“ ოთხივე ზემოხსენებული ნაირსახეობა ხალხური ეპოსის ნანგრევებზე შექმნილი „ლირიკული“ თხზულებებია. ვაჟას განსხვავება ოთხივესაგან სრულიად ნათელია. მისთვის მიუღებელია სიკეთის ნეოპლატონური მონიში და ვეფხისტყაოსნის ქვეყნიერება. ბოროტება ისევე ნამდვილად არსებობს, როგორც სიკეთე. ქაჯეთის ციხე რაღაც საიდუმლო ადგილას კი არაა, არამედ ბუნების ყოველდღიურ სიკეთეშია შერეული. ქაჯები სადღაც მცხოვრები საიდუმლო არსებანი კი არ არიან, არამედ ჩვენს თვალწინ ტრიალებენ. ქაჯები ბუნების, ადამიანების ნაწილია და მათი მოქმედება წამითაც არ წყდება ბუნებაში, ჩვენს ცხოვრებაში. ასევე მიუღებელი იქნებოდა ვაჟასათვის სპარსული ზოროასტრიზმი – სიკეთისა და ბოროტების დუალიზმი. არც სიკეთეა დამოუკიდებელი სანყისი და არც ბოროტება. დამოუკიდებელი სანყისი თვითონ ბუნებაა. სიკეთე და ბოროტება მისი ორი სხვადასხვა ფერია. ისინი ცხოვრების ბოპოქარი ზვირთის ერთმანეთში აღრეული ნაკადებია. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, რომ ისინი ერთმანეთს ეჭიდებიან. ისინი თვითონ იბადებიან ცხოვრების ჭიდილში, ბუნების დუდილში და თითოეული მათგანის დაღუპვა მთელი ცხოვრების დაღუპვა, ბუნების გაქრობა იქნებოდა. ამიტომაც სრულიად მიუღებელი იქნებოდა ვაჟასთვის სიკეთის სამომავლო გამარჯვების სპარსული რწმენა. სიკეთის გამარჯვება ამავე დროს ბოროტების გამარჯვებაა, ხოლო ბოროტების დამარცხება – სიკეთის დამარცხებაც. ინდური „პესიმიზმი“ ანუ ბუნების უარყოფა წმინდა სულიერებისათვის ვაჟას არ მოეწონებოდა იმავე მიზეზით. ბუნების გადალახვა ბუდას მიერ მას არ ესმის. ბუდას გარინდება ანუ ბუნების გაჩერება არ

არსებობს. ეს მას თვითმკვლელობად მოეჩვენებოდა. ბუნების იქით მსუფვევი არარაობის რაიმე დადებითი აზრი ვაჟას არ ესმის. ბუნების იქით არაფერია და ეს არაფერი შეუძლებელია რაიმე იყოს. არაფერი არაფერია, მორჩა და გათავდა. ბიბლიურ-ქრისტიანული ისტორიზმიც არანაკლებ უცხოა ვაჟასათვის. ბუნება წრეში ტრიალებს. მისი არსებობის გეომეტრიული გამოსახულება წრენირი იქნებოდა; არანაირად – წრფე, რაიც თურმე ბოროტებიდან სიკეთისაკენ მიემართება. ქრისტე, ვითარცა ზებუნებრივის ისტორიული გარევა ბუნებაში, ვაჟას ველური წარმოსახვის ნაყოფად მოეჩვენებოდა. ეს ბუნების დამცირება იქნებოდა. ბუნებაში მხოლოდ ბუნებრივი არსებობს. ხოლო თუ ბუნებაში შემჩნეულ „ზებუნებრივს“ კარგად დავაკვირდებით, მასში ისევ ბუნებრივს აღმოვაჩინებთ. ბუნების განახლების ქრისტიანული იდეა ბუნების ბიბლიური წარწყმედის პასუხია. ვინც ბუნების განახლებას შეეცდება, რაღაც სიმახინჯეს და ურჩხულს მიიღებს, ხოლო შემდეგ ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. ცვლილებანი ადამიანის შთაბეჭდილებებზე მოქმედებენ და აღიქმებიან წანწყმედად ან განახლებად. მაგრამ ეს სულსწრაფობის და სიცოცხლის ნიშანია. ბუნება ბრძნულად მიუყვება თავის წრეს და უცვლელი ზომიერებით აწვდილებს სასწაულებზე მონადირეებს. ყველაზე დიდი სასწაული თვითონ ბუნებაა თავისი ბრძნული წესებით. ვისაც სასწაული შეუჩვენებელი ეშლება, მან უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს, თვალი კარგად უნდა გაახილოს და სასწაულს ყოველ ნაბიჯზე იხილავს. ბუნება უთვალავი ფერით „გვაქვს“. აქ აურაცხელი სიცოცხლე ირევა ერთმანეთში. სიცოცხლის ზვირთები ერთმანეთს ენასკვება და ერთმანეთში იფშენება. კაცი იფიქრებს, რომ ბუნება „მრავალია“, „სიმრავლეა“. მაგრამ ის შეცდება, თუ ამ მრავლობას თვალი ვერ გადაანვლინა და „ერთი“ ვერ იხილა. ბუნება თავის სიღრმეში „ერთია“, საწინააღმდეგოთა ერთობაა. სიცოცხლე მხოლოდ ამ წონასწორობითაა შესაძლებელი. ვინც მხოლოდ თეთრს ისურვებდა, ის მას დაჰკარგავდა. თუ თეთრი გინდა, შავიც უნდა მიიღო. თუ ერთი გაბატონდა, ამით სიცოცხლე მოისპობოდა. ყველაფერი ცოც-

ხლობს და სუნთქავს მისი საპირისპიროს წყალობით. აზრისათვის ეს ძნელად გასაგები ვითარება ბუნების მთავარი საიდუმლოებაა. არსებულთა სიცოცხლე საწინააღმდეგოს განადგურების მცდელობაა. ბუნების სიბრძნე კი საწინააღმდეგოს შენარჩუნებაში ანუ არსებულთა განზილებაშია. ქვეყნიერება წინააღმდეგობა და ბრძოლაა. ომია მისი მამა-ღმერთი. ბუნება „მარსის ველია“. ყველაფერი ბრძოლაში იბადება და კვდება. ეთიკურად ამის გამართლება შეუძლებელია. ბუნება ეთიკურად გაუმართლებელია. ის ბოროტებითაა აღსავსე, მაგრამ გარეგნულად ეს ყოველივე ლამაზია. მას პოეტურად, ბავშვურად უნდა უჭვრიტო: „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტუაციით ჰყვავისა“. ვაჟა ფიქრობს, რომ ბუნების, სიცოცხლის ეთიკური განსჯისგან თავი უნდა შეიკავო. პიროვნებად ყოფნა დიდი უბედურებაა. უნდა დაკმაყოფილდე ბუნების, სიცოცხლის გარეგანი შთაბეჭდილებებით, მისი გარეგანი ბრწყინვალეებით, „სილამაზით“. ეს ესთეტიკური ყოფნაა ადამიანთა ცხოვრების უძველესი საიდუმლოება. ვაჟა მას შენატრის, ვითარცა ცხოვრების ერთგვარად უმანკო და ბუნებრივად ჯანსაღ გზას. მაგრამ ვაჟას არ შეეძლო ცხოვრების ეთიკური შეფასების გარეშე. მას ღრმა ინდივიდუური თვითცნობიერება აწვალებდა, რაც ბუნების უარყოფისაკენ მოუწოდებდა. ეს კი ღრმა შეცდომაში არწმუნებდა და ისევ ცდილობდა ბუნების ესთეტიკურ განღმერთობას დაბრუნებოდა. ეს წინააღმდეგობა გამოხატავს ყველაზე ღრმად და სწორად მის მსოფლმხედველობას. ვინც ვაჟას „პანესთეტიზმის“ მომხრედ მიიჩნევს, მას მინდიას სახე გაუქრება. მაგრამ ვინც მინდიასთან გააიგივებს ვაჟას, მას ბუნებისადმი ვაჟას თაყვანისცემა გამოორჩება მხედველობიდან. აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში უკიდურესობაში ვვარდებით. გამოსავალი ერთია: ვაჟას მსოფლმხედველობა მძლავრ წინააღმდეგობას გამოხატავს მინდიასებურ ეთიკურ სულსა და ბუნების თაყვანისმცემელ ესთეტიკურ სულს შორის. ვაჟა მწვავედ განიცდიდა თავის „ეთიკურ ინდივიდუალიზმს“ და ნატრობდა თემის „ესთეტიკურ უნივერსალიზმთან“ დაბრუნებას.



#### 4. „ბუნების უარყოფის“ ეთიკური მოტივი

ვაჟას „პანესთეტიზმი“ იმდენად მკაფიოა, რომ სრულიად მოულოდნელია ლაპარაკი ვაჟას მიერ ბუნების უარყოფაზე. მაგრამ ამგვარი უარყოფა ნამდვილად ხდება. ვაჟას შემოქმედებაში კიდევ უფრო მკაფიოა ეთიკური მოტივი ანუ პიროვნების, „კარგი ყმის“ თემა. ამას ბზარი შეაქვს ბუნების ელვარე მთლიანობაში. ბუნება თითქოს უკან იხევს, მკრთალდება. ის აღარ გამოიყურება ქვეყნიერების შუაგულად და თითქოს ნაპირისაკენ ირიყება. ვფიქრობ, ამ ვითარების სიმბოლოა მთების პირქუშობა და მოლოდინი. მაღალ მთებს „გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტრობისა. ეს არის კიდევ ნიშანი მოლოდინისა“. სერგი დანელია გონებამახვილურად განმარტავს მთების მტრულ გამომეტყველებასა და მოლოდინს, ვითარცა მათი მატერიალურობის ნიშანს. ნივთიერი წარმონაქმნი, ჰეგელის თქმისა არ იყოს, ურთიერთ-გარე-მდებარეობის წესითაა აგებული. ამიტომ აქ უცხოობა და მტრობა სჭარბობსო ყველაფერს. მეორე მხრივ, ნივთები ვნებითი გვარისააო. ამიტომ მას ზედ აღბეჭდვით მოქმედებითი მხარის მოლოდინი; იმ ძალისა, რომელიც მისგან რაიმეს შექმნის. მაღალი ჰეგელისეული გემოვნებითაა ახსნილი! ჰეგელის სამყაროში მთა მართლაც ასეთია და ჰეგელიც ასე ახსნიდა მის ბუნებას. ვფიქრობ, „მთანი მაღალნი“ გამოხატავს ბუნების არათვითმარობის ეთიკურ მოტივს. მთის ესოდენი სიქურუხე, მტრობის გამომხატველი, ბუნების კრიზისის ნიშანია. მარტო მტრობაზე ცხოვრება ვერ დაფუძნდება და გარეგანი მაშველი ძალაა საჭირო. აი, რას ელოდებიან მთები. თითქოს ბუნებას აკლია საარსებო ძალა და ამიტომაც ერთთავად მოლოდინს დამგვანებია. მთები სწორედ ამ მოლოდინს გამოხატავენ. ეს ღრმად ტრაგიკული განცდაა და მესიის ისტორიულ მოლოდინს ჰგავს, რითაც ებრაული ცნობიერება იყო შეპყრობილი. წარმართულ ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება. ბუნების წარმართულ, „პანესთეტიურ“ ქებათა-ქებას იდუმალი მოლოდინის თემა არ ეთანხმება. ლამის არი, მოთხრობის ბოლოს გამოჩნდეს ზებუნებრივი ღმერთი და მხსნელი კალთა გადააფაროს მთებს! ყოველი-

ვე ამის საზრისი ერთია: თემური ცნობიერება გაბზარულა და გამოკვეთას იწყებს ინდივიდი, პიროვნება. მთის უძველეს პრინციპს – ხალხურ ცნობიერებას გამოჰყოფია ინდივიდური თვითცნობიერება. აქ კი მეორდება უძველესი ბიბლიური ამბავი: პირველმა ადამიანებმა შეცოდებისთანავე იხილეს, რომ შიშველნი იყვნენ და ლეღვის ფოთოლი აიფარეს. ესაა ბუნების უარყოფის მეტაფიზიკური აქტი. ინდივიდური თვითცნობიერების საგნად მაშინვე იქმნება ახალი ბუნება, რომელიც უკვე აღარაა ღვთაებრივი. ის ადამიანზე დაბლა დგას და ჩასწორებას საჭიროებს. წარმართულ პანესთეტიზმს ცვლის პიროვნული ეთიკური იდეალიზმი.

#### 5. ეთიკური იდეალიზმი

პიროვნება კრიტიკული ძალაა. მას ტკბილად აგონდება მშობლების სისრულე და სიბრძნე, ბუნების ღვთაებრიობა, მაგრამ თვალწინ მშობლიური ბუნების ნანგრევებსლა ხედავს და თავისი კრიტიკული გენიით ცდილობს ბუნების მასალისაგან შექმნას რაღაც უკეთესი. იწყება ხალხური ცნობიერების ნგრევისა და ინდივიდუალიზმის ხანა. ინდივიდუალიზმი სამი ძირითადი სახით გაიშლება და სამივეს ვხედავთ ვაჟას შემოქმედებაში. ინდივიდუალიზმი, რაიც მოსდევს ცოდვით დაცემას, ყველაზე ადვილად, ყველაზე ბუნებრივად და თითქმის უგამონაკლისოდ ზნეობრივი ხრწნის სახეს იღებს. ადამიანი თავისუფლდება თემის მარადიული წესებისაგან, უსხლტება მთას – ზნეობის გუშაგს, ჩამოდის ბარად და ცდილობს თვითნებობას. მთავრდება აუცილებლობა და იწყება თავისუფლება. ადამიანი ველარ ეტევა ძველ ჩარჩოებში. მცირედით აღარ კმაყოფილდება და გაუმაძღარი ხდება. რაკი სასურველს ვერავენ მისცემს, მტაცებელი ხდება. რაკი მიტაცებისათვის ძალა არ ჰყოფნის, სიცრუეს იხდის ცხოვრების წესად. ასეთ პირობებში სხვები მტრებად აღიქმებიან, რის გამოც მთელი ცხოვრება სიძულვილის მომწამვლელ გარემოში მიედინება. ინდივიდუალიზმის ეს ნაკადი წარმოშობს ვაჟას მსოფლმხედველობის ერთ გამოკვეთილ ნიშანს – ადამიანზე მაღლა ცხოველის დაყენებას. თითქოს ბუნებაში ბოროტება

ადამიანს შეაქვს. ბუნების სხვა არსებანი ბევრად უფრო კეთილნი და ზომიერნი მაინც ჩანან ადამიანთან შედარებით. ადამიანს უთანხმოება შეაქვს ბუნების წონასწორობაში. „კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი“, – ჩივიან მუხის ფესვები. „რა შეუბრალებელია კაცი?! – სწუხს ია. – რასაც კი დაინახავს, უნდა თავის სასარგებლოდ მოიხმაროს“. „რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? – ქვითინებს დაობლებული ნუკრი. – რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა? რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვთ; არა გრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება; არა გრძნობთ თქვენის შეუბრალებელი გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლების შრიალი, წყლის ცქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო! თვალბდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას“. ძნელია მოიძებნოს მსოფლიოს ლიტერატურაში ადამიანის ესოდენ დამაჯერებელი და გულმართალი დაგმობა, როგორც ვაჟას ამ მოთხრობაშია. ვაჟა ისეა გატაცებული ადამიანის გმობით, რომ ხშირად ავიწყდება ბუნების არანაკლები სისასტიკე. მკრთალდება სიკეთისა და ბოროტების წონასწორობის პანესთეტიური მოტივი. პოეტი იქეთკენ უფრო იხრება, რომ ბუნება, უმთავრესად, კეთილი სუბსტანციაა, ხოლო ადამიანი – უმეტესად, ბოროტი ძალა. ინდივიდუალიზმის ეს პირველი ნაკადი ბუნების უარყოფაა იმ მხრივ, რომ ადამიანმა ბუნების სახელგანთქმული, ბრძნული წონასწორობა დაარღვია. მან სიკეთისა და ბოროტების ბუნებრივი წონასწორობის ადგილზე შექმნა ბოროტების სიჭარბე. მაგრამ ამას თან ახლავს მეორე ნაკადი. ბოროტების წიაღში ფეთქავს, თვალებს ახელს სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის დიადი მისტერია. იბადება ახალი, ბუნებისათვის უცხო მოვლენა – პიროვნული ზნეობა. ის მომდინარეობს ბუნების

უარყოფიდან. ბუნებამ დაანესა სიცოცხლე და მის კანონად – ბრძოლა. დაუნდობელია ეს ომი – ცოცხალი არსებანი ერთმანეთით იკვებებიან. ინდივიდუალური თვითცნობიერება განზე გადგარა ამის შესამეცნებლად და შესაფასებლად. ადრე, ხალხური ცნობიერების წიაღში ის ცხოველივით ფშვინავდა ამ შინაგანანესში და უნაშთოდ ერწყმოდა მას. ახლა ის თვითონ, თავისი თავიდან იწყება და თვითონვე უდგენს თავის თავს წესებს. ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა, ინდივიდური თვითცნობიერების მოპოვებისას, ხელუხლებლად ტოვებს ბუნების მთავარ წესს – ბრძოლას სხვის დასამარცხებლად და არღვევს მხოლოდ ბუნების მიერ დაწესებულ ზომიერებას ამ ბრძოლაში. მაგრამ იშვიათი უმცირესობა სწორედ რქაში წვდება ბუნებას. ის კრიჭაში უდგება მის მთავარ წესს – ბრძოლას სხვათა დასამარცხებლად და დასამორჩილებლად. ამის სრულიად საწინააღმდეგოდ, მას უჩნდება თანაღმობის წესი. მას ებრალება სხვები. ამით იქმნება ზნეობა და ამითვე ძირი ეთხრება ბუნების მთავარ წესს. ეს წინააღმდეგობა ბუნებასა და ზნეობას შორის ვაჟას დიდი ტკივილია და ის ვერ ძლება ამ თემის ნაირ-ნაირი, სულ ახალ-ახალი წარმოჩენითა და გაშუქებით. ასეთ ჭრილში ბუნება, უმეტესად, ბოროტ ძალად გამოიყურება. იძალებს სასტიკი ბრძოლის მრუმე სურათები ბუნების ხატვისას. აქ უკვე ადამიანი აღარაა ბოროტების მთავარი წყარო. ადამიანი განაგრძობს იმას, რაც თვითონ ბუნებაშია დათესილი. უბრალოდ, ის სხვა მტაცებლებზე მეტად მოხერხებული და გონიერია. შვლის ნუკრი თუნდაც რომ გადაურჩეს ადამიანს, ვერ გადაურჩება მგელსა და არწივს. ბუნება ყველა მხრიდან დამიზნებულია მის გასაქრობად. მეტიც, არც ერთი მტაცებელი ცხოველი რომც არ იყოს, იას მაინც ვერაფერი იხსნის – თვით ის შვლის ნუკრი გადათქერავს და მზეს ჩაუქრობს, რომლის საცოდაობამაც სულ ახლახან გული ჩაგვიწვა. სადღაა ბუნების დიადი სიბრძნე და სიკეთე, მისი ღვთაებრიობა? არსად! პირიქით, ბუნება ზნეობრივ შეფასებას ოდნავაც ვერ უძლებს. მას გარედან სჭირდება ხსნა და ამას თუ ელოდებიან მთები? ერთ-ერთი მხსნელი კი პიროვნებაა. ინდივიდუალური

თვითცნობიერება თანაღმობით ივსება ბუნების ქმნილებათა მიმართ, რომლებიც ბუნების სასტიკი წესის მსხვერპლნი არიან. ეს წესი „კარგ ყმას“ თვალში არ მოსდის. ბუნება არათუ ბრძენია, არამედ „უკუღმა ტრიალებს“. ფხიზელ ცნობიერებას ქვეყანა უკუღმა აწყობილი ეჩვენება. მხოლოდ მთვრალს ჰგონია ის ასატანი. „დამისხი, დამალეინე ეს ღვინო ოხერტიალი, ეგება წალმა ვიფიქრო ბედის უკუღმა ტრიალი“. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვაჟა სოციალურ უკუღმართობას გულისხმობს. ის ბევრად უფრო ძირძველ, ბუნებიდან მომდინარე უკუღმართობებს გულისხმობს, რაიც ალუდას და მინდიას აწამებდა. ბუნებას შეწყობილი ადამიანები ამჯერად ვაჟას „მთვრალეზად“ ეჩვენება. ასე ფიქრობდა პლატონი, როცა ადამიანთა საზოგადოებას მემთვრალეთა ჯგროს ადარებდა. ბუდა ისევე, როგორც გვიან დანტი ალიგერი, ადამიანს ცხოვრების სიზმრიდან გამოღვიძლებას ურჩევდა. ჰეგელი კი ბუნებას ბახუსის ორგიად მიიჩნევდა, რომლის ყველა წევრი მთვრალია. ასეა, დიდი ადამიანები ეპოქიდან ეპოქაში გადასძახებენ ხოლმე ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ვაჟა ბუნების ნამდვილი კრიტიკოსია, არათუ მეხოტბე. მაგრამ ბუნება, ამავე დროს, ერთადერთი ღვთაებაა, რის გამოც ბუნების კრიტიკა პოეტისათვის იგივეა, რაც ნიცშესათვის – „ღმერთის სიკვდილი“. ამიტომ ვაჟასათვის ეს იგივე როდია, რაც – ცალტვინა მორალისტიკისათვის. უკანასკნელი ბუნებას მედიდურად და მთქნარებით აკრიტიკებს, ვაჟა კი ბუნების კრიტიკით არსებობის საწყისს ჰკილავს. ამიტომ ეს მისთვის მიწისძვრის და ღრმა ტრაგედიის ტოლფასია. ამაოდ ცდილობს გმირი, ფეხი აუწყოს სოფელს, ბუნებას: „ვერ მანონებ კარგს ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია“. მას არ მოსწონს ბუნების მთავარი წესი და „ეთიკურ“ პოზიციას იკავებს. ბუნების ეთიკური უარყოფა იწყება თანაღმობის წესიდან: ვაჟა, ბუნების წინააღმდეგ, სუსტს თანაუგრძობს. არწივს ბულბული ურჩევნია, მგელს – შველი, შველს – ია. რა არის ეს, თუ არა ბუნების წესთან კრიჭაში ჩადგომა? რა არის ეს, თუ არა ეთიკურის არაბუნებრიობა? ზნეობა ბუნებისა და სიცოცხლის წინააღმდეგო წარმონაქმნია.

ბუნება, სიცოცხლე ძლიერის მხარეზეა, ზნეობა – სუსტისა. ვაჟას, ბუნების წინააღმდეგოდ, იმდენად ეზიზღება ძლიერი, რომ ურჩევნია სუსტი, უმანკო მსხვერპლი იყოს ამ საყოველთაო ომში. ეს ნამდვილად ქრისტიანული მრწამსი პოეტმა იშვიათი სიმწყობრით გამოთქვა ლექსში „ჩემი ვედრება“:

„ბალახი ვიყო სათიბი,  
არა მწადიან ცელობა;  
ცხვრადვე მამყოფე ისევა,  
ოლონდ ამშორდეს მგელობა,  
არ წამიხდინო, მეუფევე,  
ეგ ჩემი წმინდა ხელობა“.

მსგავს მრწამსს სოკრატეს ეთიკურ პარადოქსებს შორის ვხვდებით. „სახელმწიფოში“, საგანგებოდ კი „სოფისტეში“, პლატონი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ უსამართლობის მსხვერპლად ყოფნა სჯობია უსამართლოდ მოქცევას. სჯობს აქეთ გჩაგრავდნენ, ვიდრე იქით ჩაგრავდე. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ კი ეს პარადოქსი თანაღმობის ჩვეულებრივ წესად აქცია და ერთ-ერთ მთავარ სათნოებად დასახა. ასეთი, უხეშად რომ ვთქვათ, მაზოხიზმი ქრისტიანისათვის ჩვეულებრივი ეთიკური წესია. ოლონდ ამ ქრისტიანულ თანაღმობაში, კაცმა რომ თქვას, არაფერი ან თითქმის არაფერია ტრაგიკული. ადამიანი, მოყვასისადმი თანაღმობისას, მიუყვება მამისა და ძის მიერ გატკეპნილ გზას. მას ზურგს უმაგრებს ღმერთიც და კაციც, ერიც და ბერიც. სხვაა ვაჟასეული თანაღმობა. ის ტრაგიკულია, რადგანაც ზნეობრივი გმირი მარტო რჩება თავისი თავის ამარა. მისთვის არაა არც ღმერთი და არც კაცი. აკი კეთილი ქცევა სრულდება ბუნების ანუ ღმერთის წინააღმდეგ, ერთი მხრივ, და თემის ანუ ადამიანის წინააღმდეგ, მეორე მხრივ. გმირი მარტო რჩება თავისი სიმართლის ამარა და საიდანღა უნდა მიხვდეს, რომ მართალია? ზნეობრივი გმირის ტრაგედია თუნდაც იმაში ჩანს, რომ ის, როგორც წესი, მარცხდება. ეს ვაჟასთან ურყევი წესია, რადგან პირდაპირ გამომდინარეობს მისი მსოფლმხედველობიდან. ზნეობრივი გმირი ხომ თვით ბუნებას ანუ ღმერთს ერკინება? თემი სწორედ ბუნების წარმონაქმნია და მას უდრის. ის უნაშთოდ ერწყმის ბუნებას. ამიტომ შეცდომაა გავრცელებული



ბული აზრი, თითქოს ვაჟასეული ზნეობრივი გმირის ტრაგედია თემთან დაპირისპირება იყოს. ზნეობრივი გმირის ტრაგედია ბუნებასთან დაპირისპირებაა ამ უკანასკნელის სუბსტანციურობის, ღვთაებრიობის პირობებში. ზნეობრივი გმირი სრულიად მარტო რჩება და მისი მარცხი, უბრალოდ, გარდაუვალია. თავიდანვე იგრძნობა, რომ სხვაგვარად შეუძლებელია. ფილოსოფიის ისტორიაში იშვიათია ზნეობის ესოდენ ტრაგიკული კონცეფცია. მართლაც, ზნეობა ანადგურებს გმირს. მას მიაქვს გმირის ცხოვრებიდან სამშობლო, ცხოვრების თითქმის ყველა წყარო და საშუალება, ღვთის შენევის იმედი, თვით სიცოცხლე. სამაგიეროდ კი არაფერი მოაქვს. მეოცე საუკუნის ცნობილმა ფრანგმა მწერალმა და ფილოსოფოსმა ალბერ კამიუმ არ იცოდა ვაჟას არსებობა, თორემ მის ნაწარმოებებში იპოვიდა თავისი „აბსურდის ფილოსოფიის“ არაერთ ძვირფას დასტურს, „აბსურდული გმირების“ მარგალიტოვან ნიმუშებს. მაშ, რა მოაქვს ზნეობას? მხოლოდ ვაჟაკაციური ღირსების შეგრძნება! ამ გრძნობით კვდება ზვიადაური; ამ გრძნობით მიაბიჯებს თემის მიერ მოკვეთილი ალუდა ქეთელაური თოვლიან წყვილიაღში საბრალო ცოლ-შვილთან ერთად და ყოველ წამს ზვავში დამარხვა ემუქრება. რა გაუძლებს ამდენ წინააღმდეგობას, ასეთ უთანასწორო ბრძოლას? ვაჟას სწამს, რომ ვაჟაკაცი ტანჯვის ატანით იზომება. ცხოვრებაში სიამოვნების მოლოდინი ვაჟას უგნურებად მიაჩნია: „არ იცი, არა, ჭკვა-თხელო, ყბედო, ზეზერე მგრძნობარე, თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარე“. ტანჯვა ადამიანობისათვის ბუნებრივი ხვედრია. „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული“. ტანჯვა, ცხადია, თვითმიზანი არაა. ეს მაზოხიზმი იქნებოდა. ტანჯვა თან ახლავს ადამიანობის, „კარგი ყმობის“ აღსრულებას. ვაჟას შემოქმედებაში, ეტყობა, სულ უფრო იზრდებოდა ტრაგიკული წინააღმდეგობა „ბუნების რელიგიასა“ და „ბუნებასთან ეთიკურ განხეთქილებას“ შორის. „ბუნების რელიგია“ მას, ასე ვთქვათ, გენეტური კოდიდან მოჰყვებოდა. ეს მისი თემურ-წარმართული კვეთება იყო. მეორე მხრივ, თემის რღვევა და ბურჟუაზიულ-კოლონიური ცხოვრების წესის დამ-

კვიდრება პოეტის ინდივიდუალიზმს განაპირობებს და „მჭვრეტელი ესთეტიკოსისგან“ მემამბოხე „ეთიკოსს“ ქმნის. თითქოს ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ხომ შეიძლება, რუსოსავით, ბუნებას აღმერთებდე, ცივილიზაციას კი მტრობდე? მაგრამ, რუსოსაგან განსხვავებით, ვაჟა ღრმა წინააღმდეგობებში ეხვევა. საქმე ისაა, რომ მას, რუსოსგან განსხვავებით, ბუნება ერთადერთ „დემიურგად“ მიაჩნია. რა გასაკვირია, თუ ცხოვრებისეული უზნეობის ფესვებსაც ბუნებაში ეძებს? ბოროტება ადამიანმა შეიძლება გააღრმავა, გაადიდა, მაგრამ არ გამოუგონია. ძველმა და ახალმა აღთქმებმა ერთნაირად მოუხსნეს ღმერთს პასუხისმგებლობა ბოროტებისათვის. ამით, მე ვიტყვოდი, ღვთის შინაარსი, შედარებით, გაღარიბდა, მწირი გახდა. ამას გრძნობდნენ ბოემე, ეკჰარტი და სხვა გერმანელი მისტიკოსები. მათ ღვთის სიკეთეზე მეტად მისი მიუწვდომლობა იზიდავდათ. ვაჟასაც ბუნება სულ უფრო მიუწვდომელი და იდუმალი ეჩვენება. ბოროტებაც, არსებითად, ბუნებიდან მომდინარეობს. ვაჟას ცხოველთა სამყაროში ადვილად იკითხება წამხდარი ზნეობის ადამიანთა პროტოტიპები. ბუნებაც, საზოგადოების მსგავსად, სავსეა ეგოიზმით. უკანასკნელის მხოლოდ ფორმებია სხვადასხვა. ძლიერთა ეგოიზმი გულს გვიკლავს გულცივობით და სისასტიკით. ასეთია არწივი. სუსტთა ეგოიზმი კი გულს გვირევს სიცრუით, მლიქვნელობითა და მუხანათობით. ასეთია, უპირველესად, სვავი. ვაჟა პირწმინდად მოაწერდა ხელს ნიცშეს სიტყვებს: „ბუნება ეთიკურად გაუმართლებელია!“. მაგრამ მთავარი ისაა, თუ ვინ ამბობს ამ სიტყვებს, „ესთეტიკოსი“ თუ „ეთიკოსი“? თუ „ესთეტიკოსი“, მაშინ ეს სიტყვები არავითარ ტრაგედიას არ შეიცავს. მერე რა, სამაგიეროდ, ესთეტიკურად ხომაა გამართლებული? სხვა სიტყვებით: ბუნება „მანც კი ლამაზი არი, მანც სიტურფით ჰყვავისა“. მსოფლიო კატასტროფაშიც კია რაღაც ამალღებული და მიმზიდველი! ამ „პანესთეტურ“ მოტივს ავითარებდნენ დასავლეთში ნიცშე, უაილდი და სხვები. ის ძლიერად ჟღერდა გალაკტიონ ტაბიძის ოციანი წლების ლექსებში. მე მეჩვენება, რომ ვაჟას შემოქმედებაში თავიდან სჭარ-



ბობდა ესთეტიზმი, მაგრამ თანდათან, როგორც ეს საერთოდ ხდება ასაკის კვალობაზე, ვაჟას ცნობიერებაში წინ წამოინეწეს ეთიკური მოტივი. ვაჟას სულ უფრო ნაკლებად სჯერა, რომ „მაინც კი ლამაზი არი, მაინც სიტურფით ჰყვავისა“. ის ყოველთვის „სიტურფეში“ ხედავდა გამოსავალს, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად არ სჯეროდა ამისა. ყოველთვის არ შესწევდა ძალა ამ ტრაგიკული ესთეტიზმის მისაღებად. ეთიკური მოტივი სულ უფრო იზრდებოდა-მეთქი ვაჟას აზროვნებაში. ამას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ „ბუნების უარყოფა“, რაც თითქოს სრულიად მოულოდნელი უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას სამყაროში. ვაჟა განდევილი ინდუსივით უარყოფს ბუნებას. ლექსში „იას უთხარით ტურფასა“ ასკეტურადაა დაწუნებული ძლიერისადმი მხარდაჭერის ბუნებისეული წესი და სუსტისადმი თანაგრძნობა ბოლომდეა მიყვანილი. პოეტს სიცოცხლე წინდაუხედავ ავანტიურად ერგებება და ტურფა იას არ ურჩევს ქვეყნად მოსვლას. ყოფნაში არა ყრია რა. „იას უთხარით ტურფასა: მოვა და შეგჭამს ჭიაო, მაგრე მოლხენით, ლამაზო, თავი რომ აგილიაო! შენ თუ გგონია სიცოცხლე სამოთხის კარი ღიაო; ნუ მოხვალ, მიწას ეფარე, მოსვლაში არა ყრიაო. ნუ ნახავს მზესა, ინანებს, განა სულ მუდამ მზეაო!..“ აქ ბუნება უარყოფილია იმაზე მეტად, ვიდრე ეს ხდება შუა საუკუნეების ქრისტიანულ მისტიკაში. ქრისტე ამცირებს ბუნებას, ვითარცა ღვთის ჩრდილში დაგვაღულ ნაკლულობას. მაგრამ ბუნება ქრისტეს ძალით აღდგება და გაბრწყინდება. ვაჟაც კი ლაპარაკობს მთების მოლოდინის გამო, მაგრამ ზემოხსენებული მისტიციზმი მისთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომ ვახსენე სულის ინდური კვეთება, რაიც მოგვიანებით დიონისეს ბერძნულ მისტიკურებშიც გამოკრთა დიონისეს მასწავლებლის, სილენოსის სწავლებაში: „ბედკრულო არსებავ, შენთვის უმჯობესია არც იცოდე სინამდვილე. სჯობდა, სულაც არ გაჩენილიყავ; ხოლო თუ გაჩნდი, მალევე დაუბრუნდე არყოფნის წიაღს“. ადვილი შესამჩნევია, რომ ამასვე ურჩევს ვაჟა იას. ბუნება უარყოფილია ეთიკური მოსაზრებით. „აღუდა ქეთელაურში“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ

თემთან და ბუნების მარადიულ წესთან დაპირისპირება შემთხვევითია. პოემებში არა ჩანს თემთან ალუდასა და ჯოყოლას დაპირისპირების რაიმე წინაისტორია. ეს წინააღმდეგობა შემთხვევითობის ნიადაგზე წარმოიშვა. საბედისწერო შემთხვევითობა რომ არა, ეს წინააღმდეგობანი არ იფეთქებდა. ეს თუ მართლა ასეა, ტრაგედია სუსტდება. მაგრამ წინააღმდეგობა, რომელიც თითქოს შემთხვევით წარმოიშვა, მერე თანდათან იზრდება. ეტყობა, შემთხვევა საბაბი იყო, უკვე არსებულის ასაფეთქებლად. მართლაც, აღუდა ამბობს: „მტერს კიდევ მოვკლავ, მარჯვენას არ მოვჭრი მათის ჯიბრითა“. წინააღმდეგობა შემთხვევითი რომ ყოფილიყო, ასე არ გართულდებოდა. არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს ალუდა სიჯიუტეს იჩენდეს. მაშინ ის არ იქნებოდა ზნეობრივი გმირი. ალუდამ და ჯოყოლამ აღმოაჩინეს თემის უგუნური სისასტიკე და სრულიად შეგნებულად, ცივი გონებით აუმხედრდნენ მას. ამ უარყოფის ბოლომდე მიყვანაა „იას უთხარით ტურფასა“. ბუნება ისე სასტიკია და ამავე დროს უცვლელი, რომ აზრი არა აქვს დაბადებას, გაჩენას. ლექსი „ღამე მთაში“ ითვლება ბუნების სიბრძნის ქებათა-ქებად. ნამდვილად კი ამ ლექსში მოცემულია ბუნების წესის ტრაგიკული დარღვევა და უარყოფა. პოეტი ხატავს საწინააღმდეგოთა თანხმობის დიდებულ სურათს. თურმე საწინააღმდეგონი იმავდროულად ჰმონებენ ერთურთს და ბუნებას ეს წონასწორობა ასულდგმულეებს. სპინოზა ამას გამოთქვამდა ცნობილი ნაკვესით: „ყოველი შემოსაზღვრა უარყოფააო“. ვინც საზღვარს მიწესებს და მებრძვის, ის ამითვე ჩემს არსებობას, ინდივიდუალობას, მეობას განაპირობებს. ვაჟაც იმავეს ამბობს. ნუ ვჩივითო მტრების გამო. ისინი ქმნიანო ჩვენს არსებობას და, მაშასადამე, გვმონებენო. მაგრამ დახეთ, რა ხდება. მოაზროვნე ადამიანი გამონაკლისს ქმნის ბუნების ამ ღიად წესში და არღვევს ბუნებას: „და მე ხომ ყველას მონა ვარ შუბლზე ოფლგადამდინარედ!“. ეთიკური ცნობიერება აღმოაჩენს მტრობა-წონასწორობის უაზრობას და იკითხავს: რისთვის ამდენი ვაი-ვაგლახი, ამდენი მტრობით მოწეული ყოფნა? სად არის ამ თვალუწვდენელი ტანჯვის გამართლება?

ღირს კი ჩიტი ბღღვანად? ნუთისოფელი, ნიცშეს თქმისა არ იყოს, ზეაღმართული ხმლების ნაკვესია. ესთეტურ ცნობიერებას ატკობს ეს ნაპერწკლიანი ელვარება, მაგრამ ეთიკური ცნობიერებისათვის ეს მხოლოდ უზნეობაა. ბრძოლა უხეში ძალის გამოფენაა. ეთიკური ცნობიერება უარს ამბობს მასზე და ამით არღვევს ბუნების მაარსებელ წესს. ის „ყველას მონაა“, რაც ბუნების რღვევის მაცნეა. ბუნების უარყოფის ამ ტრაგიკულ მოტივს ეძღვნება „გველისმჭამელი“. ვაჟას ეს ლეგენდა მთაში გაუგონია. ძნელი დასადგენია მისი სადაურობა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს მოტივი პირდაპირ უკავშირდება ვაჟას მთელ სულისკვეთებას. მინდია თავიდან თემის ანუ ბუნების უმტკივნეულო, ჩვეულებრივი ნაწილია, მაგრამ მერე დევებს ჩაუვარდა ტყვედ და უიმედო ტყვეობას თავის მოკვლა არჩია. ამისათვის დევების საზრდელი – მოხარშული გველის ხორცი შეჭამა. ამან, მისთვის მოულოდნელად, ზეადამიანურ სიბრძნეს აზიარა – ჩანვდა ბუნების ენას. ზეადამიანურმა ნიჭმა გააბრწყინა მინდია. ტყვეობასაც დააღწია თავი და თემის ბრძენ მეთაურადაც იქცა. მაგრამ იმავე ნიჭის გამო მინდია იქცა „ყველას მონად“. „ბრძოლით ნაკვეს“ ნუთისოფელში სწორედ ბრძოლა შეზარდა. აღარც ნადირის მოკვლა ძალუძს, აღარც ხის მოჭრა. ბუნების ორი სიკეთე – სითბო და საზრდო მოეკვეთა. ოჯახი აუჯანყდა ანუ ბუნება აუჯანყდა ბუნების საზღვრის გადამლახველს. მინდიამ წინააღმდეგობას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. „გველისმჭამელში“ ბოლომდეა მიყვანილი ვაჟას ეთიკური იდეალიზმი და, შესაბამისად, ბუნების უარყოფა. ვინც გააცნობიერებს არსებობის ფესვებს, ის დაინახავს არსებობის მთელ უაზრობას. რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი? პასუხს იძლევა თვით პოემის სათაური. არსებობის შემეცნება გველის ხორცის ჭამას ედრება. ფილოსოფიური თვითჩაღრმავება გველის შხამად შეერგება სიცოცხლეს. ფილოსოფიურ შემეცნებას ზნეობა მოაქვს. ზნეობა კი ბუნებისა და სიცოცხლის მტერია. ის ხელს უშლის ბუნების ხალი-

სიან ცხოვრებას, მის სიტურფესა და ყვავილობას. ინდივიდუალიზმი, პიროვნების გამოყოფა თემისაგან და მასთან დაპირისპირება ვაჟას მიაჩნდა სიკეთისა და ბოროტების ბუნებრივი თანაფარდობის რღვევად და უბედურების წყაროდ. ინდივიდი სუსტია თემთან, ბუნებასთან შედარებით. ინდივიდი გაბრწყინდება და მალევე ჩაქრება. თემი ბუნებასავით უსახოა და ჩაუქრობელი. ვაჟა ცალსახად აღიარებს თემის უძლეველობას და პიროვნების სიმყიფეს. მეორე მხრივ, პიროვნება გვხიბლავს თავისი უჩვეულო ძალით და ზებუნებრივი სხივით. თემმა არ იცის ცალკეული ადამიანის ასეთი ძალა და ფეროვანება. მაგრამ ვაჟა ფიქრობს, რომ მას უბედურება უფრო მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ის არა მხოლოდ სუსტია თემთან შედარებით, არამედ – არასასურველიც. ინდივიდუალობა საინტერესოა, მაგრამ – უსაფუძვლო და მყიფე. ადამიანის ბუნებრივი და ჯანსაღი მდგომარეობაა ბუნებასთან სიახლოვე, თემის ნევრობა. ვაჟა კაცობრიობის შორეული წარსულის აპოლოგეტია და, ამ აზრით, – ცივილიზაციის მონინაალმდეგე. ის ვერ შეეგუა რუსეთში სწავლას და უკანვე გამოსწია. ვერც საქართველოს ბარს გაუძლო და ბოლომდე მთის ერთგული დარჩა. ის ფიქრობდა, რომ ინდივიდუალიზმი დაბლა სცემს კაცობრიობას ზნეობრივად და საძაგელს ხდის მის ცხოვრებას. ის ერთ ალუდას და ათას სვავს წარმოშობს, რაც სიცოცხლეს გაუმწარებს იმ ერთ ალუდასაც. თემის ქვაბში კი ყველა ინდივიდი, არსებითად, ერთნაირია, თუმცა, ბუნებრივ საზღვრებში, ინდივიდუალობა მაინც დაცულია. ინდივიდი აქ მინდია და ალუდა ვერ იქნება, მაგრამ „კარგი ყმა“ შეიძლება გახდეს; „ყველას მონა“ ვერ იქნება, მაგრამ თემის მონა – კი. მტერს ის დაუნდობლად გაუსწორდება. ბოროტება აქაც იქნება, მაგრამ – სიკეთესთან თანაფარდი, მისით განონასწორებული. სიკვდილიც იქნება, მაგრამ ისეთი, რომლითაც „სიცოცხლე შვენობს“. ადამიანს შეეძლება თქვას, რომ სიცოცხლე „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“.

## კახა ქაცვაია

## სუიციდური ცივილიზაციის პერიპეტიები



თანამედროვე ცივილიზაციისა და საზოგადოების ე.წ. პოსტმოდერნულ ტრანსფორმაციას მრავალი განზომილება აქვს. იგი თითქმის ყველას და ყველაფერს მოიცავს. პოსტმოდერნისტულ ტრანსფორმაციას განიცდის ისეთი მყარი და ტრადიციული სოციალური წარმონაქმნები, როგორცაა ოჯახი, რელიგია, ეროვნული იდენტობა და მრავალი სხვა.

ოჯახური ცხოვრების სფეროში ამის მაგალითია ე.წ. „ერთჯერადი ოჯახების“ გაჩენა, „თავისუფალი, აღვირაბსნილი სექსუალური ცხოვრების“ და გარყვნილების პროპაგანდა, ათასგვარი უნიჭო და უგემოვნო გენდერული და ფემინისტური დებატები, სქესთან და სხეულებრიობასთან დაკავშირებული არაფრისმთქმელი თემატიკის გააქტიურება და სხვა.

რელიგიური ცხოვრების სფეროში სახეზეა ადამიანისა და საზოგადოების დესაკრალიზაცია, ვირტუალიზაცია და პროფანაცია, რაც წრეგადასული სეკულარიზმისა და ეკუმენიზმის ეგიდით მიმდინარეობს და შედეგად

ტრადიციული და საზრისიანი რელიგიური ცხოვრებისადმი ცინიკური დამოკიდებულება, ყოველივე ზნეობრივის აბუჩად აგდება და გაქილიკება მოჰყვება. რელიგიური გაგებით, ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ არც ისე შორსაა აპოკალიფსი.

ეთიკის სფეროში პოსტმოდერნული ტრანსფორმაციის შემთხვევაში სახეზეა მორალური რელატივიზმი, ნიჰილიზმი და ღირებულებათა დევალვაცია და იმპლოზია (შერევნა), რასაც შედეგად ჭეშმარიტებასა და მცდარობას, სიკეთესა და ბოროტებას შორის განსხვავების უარყოფა მოჰყვება, შედეგად ინგრევა ადამიანის ტრადიციული წარმოდგენა მორალზე და ადამიანობაზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე. ასეთ ადამიანს ღირსებად უღირსობა მიაჩნია.

ლოგიკის სფეროში პარალოგიზმია (ბოდვა) გაბატონებული. ერთი სიტყვით, ადამიანისა და საზოგადოების დაცემამ და ზნეობრივმა გადაგვარებამ თანამედროვე ცივილიზაციაში წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია.

დღეს მეცნიერების სფეროში ყურადსაღები მხოლოდ ხმაურიანი და მოდური მეცნიერული თეორიებია, რომელთა ღირებულება არა შინაგანი ღირსება, ლოგიკურობა და ჭეშმარიტების წვდომა, არამედ გარეგნული ეფექტები, ფრაზებით ჟონგლიორობა, ყალბი ერუდიცია და მიმზიდველობაა. აქედან მომდინარეობს მეცნიერებისადმი უნდობლობა, ნიჰილისტური და ცინიკური დამოკიდებულება.

მედიის სფეროში სახეზეა მასკულტურის დომინირება. ფართო რეკლამირების საგანია გარყვნილება, პორნოგრაფია, ძალადობა, სექსის კულტი. მედია და რეკლამა ყოველდღიური სენსაციების თავს მოხვევით „დროთა კავშირს“ არღვევენ, ადამიანს აიძულებენ წარსული დაივიწყოს და მომავალზე არ იფიქროს. ამ შემთხვევაში ადამიანი ვირტუალურ, ილუზორულ, ნარკოტიკულ ეიფორიულ ნირვანაშია ჩაძირული. იგი ტელევიზორის ეკრანს, კომპიუტერის მონიტორს, ვიდეოთამაშებს ან საკუ-



თარ მობილურ ტელეფონს არის მიჯაჭვული. ამიერიდან ადამიანი არ მონაწილეობს იმაში, რასაც აკეთებს და ემოციურად სხვა განზომილებაში ცხოვრობს. ეს სხვა განზომილება თანამედროვე ტექნოლოგიების მიერ (მედია, რეკლამა, სოციალური ქსელები და სხვ.) კონსტრუირებული ეფემერული რეალობაა, სადაც ყველაფერი ნებადართულია. ამ რეალობაში ღმერთის ადგილი გართობასა და შოპინგს უკავია. შემთხვევითობა, ეპიზოდურობა და დისკრეტულობა, რომლებიც ამ ეფემერული სამყაროს მახასიათებლებია, ადამიანმა რეალურ სამყაროში სხვებთან პიროვნულ ურთიერთობებში გადაიტანა. ამგვარად ვირტუალური რეალობა ადამიანს ახალ – ტრანსიდენტობას უყალიბებს და ეროვნულ იდენტობას აზრს უკარგავს. უფრო სწორად, ადამიანები იდენტობას ტანსაცმელივით იცვლიან. იდენტობასთან მიმართებაში პერსპექტივა შეიცვალა: ადამიანისათვის აქტუალური გახდა არა ჯგუფთან, საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან და ეროვნულობასთან იდენტიფიცირება, არამედ საზოგადოებრივი კავშირებიდან თავის დაღწევა და ნებაყოფლობითი დესოციალიზაცია (სოციალურობისაგან დაცლა). ამით ადამიანმა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან ხელები დაიბანა. არისტოტელეს კი მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული ადამიანი ან ცხოველია, ანდა ღვთაება. ყოველივე ამის ერთ-ერთი თავისებურება სოციალურობის დასასრულია, რაზეც უან ბოდრიარი (ფრანგი პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსი) საუბრობს.

ბოდრიარის მიხედვით, კლასიკური გაგებით სოციალური სინამდვილე უკვე აღარ არსებობს, რადგანაც მას ონტოლოგიური სტატუსი გამოეცალა. ამას ბოდრიარის ენაზე „სოციალურის სიკვდილი“ ჰქვია. ამიერიდან სახეზეა ე. წ. ჰიპერსაზოგადოება (ამგვარი საზოგადოება ბოდრიარმა აღწერა თავის მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეიში „ამერიკა“). ის მასა, რომელიც პოსტთანამედროვე საზოგადოებას ქმნის, სოციალურობას, სოციალურ ბუნებას მოკლებულია, ანუ რაიმე სახის სოციოლოგიურ რეალობას არ წარმოადგენს. სოციალურ რეალობას ჰიპერსაზოგადოება ჩაენაცვლა, რომელიც სოციალურის ახალ განზომილებას

წარმოადგენს. ბოდრიარის აზრით, მას რაიმე სახის კონკრეტული განსაზღვრულობა არ გააჩნია. გარკვეულობის არქონაა მისი გარკვეულობა. საზოგადოების ამ ახალი ტიპის – პოსტსაზოგადოების ანალიზმა ბოდრიარი მისდა უნებლიედ სოციოლოგიის ახლი ტიპის – პოსტსოციოლოგიის იდეამდე მიიყვანა, ამიტომ ბოდრიარის სამიზნედ იქცა მომხმარებლური საზოგადოება თავისი რეკლამით, ყოველდღიურობით, ტოტალური თავისუფლებითა და სიმულაციებით. სოციალურობის გაქრობით, იდენტობის დეკონსტრუქციით და სხვ.

პოსტმოდერნმა იდენტობასთან ერთად კულტურული პარადიგმების ცვლილებები და ტრანსფორმირება გამოწვია. პოსტთანამედროვე ადამიანმა არა მხოლოდ უარი თქვა ჭეშმარიტებაზე, არამედ ბუნდოვანი და გაუგებარი გახდა მისი სტატუსი; მან დიადი და ამაღლებული მორალური და რელიგიური, ეგზისტენციალური მიზნებისადმი ინტერესი დაკარგა. კულტურა მასკულტურად, შინაარსიანი და საზრისიანი ცხოვრება ცარიელ, ეფემერულ და ვირტუალურ რეალობად გადაიქცა, რომელმაც ადამიანი ნამდვილ სინამდვილეს მოწყვიტა. საზოგადოება „სპექტაკლის საზოგადოება“ გახდა, რომელიც რეკლამისა და მედიის ტოტალურ ძალაუფლებაზეა დამყარებული. რეალური პოლიტიკა – პოლიტიკეპნოლოგიები, ხოლო საზოგადოების ისტორიული განვითარების განმსაზღვრელი „მოუ-ხელისუფლება“ გახდა; ამ ტიპის საზოგადოებაში ყველაფერი – სექსუალური ცხოვრებით დაწყებული ფეხბურთითა და პოლიტიკით დამთავრებული, თეატრალიზებულია. ამიერიდან პოლიტიკა აღარ არის ადამიანის სერიოზული საქმიანობა. იგი ძალზე ხმაურიანი სანახაობა და ემოციური განტვირთვის ადგილია, ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც კარგ შოუსა და სანახაობას მოიფიქრებს და განახორციელებს, ამიტომაც თანამედროვე პოლიტიკური ბატალიები უშედეგოდ მთავრდება. გართობაზე ორიენტირებული კარნავალური პოლიტიკა რევოლუციური გარდაქმნებისაგან შორს დგას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა – ტრანსპოლიტიკად, საზოგადოება კი ტრანსსაზოგადოებად გადაიქცევა. ამიერიდან ადამიანისა და



საზოგადოების ცხოვრება ზეხელოვნურობის სტადიაში იმყოფება.

ონტოლოგიურ სტატუსს მოკლებულ საზოგადოებაში შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ექსპერტმა დაიკავა. სერიოზული მწერლობა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა და აბუჩად იქნა აგდებული. ინდივიდი, პიროვნება ზომბმა ჩაანაცვლა, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესაბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი. განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების (სიტუაციური მოქმედების შესაბამისი) ფორმირებაზეა ორიენტირებული. ტრადიციულ საზოგადოებაში ინტელექტუალებს წამყვანი პოზიციები ეკავათ კულტურის, ხელოვნების, განათლების, პოლიტიკისა და თუნდაც იდეოლოგიის სფეროში. პოსტთანამედროვე საზოგადოებამ მთლიანად წაართვა მათ ეს ადრინდელი პრივილეგიები. ამიერიდან ისინი მმართველი და კანონმდებელი ელიტარული გონების პრეტენდენტები კი არა, კონკრეტული ფუნქციის (პრაგმატული და ეგოისტური) შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი. შემოქმედის ადგილი მდაბიო, უინტელექტო, უნიჭო და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულმა ადამიანებმა დაიკავეს. ცხოვრების კვარცხლბეკზე „კაცუნა“ (ნიცშეს ტერმინია) დგას, რომელიც კლასიკურ „ინტელექტუალურ კომპლექსებს“ აბსოლუტურად მოკლებულია და მხოლოდ მისი თანამედროვე ფსევდოგა-

ნათლებისა და ცივილიზაციის მონაპოვრით ცხოვრობს. მან ზედმინვნით იცის ცხოვრებით ტკობა და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ იშოვოს ფული. მისი ცოდნის არსენალი ბიზნეს-გეგმის შედგენით, კომპიუტერის ცოდნითა და პირადი კარიერული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით (რომელიც უზნეო მოქმედებებსაც მოიცავს) ამოიწურება. ერთი სიტყვით, ის მეგაპოლისის ცივილიზაციის კაცია, რომელსაც ჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო ცუდად ხდის. ამ „კაცუნასთვის“ ღმერთი, ჭეშმარიტება, სამშობლო და სხვა მსგავსი მაღალი მორალური იდეალები არაფრისმთქმელი სიტყვებია.

ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი ისტორიულობით ხასიათება. ის ისტორიულ დროში არსებობს. დროის ამგვარი აღქმა პოსტთანამედროვეობაში უარყოფილია. მან ამოწურა თავისი თავი. ამიერიდან ადამიანი სივრცით აზროვნებაზეა ორიენტირებული, რადგანაც რეალობა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ჰიპერრეალობას წარმოადგენს, რომელშიც დროის ტრადიციული გაგება გამოუსადეგარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა საზოგადოებისა და ცივილიზაციის ახალი ტიპი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ სუიციდური. შექმნილ ვითარებაში საკითხავია, – სადამდე მივა თვითმკვლელი ცივილიზაცია და რას მოუტანს მას „ხარაკირი“?



მუხრან ზაქარაია

„ბჟა“-რქეს და „ბჟა“-მზეს  
ეტიმოლოგიის საკითხისათვის



ადამიანის ფენომენი, მისი ცნობიერი სამყარო და ცხოვრებისეული საზრისი ფორმირდება გონჩაუნვდომელი სამყაროს მიმართ შიშზე და მისგან გამომდინარე თვითაკრძალვაზე, რომელსაც ახალი ისტორიის ხანაში „ტაბუ“ უწოდეს. სინამდვილეში, ჯერ კიდევ „ლინგვისტურ ხანაში“, ადამიანური ფენომენის მანარმოებელი ეს ორი, ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენა ერთობლივად გაიზრა აიიას მოდგმის საიდუმლო სიბრძნემ და საკუთარი ლექსიკის წიაღში ანარმოა მათი ღვთაებრივი ბუნების შესაფერის იდეური ცნება (სიტყვა) „ვაშინერს“. ეს სიტყვა-ცნება შეიძლება გამოვაცხადოთ აია-კოლხური (კოლხ-იბერული) მოდგმის პირველ იდეურ სიტყვად, რომელშიც როგორც მგრძნობელობით, ისე ცნობიერად აისახა მოდგმის სულიერი იმპულსები, რომელნიც ქმნიან ადამიანთა საარსებო გარემოს ფიზიკურ პლანში. ეს სიტყვა – ცნება თავის თავში ატარებს შესაბამისი ეპოქის ნიშნებს და მასში (ცნებაში) აისახა ზნეობრივი იდეა ზეგარდმო ძალის შიშისა და კრძალვისა, რომლის

ნიადაგზეც სულდგმულობს ადამიანთა ამქვეყნიერი ცხოვრების (თანაცხოვრების) უშრეტე ნყარო – სიყვარული.

მაშასადამე, აიიას ლექსიკის მიერ ნანარმოები ეს სიტყვა „ვაშინერს“ თვითონაა პირველი იდეა და სხვა მრავალ იდეათა ამოსავალი. სწორედ ამ სიტყვა-იდეის ანალოგიით ინარმოა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „ბჟა-რქეს“ და „ბჟა-მზეს“ შიდა არსი, ე.ი. მათი იდეა. ამიტომ მნიშვნელოვანია ზოგადად გავერკვეთ ამ პირველშიშის, პირველი აკრძალვის, პირველიდური გააზრების ანატომიასა და „შეშფოთებული“, ცნობისმოყვარე აზროვნების გენოფსიქიკურ ნყობაში.

\* \* \*

გარე სამყაროსადმი ადამიანის შიში დაკავშირებულია აზროვნების ევოლუციასთან. ის ისევე ძველია, როგორც თვით ადამიანი. ადამიანის სოციალიზებული აზროვნება შეგნებულად თუ შეუგნებლად მუდამ შეშფოთებულია ცხოვრების ფუნდამენტური პრობლემებით, მაგრამ ამ შიშში გარკვევა არ ძალუძს, ე.ი. ვერ ვერკვევით იმაში, თუ საიდან და რატომ ზის ის ჩვენში ასე მყარად (შეადარე Пьер Теодор де Шарден, Феномен человека, გვ.310-341, М., 2002წ.) თავის პირველ საფეხურზე ადამიანის წინაშე ყოფით პრობლემაზე უფრო დამთრგუნველად დგება საკითხი გონებაშიუნვდომელი კოსმიური სამყაროს, დროისა და სივრცის შემეცნებისა. ასე რომ, ის ძველის-ძველი სახელი, მისი „ნაშთი და კვალი“ მზე-მნათობისა, მზე-ღვთაებისა, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, ამ შეშფოთებული აზროვნების ნაყოფია. მისი აღმოჩენა შესაძლებელია ჩვენი არანაკლებ შეშფოთებული და ცნობისმოყვარე აზროვნების ლოგიკითა და მისი გააქტიურებით. ამის იმედს იძლევა ის, რომ ეს ჩაუნვდომელი დრო და სივრცე, თავისი სტაბილურობით, მონოტონურობით, ბოლომდე არ გვინგრევს რწმენას, რომ შევძლებთ უძირობიდან რალაცის ამოღებას, რადგან „მოვლენები მისდევენ ერთმანეთს წრიულად, დაუსრულებელი გზები კვეთენ ერთმანეთს, მაგრამ არსად მივყავართ“

(იქვე, გვ.341). ამიტომ ის 6-7 ათასი წელი, რაც „ჰუმანიზებული და კულტურიზებული“ კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივობად გამოყვეს ისტორიკოსებმა ამ ცხოვრებისეულ წრებრუნვაში, ისე ახლოსაა ჩვენს ყოფიერებასთან, რომ თუ მათი შემფოთებული აზროვნების ნაყოფს შევხედავთ ჩვენი, კიდევ უფრო მეტად შემფოთებული ცნობიერების სამზერისიდან, მიზეზთა და მიზეზთა გამო აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენ, ჩვენი ფსიქოგენური წყობით, გვერდი-გვერდ ვდგავართ. ამას ხედავს ყველა, ვისაც ძალუძს ღრმად ჩაიხედოს ცოცხალი სამყაროს აღუვსებელ უფსკრულში, ხოლო ისინი, ვინებიც ცუდად იხედებიან ამ მარადისობის გონაუნვდომელ სიღრმეებში, ხშირად ვარდებიან უსასობაში და კარგავენ რწმენას, რომ შეგვიძლია საკაცობრიო კულტურის უძველესი დანაშევრების არსში წვდომა და მიზეზთა ახსნა. ასეთ შემთხვევაში ეჭვგარეშეა ეთნოსის მატერიალური და სულიერი ენერჯის ურთიერთგანპირობებულობა – როგორც შარდენი შენიშნავს – ამყარებენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთგარდაქმნა შეუძლებელია (გვ.169), მთავარია ის, რომ ისინი რჩებიან ადამიანთა შემოქმედებითი უნარის მანარმოებელ ძალად.

ზღვარდაუდებელ სიცოცხლეში უხმაუროდ შემოსული ადამიანი ცდილობს გამოვიდეს ბუნდოვანი ინსტინქტის ვიწრო ჩარჩოებიდან. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, პირველ პლანზე გამოდის

სულიერი ენერჯია და ინსტინქტისმიერ მატერიალურ, უხეშ ძალას აკეთილშობილებს. **მოაზროვნე ადამიანი ყოველივე თვალთ ხილულში ეძებს სულიერ საწყისს. ის ქმნის აბსტრაქტულ წარმოდგენებს და ამის მიხედვით ანარმოებს გარემომცველი სამყაროს სახელდებებს.** საბოლოო ჯამში, ვლებულობთ გონაუნვდომელი სამყაროს საკუთარ მოდელს, რომელსაც ადამიანი შემოქმედებითად ასახავს სიმღერებში, მხატვრობაში, ზეპირსიტყვიერებაში – მითებსა თუ თქმულებებში, ამასთან პარალელურად, მატერიალური ცხოვრების რეგულირებისთვის იმავე სულიერი-საიდუმლო სიბრძნითი ენერჯიდან აყალიბებს **ადათ-წესებს**. ამგვარად, აზრი, გონება, ცხოვრებისეული ქკუა, ზნეობის ფილოსოფია მრავალფეროვანი ხდება, ის ცდილობს დაეუფლოს გარემომცველი სამყაროს სიცოცხლის ყველა ფორმის შინაარსს და მის მიხედვით **აფორმირებს სახელდებათა იდეურ არსს**. ჩვენი დღევანდელი „ცოდნიდან“ გამომდინარე შეგვიძლია სულიერების მატერიალიზების ამ პროცესის ქრონოლოგიური ჩარჩოების მოხაზვა.

ნეოლითის ხანაში იწყება ადამიანთა ცალკეული ჯგუფების დიდ ერთიანობებად შედუღება, როგორც შარდენი უთითებს, ესაა პერიოდი, რომელსაც იგნორირებას უკეთებენ „წინარეისტორიის“ შემსწავლელი მეცნიერები, რადგან ის ჩვენთან ძალზე ახლოსაა. ეს პერიოდი ასევე





ნაკლებ ყურადღებას იპყრობს ისტორიკოსების მხრივ, რადგანაც შეუძლებელია მისი განვითარების სტადიების დათარიღება. მაგრამ ესაა ყველაზე კრიტიკული და უდიდებულესი ხანა წარსულის ყველა პერიოდს შორის – **პერიოდი ცივილიზაციის წარმოქმნისა**. მისი წარმოშობა ჩვენ არ ვიცით, მას უწოდებენ „დიდი გახლეჩის“ პერიოდს. ამ პერიოდში ხდება მიგრაციები. თუმცა იბადება აზრი, „ეს მართლა მიგრაციებია თუ მიმსგავსებანი, საიდანაც დაქანებული, რალაცნაირი ეთნიკური ტალღა ჩნდება ირგვლივ?“ რა ხდება – ხალხთა გადასახლებანი თუ კულტურათა გადაადგილება? ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ამაზე პასუხის გაცემა (გვ.319) ეს რთული პროცესებია სრულად გამოხატული ნილოსის, ევფრატ-ტიგროსის შუამდინარეთის და ხმელთა შუა – შავი ზღვის აუზის მთელ არეალში.

იმავე შარდენის აზრით, რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს ადგილმდებარეობის (ბუნებრივი გარემოს, მ.ზ.) და ხალხთა კეთილმყოფელი ურთიერთგავლენა, რის წყალობითაც, გონებამ შეძლო მიმართულიყო ფაქტებისკენ, ხოლო რელიგია შეთანხმებულიყო მოქმედებასთან. ევოლუციის ამ მაგისტრალური ხაზის ცვალებადობის მიუხედავად, სულ უფრო მეტად ორგანიზებული შეგნების ნაყოფი მემკვიდრეობის ძალით, ხელიდან ხელში გადაეცემა საზოგადოებრივ უნივერსუმს (გვ. 325). მემკვიდრეობის ძალით შთამომავლობისთვის (ჩვენთვის) განუხრელად წინმავალი ცხოვრების ეს ევოლუციური პროცესები ხელმისაწვდომი ხდება და გვაძლევს საშუალებას არ გავაუკუღმართოთ ფაქტები, რომლებიც ჩვენ გვეძლევა სხვადასხვა აბსტრაქტულ თუ შემოქმედებით ფორმაში. მაგრამ ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ძველთაძველი რეალების ძიება რთულდება, რომ ადამიანები მიგრაციული პროცესების გავლენით თან დაატარებენ ამ თავიანთ თუ სხვათა ტერმინებს (ცნებებს) და ახდენენ მათ უნივერსალიზაციას. ამიტომ შენიშნავს ავტორი: ხმელთა შუა ზღვის აუზის ირგვლივ 6 ათასი წლის განმავლობაში განვითარებული პროცესებით კაცობრიობა სწორედ თანამედროვე ხანაში ახდენს „ნეოლითური მოზაიკის“ ბოლო ნაშთების მონელებას თავის ევროპიზებულ სისტემაში (იქვე გვ.325).

ამდენად, როცა ვიკვლევთ აიაიას (აია-კოლხურ) ძველთაძველ კულტურას, მით უმეტეს, კონკრეტულ ტერმინებსა თუ ცნებებს, აუცილებელია ამ „თეორიული“ წინაპირობების გათვალისწინება, რათა რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ პირველსახელმძღვანელთა სულიერ და ცხოვრებისეულ გააზრებებს. მით უმეტეს, რომ ჩვენ თურმე არცთუ ისე შორს ვდგავართ ერთმანეთისგან, როგორადაც ეს მავანთ და მავანთ წარმოუდგენიათ. ე.ი. სწორად წარმართულ ამ ძიებათა მეშვეობით შევძლოთ და არ დავანებოთ კოლხ-იბერული მოდგმის დღემდე მოღწეული ამ „ნეოლითური მოზაიკის“ ნაშთების მონელება ჩვენ „ევროპიზებულ“ (შარდენი) რაციონალიზმს, – „ცხოვრებისეულ ჭკუას“.

\* \* \*

დანამდვილებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მზის ზანურენოვანი სახელდების „ნაშთსა და კვალს“ ნეოლითური მოზაიკის ხანაში გადავყავართ. ამიტომ მთავარია ამ სავარაუდო სახელდებიდან გამოიყოს ის უძველესი, ძირისეული ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელთაც შეიძლებოდა ფორმანტის როლი დაკისრებოდა, ე.ი. სახელდების შიდა არსის (საზრისის) მანარმოებლის ფუნქცია ეკისრა. ეს მომენტი ჩვენ ზემოთ საკმაოდ დეტალურად გავარკვეით და, ვფიქრობთ, სათანადო შედეგიც მივიღეთ, რომ მზისა და რძის იდენტური სახელდება აია-კოლხური ლექსიკაში იწარმოა ამ ორი საგნის (ობიექტის) მსგავსი შინაარსობრივი მოცემულობით. ე.ი. **ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის გარდაუვლად აუცილებელი თვისების გამოვლინებით**. შესაბამისად, მზის სახელდებაში განსხეულებული ეს იდეა თავის მხრივ აწარმოებს სხვა ცნებებს და იდეებს აია-კოლხური ცივილიზაციის მთელ ხანგრძლივ პერიოდში.

მზის სახელთან დაკავშირებული ტერმინებიდან და მათი ძირითადი შინაარსის მატარებელი ცნებებიდან დღემდე ბრუნვაშია „**აიტი**“ (აია-ეტი-ი). ჩვენი მსჯელობებიდან გამომდინარე, ეს პირადი სახელი ნაწარმოებია „აიაა“-საგან, რომელიც გულისხმობს „აია“-ღვთაების (ღმერთის) თაყვანისმცემელ მოდგმას. ეს ღმერთი მზის ღმერთია – „**აიაა**“, „**აინ**“-„**აია**“ – ზეციური ღმერთი. ის განსახიერდა მანათობელი პლანე-



ტის (სხეულის) იდეაში. ისევე, როგორც დედის რძე უზრუნველყოფს ახალ სიცოცხლეს, ასევე მზის სითბოსა და სინათლის გარეშე შეუძლებელია ამ ახალი სიცოცხლის უზრუნველყოფა. ამიტომ, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, მათ იდენტური სახელი – „ბჟა“ ეწოდათ.

დედა, დედა – უფლის ფორმით იმთავიდანვე ღვთაებრიობის ნიშნის მატარებელია. შესაბამისად, „ბჟა“ – დედის რძეც ღვთაებრივი ნიშნითაა დალდასმული. ამ იდეითა და მისი ანალოგიით გააზრებული რწმენით, **„მზე-ბჟა“-ც მდებრობით სქესში იქნა აღქმული და „ბჟაია“-მზე-დედა ღმერთად გაცხადდა**, შესაბამისად, მზის სარწმუნოებრივად გააზრებას მოჰყვა მისი ამ „ბჟაია“-სახელდების რელიგიური წესჩვევების შესაბამისად მეტამორფოზირება **„ბ-ჟა(ლ)ია“-დ და „ბჟალარია“** (ჩვენ ამ საკითხს ისევ მივუბრუნდებით).

ელინურმა სამყარომ თავისი მითოგემების შესაბამისად გადაამუშავა ეს აიასის ლექსიკით წარმოებული მზე-დედა ღვთაების სახელი ჟაია-ბჟალა(რ)ია და აეტი ჰელიოსის – მზე მამაუფლის შვილად შერაცხა, მაგრამ სახელის ძირი უცვლელად დატოვა, ოდენ მისი ელინიზებული ფორმა შემოგვთავაზა, როგორადაც ის დღემდე შემორჩა სამყაროს, აია-კოლხური სამეფო დინასტიის მანარმოებელი. ამ აია-კოლხური წარმომავლობის სახელის ელინიზაციამ, მიუხედავად მისი განუსაზღვრელი კულტურული შესაძლებლობისა, საბოლოოდ ვერ გადაფარა მისი აია-კოლხური ბუნება და თავისი ეთნიკური წარმომავლობა მთელი ათასწლეულობით შემოინახა როგორც ქალისა, ისე მამაკაცის პირად სახელებში (ია-იამზე; აიეტი – აია და ა.შ. რაზედაც ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ გვქონდა მსჯელობა). მაგრამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ „აიეტი“ სახელისა და დინასტიის მანარმოებელმა ამ „აია“ ცნებამ პირადი გვარ-სახელების წარმოების ხანაშიც შეინარჩუნა თავისი გენეტიკური ფუნქცია და ბოლოსათი: ია, აია, შია, ვაია, უა, აიანი, იანი და ა.შ. ფორმით იქცა **აია-კოლხური მოდგმის ეთნიკური წარმომავლობის აღმნიშვნელად გვარწარმოებაში**.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, სახელდება „აიეტი“ და მისგან მომდინარე მთელი რიგი სახელდებები თუ ცნებები ნანარმოები უნდა იყოს „ნეოლითური მოზაიკის“ ხანაში, პალეომედიტე-

რიანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის, როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, **პროტობერული კაცობრიობის** ერთ-ერთი თვალსაჩინო განშტოების აიასის მოდგმის ლექსიკით. ე.ი. ეს ცნება (სახელდება) აიეტი პირმოა პირველადი კულტურებისა: მინოსური, ეგეოსური, კოლხური (ძველ კოლხური) და ა.შ., რომლებიც უაღრესად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

„აიეტი“ (აიეტესი) – მზის შვილის გაგებიდან ანარმოა ელინურმა კულტურამ აიეტ მეფის სამმართველო ქვეყნის სახელდება „აიაია“. ე.ი. სამეფოს ეს სახელწოდებაც ნანარმოებია მზის ღმერთის სახელდებიდან „ჟაია“.

მზის აია-კოლხური სახელდებიდანაა ნანარმოები კვირა დღის ზანურენოვანი სახელწოდება: მეგრული „ჟაშხა“ „ჟეშხა“; ქანური „ბჟა ჩხა“, „ბჯაჩხა“; სვანური „მ.ჟუელადედ“. გარდა ამ წერილობით წყაროებში დადასტურებული სახელებისა გვაქვს მრავალი ზეპირსიტყვიერი მასალა, სადაც პირდაპირ თუ ირიბად იკვეთება იმ უძველესი მოზაიკიდან შემორჩენილი ნაკვალევი მზე მნათობისა და მზე ღვთაების სახელდებისა.

ჩვენ მზის პირველსახელდების კვლევა-ძიებას იმდენად ვანარმოებდით, რამდენადაც მასში უნდა ასახულიყო მზე, მნათობის და მზე ღვთაების **უძველესი გააზრება** აიასის მოდგმის გენოკულტურაში, მის ეთნოფსიქოლოგიაში, რაც მეტ-ნაკლებად შევძელით და დავრწმუნდით, რომ მზის პირველი სახელდება ჟაია და მისგან ნანარმოები „ბჟა“ იყო არა ოდენ რაციონალური წარმოდგენით (საგნის ფიზიკური აღქმის გავლენით) ფორმულირებული სახელდება, არამედ ის გააზრებული იყო იდეურად – სულიერ და მგრძობელობით პლანში, ე.ი. ირაციონალურადაც. მაშასადამე, მზის სახელდების წარმოება ვერ ეტევა ჩვენს (საერთოდაც) ისტორიოგრაფიაში დანერგილ მითო-რელიგიური თუ მატერიალისტური მიდგომების კონტექსტში, რომ ბუნების ძალთა გაღმერთების კვალობაზე თაყვანისცემის ობიექტებად იქცნენ მნათობები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები. ამიტომ მზის სახელდების (აღლათ ზოგადადაც) წარმოებაში დიდი ხვედრითი წილი უნდა მიეკუთვნოს გონებისმიერი შემეცნების ევოლუციას, განსჯა-განსჯადობის უნარ-ჩვევების ამაღლებას და ცხოვრებისეული ჭკუა-გონების, კეთილი ნების წარმოჩენას, ყველა

ეს თვისება პირველკულტურის განვითარებისა ნათლად წარმოჩინდა აია-კოლხური ლექსიკის ნი-ადაგ ზე მზის სახელდების ფორმირების ჩვენეულ მსჯელობებში. ახლა თვალი მივადევნოთ იმას, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილი თეორიული გააზრებანი ამ საკითხის კვლევის კლასიკურ მონაცემებს.

\* \* \*

ივ.ჯავახიშვილი კვლევის დასაწყისშივე უთითებს, რომ უპირველესად გამოსარკვევია მზე ღვთაების სახელის უძველესი, პირველადი ფორმა, სადაც მნათობისა და ღვთაების სახელი შერწყმულად მოიაზრება. მისი თქმით, კვლევა უნდა წარმართოს მზე-მატერიის თვისებების მის სახელში ასახვის მიმართულებით. ამ საკითხზე ჩვენი მსჯელობიდან უდავოდ დამტკიცდა, რომ მზის თვისება სინათლისა და სითბოს გამოყოფისა მის სახელდებაში ასახულია არა ფიზიკურ თუ ქიმიურ და ა.შ. პლანში (ეს პირველსახელმდებლის შესაძლებლობას აღემატებოდა), არამედ ის „ბჟა“ – **მზე გააზრებულია გონჭვრეტივით, რომ ფუნქციონალურად იყოს ახალი სიცოცხლის უზრუნველყოფის გარდაუვალი ატრიბუტი თავისთავად და სხვა მეორე ატრიბუტთან „დედის რძე“-სთან კავშირში აწარმოოს თავისი სახელდება.**

ის ფაქტი, რომ მეცნიერი მნათობსა და მის ღვთაებას ცალ-ცალკე ასახელებს, უკვე გულისხმობს მათ შორის ზღვარს. ჩვენი წარმოდგენა მზის ფიზიკურ თვისებებზე ვერ აიყვანება მისი ღვთიური არსის გაგების დონემდე, ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანებისთვის, ვინაც აწარმოა პირველ სახელდება. ამიტომ ითქვა ზემოთ, რომ **მისი გააზრება მოხდა გონჭვრეტივით; აიაიას მოდგმის საიდუმლო სიბრძნის გონებისმიერად, – ცნობიერად, გააზრების და მისი ცხოვრებისეულ ჭკუად გარდასახვის გზით.** ეს პროცესი მზის სახელდების წარმოებისას იმდენად ყოვლისმომცველი შინაარსის მოვლენაა, რომ მას დღემდე იყენებს (ექსპლუატაციას უწევს) დიდად განათლებული თანამედროვეობა, არაფერი რომ არ ვთქვათ წარსულ ისტორიულ პერიოდზე.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ მზის დუალისტურ სახელდებაში (მზე-საგანი და მზე-ღმერთი) პირველსახელმდებელი ცალ-ცალკე მოიაზრებდა მზის ღვთიურ და ფიზიკურ არსს. ე.ი. განასხვა-

ვებს მზის მატერიალურ თვისებას (სინათლე, სითბო, სხვები, ფორმა და ა.შ.) და მის მეტაფიზიკურ – ღვთაებრივ ბუნებას. ასეთ შემთხვევაში მკვლევრის მითითება, რომ მზის ძველთაძველი სახელწოდების კვალი ვეძიოთ ცის სფეროს დამახასიათებელ რთულ სიტყვაში, იძენს რეალურ შინაარსს. ჩვენ „ბჟა“-რძის და „ბჟა“ – მზის ურთიერთმიმართების კვლევამ გვიჩვენა, რომ მზის პირველი სახელდება წარმოადგენდა რთულ სიტყვას, რომელშიც ასახული იყო მზის როგორც ფიზიკური თვისებები, ასევე ღვთაებრივი ბუნება.

\* \* \*

როცა ვიკვლევთ „ძველისძველ სახელწოდებას“, ჩვენ უნდა ვცადოთ პირველსახელმდებელთა აზროვნების ფორმაში თუ ფსიქიკაში წვდომა, ვინაიდან სწორედ ფსიქიკაა ის უმყარესი რამ, რაც ჩვენ და ნეოლითური რევოლუციის ადამიანებს, მით უმეტეს, მაღალ საფეხურებზე, ერთმანეთთან რომ გვაახლოებს.

ჩვენი უძველესი წინაპრებისთვის მზე, მზის სისტემის მნათობები ოდენ „მაშუქები“ არ არიან, არამედ ისინი **უპირველესად იდეის მატარებელი ღვთაებებია**, რის ლოგიკურ დადასტურებაზეც საკმაოდ დეტალურად გვქონდა მსჯელობა „ბჟა“-მზესა და „ბჟა“-რძეს ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას. ამიტომ მნათობის სახელში, კონკრეტულ შემთხვევაში მზის სახელდებაში, უპირობოდ უნდა ჩანდეს მისი **იდეა** და ამ იდეის მატარებელი ღვთაების სახელი, რომელშიც ასახული იქნებოდა, როგორც თვით იდეის არსი, ასევე მისი (მნათობის) თვისებისა და მდგომარეობის ამსახველი ნიშნები. ასეთ იდეურად თუ მატერიალურად (ფიზიკურად) სრულყოფილად გამართულ სახელდებად წარმომიდგენია ივ.ჯავახიშვილის მიერ საძიებლად გამოცხადებული მზის თავდაპირველი სახელწოდება. ამასთან მას „მზე-ბჟა“ სახელწოდების პირველადობა აეჭვებს. ის წერს: „ამიტომ საფიქრალია, რომ მეგრულშიც (როგორც ჭანურშიც „ბჟა“ ამ მნათობის ბოლო შეკვეცილი ფორმაა ... წინანდელ სახელად „**მჟა-რა**“ უნდა იყოს“ (დასახ. ნაშრომი, გვ.166).

ჩვენ ზემოთ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ „ბჟა“ ცნების ბუნება და მივედით იმ მოსაზრებამდე, რომ ეს სახელდება ძირითადად იდეური შინაარსის მატარებელია და აღნიშნავს

მზე მნათობის მაცოცხლებელ ბუნებას, ე.ი. მის იდეას. ის მზის სრული სახელის შეკვეცილი ფორმაა, რომელშიც იმთავითვე განსხეულებულია აიაიას (აია-კოლხური) საიდუმლო სიბრძნის – მისტერიების კოსმოლოგიური თვალსაზრისი.

ჩვენი მსჯელობებიდან გამომდინარე, მზის სახელწოდების პირვანდელ სრულ სახელდებაში გამოკვეთილად უნდა ჩანდეს მზის როგორც ფიზიკური, ასევე მისი შინაგანი არსი. ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, „თავისთავად იბადება აზრი, რომ მზის სახელი თავდაპირველად მართლაც მნათობის თვისების ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვაა... მეცნიერს მიაჩნია – ამ ობიექტის თვისება „შუქის გამოღება“ ... მის გამომხატველ სიტყვად „მზინ“ – ქართულად, მეგრული – „ბჟინ“-ია (იქვე). ამასთან, თუ ჩვენ მიერ ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ და მზის პირველსახელდებაში მზის თვისების გარდა იდეის (ღვთაების) არსის ასახვის აუცილებლობას დავუშვებთ, მაშინ ამ სიტყვის დაკარგული მაფორმანტებელი ბოლოკიდური ნაწილი უნდა იყოს. ე.ი. როგორც ზემოთაც ითქვა, „ბჟა“, ბგერათა კომპლექსში „ა“ ბოლოკიდური ღვთის კოლხური სახელწოდების „აია“-ს ნარჩენია. სრულად ამ კომპლექსის არსი ჩვენ ზემოთ უკვე გავარკვეით და არ გავმეორდებით, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ივ.ჯავახიშვილის მითითება იმაზე, რომ „ზედსართავი სახელით „მზით“ განდევნილი ცნება უნდა ვეძიოთ „უმთავრესად ცის სფეროს დამახასიათებელ სიტყვებში“, იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც ის ასახულია პირველსახელმდებლის გენოფსიქოლოგიური წყობის გონმჭვრეტელობით და გამოსახულია იდეაში. ისე ჩანს, რომ ეს „დაკარგვა“ ოდენ სიტყვის წარმოების წესის ცვალებადობით კი არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ ეს ცვალებადობა უნდა ხდებოდეს კონკრეტული საზოგადოების სულიერ თუ მატერიალურ ცხოვრებაში მიმდინარე ევოლუციური პროცესების ფონზე, უპირველესად რელიგიურ-სარწმუნოებრივი „ქაოსის“ მონესრიგების თვალსაზრისით, როცა ყოვლის დედის, ნანაიას – დედა უფლის ერთიანი კულტის დიფერენციაციის პროცესში თავისი ცემის ობიექტებად იქცევიან კოსმიური სხეულები – მნათობები და პირველ რიგში მზე, რომელიც ბევრწილად ისრუტავს დედა უფლის

ფუნქციებს და თვითონ ხდება მთელი კოსმიური სამყაროს დედა მშობელი („მზე დანვა და მთვარე შობა“). ის იდეური გამგრძელებელია დედის პირველყოფილი არსისა. მან ახალი სიცოცხლის უზრუნველყოფის წყაროს „დედის რძის“ მაცოცხლებელი თვისების საზრისი გადაიტანა მზის მაცოცხლებელ თვისებებში – სინათლისა და სითბოს ასევე მაცოცხლებელ ენერგიაში.

აიაიას მოდგმის სულიერი სამყაროს გონჭვრეტითა უნარმა ხატოვნად ასახა სიცოცხლის ამ ორი წყაროს (ატრიბუტის) თვისებათა არსი და ორივეს უწოდა ერთი სახელი „ბჟა“. რამდენადაც იგი „ხატოვანი აზროვნების ფორმით ჭვრეტდა სულიერ არსებებს და მათ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს... ადამიანს ჰქონდა სრულიად რეალური განცდა იმისა, რომ მისი ჭეშმარიტი სამშობლო სულიერი სამყაროა და მინიერყოფაში იგი იქიდანაა დაშვებული (მისტერიები, გვ.7). ამიტომაც, როგორც ითქვა, უწოდა ზეციური მაცოცხლებელი ენერგიის მატარებელ მნათობელ დედა ღვთაებას („ბჟა დია ჩქიმი“) და მინიერი სასიცოცხლო ენერგიის წყაროს ნანაგეს (ნანაიას) რძეს ერთი და იგივე სახელი – „ბჟა“.

იმ პირველი სახელმდებელი მოდგმის აზროვნების ხატოვანი ფორმის არსებობის აშკარა დადასტურებად გვიჩანს ზემოთ მოყვანილი ხალხური ლექსის სტრიქონი: „ბჟა დია ჩქიმი“, – რომელშიც აისახა დედისა და მზე მნათობის სასიცოცხლო არსის იგივეური ბუნება როგორც (სულიერ-სარწმუნოებრივი) (ღვთაებრივი), ასევე ამქვეყნიური, მატერიალურ-ფიზიკური თვალსაზრისითაც.

„ბჟა“-რძეს და „ბჟა“-მზეს სულიერ-იდეური აღქმა კულტურული ევოლუციის პროცესში – ამქვეყნიურ ცხოვრებაში, თანდათან გარდაიქმნება ფიზიკურ პლანში და სახელდების წარმოებაში აისახება როგორც იდეური, ისე თვისობრივი გამოხატულება ამ ობიექტების არსისა. დედის რძის და მზის ენერგიის თვისობრივი არსის გააზრების იდეურ ასახვაზე ჩვენ უკვე საკმაოდ ვიმსჯელებთ, ახლა კი შეიძლება ყურადღება მივაქციოთ ამ მაცოცხლებელი ენერგიის ფიზიკური გამოვლინების ასახვას პირველსახელმდებელთა ცნობიერებაში, რომლის გავლენითაც ხდება სახელდების მეტნაკლები ცვალებადობა.



\* \* \*

მზის პირველ სახელდებად მივიჩნიეთ რელიგიური „ქაოსის“ ხანაში, პრიმიტიული სარწმუნოებრივი წარმოდგენების ფონზე ფორმირებული სიტყვა (ცნება) – „ჟაია“. („ჟ“-„ჟინ“, „აია“-სულიერი ძალა ე.ი. ღვთაება), ზეციური ძალა (ღმერთი). შემდგომ ეტაპზე, როცა ხდება ბუნების ძალების გაღმერთება, კერძოდ მნათობების და, მათ შორის ის კი არა და უპირველესად, მზის თაყვანისცემა, ე.ი. მზის ნანაია ღვთაების იდეის მემკვიდრედ გააზრებამ **მისი იდეური არსის დედის იდეურ არსთან დაკავშირება გამოიწვია**. ამ იდეური დამთხვევების გააზრებით **პრიმიტიულ** სახელდებაში „ჟაია“ იდება ახალი სიცოცხლის უზრუნველყოფის საკრალურად (მხატვრული აზროვნებით) გააზრებული იდეა, შესაბამისად, **ის უკვე ყოველმხრივ დაკავშირებულია დედისა და მზის სასიცოცხლო იდეასთან და სახელი „ჟაია“ მეტამორფოზირდება „ბჟაიად“**. უფრო გვიან ეტაპზე ხდება მზის ღვთაებრიობის ამსახველი სახელის „აია“-ს ნაწილის დაკარგვა და „ბჟაია“-ს ნაცვლად მკვიდრდება „დედის რძის“ სახელის – მსგავსად „ბჟა“ სახელდება იგავური იდეით. ე.ი. თუკი „ბჟა“ დედის რძესთან მიმართებაში სრული იდეის ამსახველი სახელდებაა, რაზედაც ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა გვქონდა, ის მზე – ბჟასთან მიმართებაში უკვე ბოლოშეკვეცილი ფორმაა და მზის ღვთაების სახელის აღმნიშვნელი სიტყვიდან მასში გვეძლევა „ა“ ბოლოსართი. „ბჟა“ – მზეს ეტიმოლოგიაზე საკმაოდ დეტალურად გვქონდა მსჯელობა ზემოთ და არ გავმეორდებით.

შემდეგ ეტაპზე საყურადღებოა ის, რომ „ჟაია“ – „ბჟაია“ – „ბჟა“ ცნებათა სულიერ – იდეური გააზრება და ეტაპობრივი მეტამორფოზა სოციო-კულტურული განვითარების პროცესში გრძელდება. ამ „იდეურ სახელდებაში“, ორივე ობიექტის ფიზიკურ-მატერიალური თვისებების ჩართვით, იმ ფონზე, როგორადაც ისინი აისახებიან ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მკვიდრდებიან ადათ-წესობრივ (სარწმუნოებრივ) პლანში.

მაშასადამე, იდეურად გააზრებული ეს ორი ობიექტი – დედაცა და მზეც თავიანთ მაცოცხლებელ ენერგიას, რძეს (დედა) და სითბოს და სინათლეს (მზე) ადამიანებს (ზოგადადაც) აწვდიან სხივების ფორმით. ე.ი. ადამიანთა კავშირი

მაცოცხლებელი ენერგიის წყაროსთან ხდება ამ ფიზიკური მოვლენის გზით, შესაბამისად, იდეურ-წარმოსახვით პლანში, გონჭვრეტივით გააზრებულმა ამ სახელდებამ უკვე „ცხოვრებისეული ჭკუით“ (die Weltklugheit) გათავისებული ეს ნიშან-თვისებები ჩართო ამ დედა მზე ღმერთად გააზრებულ სახელდებაში ისე, რომ მას რელიგიურ-სარწმუნოებრივი ელფერიც შეუნარჩუნა და „ბჟალაია“ „ბჟალა(რ)ია“ უწოდა. ამ სახელში ახლა უკვე ასახულია მისი, როგორც ფიზიკური (მატერიალური), ასევე იდეური (ღვთაებრივი) თვისებები. ამდენად, საბოლოოდ აღდგა ის საძებარი მზის სრული სახელწოდება. ეტიმოლოგიურად ეს რთული სიტყვა „ბჟალა(რ)ია“ შედგება დამოუკიდებელი საზრისმატარებელი სამი ნაწილისაგან, რომელნიც ახლა უკვე თავიანთ ბგერა-კომპლექსებში ასახავენ დასრულებულ საზრისებს, ე.ი. თვითონვე გვევლინებიან სრულფასოვან ცნებებად.

მაშასადამე მზის ამ აია-კოლხურ სახელდებაში **„ბჟალარია“** გვაქვს სამი, დამოუკიდებელი აზრის მატარებელი, ცნება: „ბჟა“, „ლ(ა)რ“ და „აია“. „ბჟა“ ცნების ეტიმოლოგიაზე ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა და დავადგინეთ, რომ ამ ბგერათა კომპლექსის თითოეულ ასო საზრისის მატარებელი ცნებაა. ასევე გავარკვიეთ, რომ „აია“ ბოლოსართი“ დამოუკიდებელი სიტყვაა და ღმერთს (ზეციურ ძალას) ნიშნავს. გასარკვევი დარჩა „ბჟაია“, სახელდებაში ჩართული „ლ(ა)რ“ კომპლექსის არსი. მაგრამ ჯერ მივუბრუნდეთ ჩვენ მიერ „აია“ ცნების ზეციურ არსად, ზებუნებრივ ძალად – „ღმერთად“ გამოცხადების იდეას და ვნახოთ, რამდენად მოეძებნება ანალოგი ასეთ დაშვებულობას.

\* \* \*

იკვლევდა რა მანათობელ-ღვთაებათა შვიდეულის შემადგენლობასა და მათ სახელებს, ივანე ჯავახიშვილი ნ. მართან პოლემიკაში აღნიშნავს, რომ მარს მიაჩნია, ადილეური „თჰა“ ღმერთის, სახენაცვალის ფორმა უნდა იყოს „თახა“-ო და მეგრულ-ჭანურს იქიდან უნდა შეეთვისებინათო. ის, შესაბამისად, სავსებით სამართლიანად უარყოფს ამ შეთვისების იდეას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამშაბათი დღე შეიძლება ქართველ ერს ღვთაება „თარხოონ“ ან „თარხო“-სთვის ჰქონიაო. მაგრამ ჩვენ ამ კვლევაში უფრო ის გვინტერე-



სებს, „ზოგადი ღმერთის“ სახელდება სხვადასხვა მოდგმათა (ეთნოსთა) სახელწარმოებაში რომ იღებდა მონაწილეობას. იმკვიდრებდა თავს, როგორც ეთნოგენეტიკის განუყოფელი ნაწილი. მაშასადამე, როგორც ადილურს ჰქონდა ზოგადი ღმერთის სახელად „თჰა“, სწორედ ასევე, უძველესი დროიდან, ზოგადი ღმერთის სახელად კოლხურშიც უნდა გვექონოდა **სიტყვა „აია“**, რომელიც ზანურენოვანი სიტყვანარმოებაში უწყვეტად იღებს მონაწილეობას. ჩვენ ადილურ „თჰა“-ზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ზოგადი ღმერთის ამ სახელდების სათავე პალეოიბერული, პალეოკავკასიური ერთობის ხანაშია საძებარი, ე.ი. აიაიას (პალეოკოლხურ) ეპოქაში, როცა „აია“ ღმერთის თაყვანისმცემელი მოდგმის და მისი საცხოვრებელი სივრცის სახელდებად იწარმოა „აიაია“.

მაშასადამე, ეს ეთნონიმი „აიაია“ და თეონიმი „აია“ ორი ურთიერთმწარმოებელი ცნებებია, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი აია-კოლხური მოდგმის (ეთნოსის) გენეტიკასა და სოციოკულტურულ წყობაში. ამდენად, ღმერთის ზოგადი სახელდების „აია“-ს წარმოებას გადავყავართ ერთიანი პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობისა და კულტურათა სინთეზირების ეპოქებში, ამიტომ კიდევ ერთხელ დავესესხებით ივ.ჯავახიშვილს, იმ უძველეს ხანაში ზოგად და პირად თუ საკუთარ სახელთა წარმოებაში თეონიმთა მონაწილეობის თაობაზე.

ივ.ჯავახიშვილი აგრძელებს რა სამშაბათი დღის ზანურენოვანი სახელწოდების „თახაშხა“-ს ეტიმოლოგიის კვლევას, უფრო სწორად, მასში გააზრებული ღვთაების წარმომავლობის ძიებას, ის, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ აკრიტიკებდა მარს „თახა“-ს ადილური „თჰა“-სგან ნასესხობის დაშვების გამო, მას უკავშირებს ხეთურ ომის ღმერთს „ტარკუნ“ თუ „ტარხონს“ და მიუთითებს, რომ ამ ღვთაების სახელი ადამიანთა, ნაწილადი საკუთარი სახელების შემადგენლობაშიც გვხვდება, მეტადრე ხეთელებისა, დასავლეთ და აღმოსავლეთ მცირე აზიის წინანდელ მცხოვრებთა სახელებში: მიტანელთა მეფის „ტარკუნდიმე“-ს, არზიანის მეფის „ტარხუნ-დარადუ“-ს, მილიდელი „ტარხუნ-ნაზისა“, გურგუმელი „ტარხუნ-ლარა“-ს. ეს სახელები გვიან ბერძნებმაც შეითვისეს. ამავე სახელისაგან ნაწარმოები

ადამიანთა საკუთარი სახელები ლათინურშიც მოიპოვება, როგორც იყო ეტრუსკებისგან შეთავსებული „ტარკვინიუსი“ (დასახ. ნაშრ. გვ.176). მაშასადამე, ღმერთთა სახელის გადატანა პირად სახელებსა თუ ადამიანთა გვარ-სახელებში საკაცობრიო კულტურის თანმდევი პროცესი ყოფილა. შესაბამისად, მარტივი თეონიმური გაგების „ჟაია“-დან სამნაწილოვანი „ბჟალარია“-ს წარმოებამდე გავლილი ევოლუციური გზა სრულად შეესაბამება ამ სიტყვათწარმოების კანონზომიერებას და ადასტურებს მზის სახელდებაში „აიაიას“ მოდგმის ზოგადი ღმერთის სახელწოდების „აია“-ს მონაწილეობას. ახლა გასარკვევი დაგვრჩა ამ სამნაწილიანი „ბჟალარია“ ცნებაში ჩანართად მოცემული „ლ(ა)რ“-ის არსში გარკვევა.

\* \* \*

ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ მზის სრული სახელების ფორმირებაში მონაწილეობს როგორც მისი ღვთაებრივი ბუნების იდეური გააზრება, ასევე მის ფიზიკურ (მატერიალურ) თვისებათა გამოვლინების ასახვა. შესაბამისად, ბჟალ(ა)რ-ია ცნებაში (სახელდებაში) სწორედ ეს შუალა „რ-ლ“ უნდა მივიჩნიოთ მზის ფიზიკური თვისებების საზრისის გამომხატველ ბგერებად. ისინი იმთავიდანვე უნდა იყვნენ ჩართული „ჟაია“-„ბჟადან“ „ბჟალარია“ ცნების ფორმირებაში, როგორც მზის სხივების მეშვეობით მნათობის სასიცოცხლო ენერჯის სამყაროზე (ქიანაზე) და ადამიანებზე გადმოსვლის აღმნიშვნელი ნიშნები.

აიაიას – აია – კოლხური მოდგმის გონჭვრეტიმთა ცნობიერებამ მზე-დედა-ღვთაების სახელდებასთან ერთად აწარმოა მისი ენერგეტიკული მუხტის (გამოსხივების) ამსახველი ცნებაც – „ბარჩხაია“ „ბარჩხა(ლ)ია“, (თანამედროვე ფორმა). ამ ცნებაში ასახულია არა მარტო მზის მაცოცხლებელი ენერჯის მატარებელი სხივების (სხივთა კონების) მოფენის მატერიალური ბუნება, არამედ მასში გონჭვრეტიად მოცემულია ამ სასიცოცხლო ენერჯის ღვთაებრივი ბუნებაც. ე.ი. „ბარჩხალიაში“ აისახება არა მარტო მზის სხივის – „ჩხორია“-ს მეშვეობით მზიდან გარდმოსული ენერგია, არამედ ამ ენერჯის „ღვთაებრივი წარმომავლობა – მზე დედა-ღმერთიდან მომდინარეობა, „ბარჩხალი“ – ძლიერი, ღვთაებრივი

არსის მომცველი ნათებაა. ღვთაებრივი არსის ასეთი ასახვა და ღმერთის მზესთან შედარება თვით ქრისტიანულ სარწმუნოებასაც გადმოჰყვა.

ამდენად, „ბარჩხალ“ – „ბარჩხალიაში“ გვაქვს მზე ღვთაებიდან მომდინარე სასიცოცხლო ენერჯის ფიზიკური (მატერიალური) გამოვლინების ასახვა. ბარჩხალის მანარმოებელი ფუძისეული „რჩხ“ კომპლექსი კიდევ მზის სხივის (სხივთა კონის) გამომხატველი ცნებიდან „ჩხორია“ მომდინარეობს.

„ჩხორია“-სხივი; მის მრავალი სინონიმური სახელდება აღინიშნება ზანურენოვან ლექსიკაში. მარტო მეგრულში აღნუსხულია მრავალი ფორმა: „სხივი“ – ჩხორია, სიმსი, შიმში, მანუ; მზის სხივი – მანუჟა; პირველი სხივი – მორღია; სხივება-ჩხორუა; სხივიერი – ჩხორული და ა.შ. (ლექსიკონი, გვ. 706). საყურადღებოა სხივის უწვრილესი (უმცირესი) ფორმის გამომხატველი „სიმსი“ ე.ი. უწვრილესი სწორი ხაზი, რომელიც ქმნის „ჩხორიას“ – სხივს. ამდენად, ეს უწვრილესი – სიმსი, ობიექტიდან (მზიდან) ლარივით მომდინარე ქმნის „ჩხორიას“. მამასადამე, „ლარი“ „სიმსისი“ ჩხორიას ფორმაა. შესაბამისად, მზე – მნათობი სამყაროს სინათლესა და სითბოს აძლევს (აფრქვევს) ლარივით სწორი სხივების სახით. ეს სხივური სასიცოცხლო ენერჯია თავის ამ ღვთაებრივ ბუნებას წარმოაჩენს ძლიერი გამონათების ფორმით, რომლის არსიც (ბუნება) აიაიას ცნობიერმა სამყარომ გონჭვრეტივითადად გაიაზრა ცნება „ბარჩხალია“-ში, რომელშიც ასახულია მზე-ღვთაების ფიზიკური გამოვლინება (თვისება), ამ თვისებამ კი, რა თქმა უნდა, „ჟაია“ – „ბჟა“-ს იდეური სახელდების მეტამორფოზირება და „მზე ღვთაებისა“ და „მზე მნათობის“ ურთიერთ განპირობებით აწარმოა მზის სრული სახელწოდება „ბჟალარია“. მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ლ“ ბგერას ამ ცნებაში სხივის – ჩხორიას, სიმსის ფორმის აღმნიშვნელი ნიშნის გარდა, ასევე უნდა ჰქონოდა სარწმუნოებრივი თაყვანისცემის გამომხატველი (მოფერებითი) დატვირთვა „ლაია“ კომპლექსის ფორმით: ჩელაია, ტატალია, ცვაჯალია და ა.შ. „ბჟალარია“-ს და „ბარჩხალისა“ ასეთი განუყოფელი ერთობის არსებობა წარმოაჩენს „ბჟა“ – მზეს და „ბჟა“ – რძეს იდეური ურთიერთგანპირობებულობის ლოგიკურ საზრისს. ჩვენ მიერ ზემოთ

განხილული სასიცოცხლო ენერჯის მატარებელი წყაროს სიმსი-სხივის, მზიდან მომდინარეობის ანალოგიტ გვაქვს ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი დედის რძის ბავშვისთვის სიმსად-სხივად მიწოდება. ე.ი. მზისა და რძის იგავური იდეური (შინაარსობრივი) სახელდების გამოვლინებასთან ერთად გვქონია მათი ფიზიკური (ფორმით) გამოვლინების მსგავსებაც. ე.ი. ორივე ადამიანთა სიცოცხლეს უზრუნველყოფს სხივების ფორმით და მათი საშუალებით.

მზის (მზე დედა-ღვთაების) სახელდების ეტიმოლოგიის ახსნის მიზნით მიმდინარე ამ ჩვენეული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მზე მნათობისა და მზე დედა-ღვთაების სახელდებიანი: „ჟაია“, „ბჟაია“, „ბჟა“ და მათგან მომდინარე „ბჟალაია“ აიაიასული დიალექტითაა ნაწარმოები. შესაბამისად, ელინურმა სამყარომ აქედან შეითვისა აიაიასა და აია-კოლხური დინასტიის მზიური წარმომავლობა. ე.ი. მზე დედა-ღვთაების თაყვანისმცემელი მოდგმა (ეთნოსი) მზის შვილებად იქნა აღქმული და არცთუ უსაგნოდ, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, მზის (მზე დედა ღვთაების) სახელდების ფილოსოფია (იდეა) სრულად ასახავს ამ მოდგმის ფსიქოკულტურული წყობის გენეტიკურ კავშირს მზის კულტთან, ზოგადად ზეციურ სამყაროსთან. პირველსახელმძღვანელებს ჰქონდათ სრულიად რეალური განცდა, რომ ისინი სულიერად დაკავშირებულნი იყვნენ ზეციურ სამყაროსთან და იქიდან დაშვებული იყვნენ მინიერყოფიერებაში. ასეთი დამოკიდებულება ცისა და მიწისადმი სრულად აისახა მათ გვიანდელ რელიგიურ რწმენაში – **მინისა და ცის თაყვანისცემაში**. მანამდე კი აიაიას მოდგმის სალოცავი და საფიცარი იყო მზე და თვითონაც მზის ღვთაების სახელიდან – „ჟაია“ – მომდინარე „აია“-ს ატარებდნენ თვითსახელად. ე.ი. აიაიელებად იწოდებოდნენ, თავიანთ ქვეყანას კი „აიაიას“ უწოდებდნენ. შესაბამისად, მოსულმა ელინურმა მოდგმამ, თავისი პატრიარქალური წყობისა და კრონოს-ზევისის სარწმუნოებრივი იდეალის კვალობაზე ეს „ჟაია“-მზე დედა ღმერთის, მორწმუნე მოდგმა მზე მამა ღმერთის შთამომავლობად გამოაცხადა და მისი **სამეფო დინასტიაც** აქედან აწარმოა. აქედანვე იწარმოა ქვეყნის სახელი „აია-კოლხეთი და მისი მეფის მზის შვილი „აიეტი“-ს სახელიც.

ჯეაალ შონია

# აფხაზეთის ქართული მწერლობის მატთან

2014 წლიდან დღემდე გამოვიდა ოთხი ტომი მეტად მნიშვნელოვანი წიგნისა სახელწოდებით – „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“. ამ პროექტის ავტორი და ტომების რედაქტორია სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტიტე მოსია. საერთოდ, წიგნი გამოდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური დახმარებით „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს სოსუმის უნივერსიტეტთან არსებული ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

აღნიშნული მრავალტომიანი წიგნის გამოცემა საშვილიშვილო საქმეა და მოიცავს აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა ყველა თაობის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს, რაც მნიშვნელოვანია მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. წიგნი აუცილებლად გამოადგებათ როგორც ქართუ-

ლი მწერლობის თანამედროვე მკვლევრებს, ისე მომავალ თაობებს.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის სულისჩამდგმელი და მთავარი განმმხორციელებელია ბატონი ტიტე მოსია, რომელიც კოორდინებას უწევს მასალების მომზადებასა და შეგროვებას, ტომების შედგენასა და გამოცემას, ტექსტების გამართვა-რედაქტირებასა და ავტორთა კოლექტივთან ურთიერთობას; გარდა ამისა, საკუთარი კალმით შეაქვს შემოქმედებითი წვლილი და ბევრი ნაშრომის ავტორი თვითონ არის. ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებულად საჭირო და აქტუალურია ტიტე მოსიას ვრცელი და სრულყოფილი გამოკვლევა „აფხაზეთის ქართული მწერლობის სათავეებთან“, რომლითაც იხსენება წიგნის პირველი ტომი და, ამგვარად, წარმოადგენს მეცნიერულად დამუშავებულ ვრცელ წინასიტყვას აფხაზეთში მცხოვრებ ლიტერატორთა შემოქმედებითი საწყისების შესახებ, რომლის სათავეები მე-19 საუკუნიდან მოდის.

წერილის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს:

IV  
**აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან**  
 IV

სუბა მურულია  
 მაღრა შონია  
 აკვი ვასილიანი  
 დიდი ნარსია  
 სალომე კახინაძე  
 ანა მასილიანი  
 შია აკოლია-მასია  
 ამირან მარტყოფაძე  
 ამილან ჯიჯილაია  
 ლასანი გურგუფია  
 ნათელა მანარდავაძე  
 შია მუსია  
 ლიდა სტეფანია  
 ნურე ვანელიძე  
 ნანა ჯუჯია  
 თამარ მალაია  
 მალაე მარტყოფაძე  
 წაფილე გულაშვილი  
 ანზორ გვანამია  
 გიორგი ქიქოძე  
 გელა მამფორია  
 თეონა გუგია  
 ტიტე მოსია  
 თეიმურაზ თეიმურაძე  
 ნოდარ თეიმურაძე  
 შინდო ტორია  
 მთელი ჩაშა  
 თეიმურაზ მამფორია  
 თეიმურაზ მამფორია  
 თეიმურაზ მამფორია  
 თეიმურაზ მამფორია  
 თეიმურაზ მამფორია



„თვითონ სატანაც წერაქვით ვერ ამოკვეთს ისტორიის ფურცლებიდან, ლაპიდარული, ფრესკული თუ ჭედური წარწერებიდან ერთ ასოსაც კი. ეს ცნობები ხომ ქართველთა და აფხაზთა ძმობის სასარგებლოდ ღალადებენ. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც, ვიდრე რუსეთის იმპერიული ზრახვები ჩატეხდა ჩვენ შორის ხიდს, ქართველებსა და აფხაზებს ერთი ენა, ერთი კულტურა, ერთი მნიგნობრობა და სარწმუნოება გვამთლიანებდა...“ შემდეგ ავტორს მოჰყავს აფხაზი ხალხის წარმომადგენლების დიმიტრი გულიას, ზურაბ ანჩაბაძის, გიორგი შარვაშიძის გამონათქვამები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ.

ამავე წერილში ტ. მოსია აღნიშნავს: „ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ აფხაზეთის ქართული მწერლობის სათავესთან დგას სამურზაყანოს მკვიდრი პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პედაგოგი ივანე გეგია (1861-1941). იგი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი...“ ბუნებრივია, ივანე გეგიას ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვას ეძღვნება პირველი წერილიც, რომლის ავტორი სწორედ ტ. მოსია გახლავთ.

პირველ ტომში შესულია აგრეთვე წერილები, რომლებიც ეძღვნებათ ფუცუ დგებუაძე-ფულარიას (ავტორი მარინე ჯაიანი), მოსე გვასალიას (ავტორი ლელა ჯაფარიძე), კლიმენტი გოგიავას (ავტორი მედეა კვარაცხელია), ციალა მესხიას წერილები შოთა აკობიაზე, მირიან მირნელაძე, ტიტე მოსიას წერილი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეზე და მარინე ტურავას წერილი გენო კალანდიაზე.

ნიგნის მე-2 ტომი გამოვიდა 2017 წელს. მასში წარმოდგენილი არიან მწერლები: ევგენი აქუბარდია, გივი ბერაია, დავით გაბუნია, დიმიტრი გიგიბერია, რენე კალანდია, ინდიკო კვეკვესკირი, ვლადიმერ მისაბიშვილი, ოთარ მიქაძე, ზურაბ ნაყოფია, გურამ ოდიშარია, გიორგი სიჭინავა, მურმან ხურცილავა, ნოდარ ხუნდაძე, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია და ვლადი-

მერ ჯოლოგუა. ავტორთა კოლექტივს წარმოადგენენ: ირმა ზაქარაია, მირანდა თოდუა, მედეა კვარაცხელია, ნონა კუპრეიშვილი, ნანა კუცია, ჯონი მარლანია, რობერტ მესხი, ციალა მესხია, მარიამ მირესაშვილი, ლელა მირცხულავა, ტიტე მოსია, ზეინაბ სარია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, მარინე ჯაიანი და ლელა ჯაფარიძე.

2020 წელს გამოვიდა მე-3 ტომი. მასში მიმოხილულია შემდეგი მწერლების შემოქმედება: მანონ ბულისკერია, ხუტა გაგუა, მირიან დგებუაძე, რამაზ კუპრავა, რობერტ მესხი, ანდრო ჟვანია, ანატოლი სოსელია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, ნანა ქარდავა, ალიო ქობალია, ჯემალ შონია, ამირიდონ ჩეგანი, დალი ცაავა, სერგო წურნუშია, შოთა ხოჭავა, გია ხუბუა, ჯემალ ჯინჯიხაძე. მე-3 ტომის თანაავტორები არიან: ნანა არახამია, ნინო ვახანია, ირმა ზაქარაია, მირანდა თოდუა, სალომე კაპანაძე, მედეა კვარაცხელია, ნანა კუცია, ციალა მესხია, ლელა მირცხულავა, ტიტე მოსია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, რუსუდან ფიფია, ჯემალ შონია, როსტომ ჩხეიძე, თამარელა ნონორია, ლევან ჯინჯიხაძე.

მიმდინარე 2023 წელს გამოიცა მე-4 ტომი. მასში 32 მწერალია წარმოდგენილი: მზია აკობია-ძაძამია (ავტორი ტიტე მოსია), თამაზ ახალაია (ავტორი ტიტე მოსია), შალვა ბაკურაძე (ავტორი დარიკო ფიფია), აზა ბასილანძე (ავტორი მედეა კვარაცხელია), ხუტა ბერულავა (ავტორი მარინე ტურავა), აკაკი გასვიანი (ავტორები ქეთევან მარგიანი და ვახტანგ გასვიანი), რაფიელ გელანტია (ავტორი ტიტე მოსია), ლამარა გერგედავა (ავტორი ლუარა სორდია), ანზორ გვარამია (ავტორი ლელა მირცხულავა), გიორგი ესებუა (ავტორი ნანა კუცია), სალომე კაპანაძე (ავტორი ნანა კუცია), ნათელა მამარდაშვილი (ავტორი რუსუდან ფიფია), გელა მამფორია (ავტორი ნინო ვახანია), თემურ (ნუკრი) მესხია (ავტორი მირანდა თოდუა), მაია მიქაია (ავტორი ნანა არახამია), ამირან მიქაუტაძე (ავტორი ტიტე მოსია), ტიტე მოსია (ავტორი ჯემალ შონია), დოდო ნარმანია (ავტორი ციალა მესხია), ვეზდენ ოკუჯავა (ავტორი ლევან ჯინჯიხაძე), რევაზ ოკუჯავა (ავტორი ლევან ჯინჯიხაძე), ლიდა სტვილია (ავტორი თამარელა ნონორია), ბონდო ტორუა (ავტორი ჯემალ შონია), თორნიკე ქავშბაია (ავტორი გიორგი სიჭინავა), ბადრი შონია



(ავტორი ტიტე მოსია), მიხეილ ჩაჩუა (ავტორი რუსუდან ფიფია), თენგიზ ძაძამია (ავტორი ლევან ჯინჯიხაძე), მურმან ძველაია (ავტორი ჯემალ შონია), ნუნუ ჯანელიძე (ავტორები ნატა ვარადა, ნინო ქუთათელაძე), ნანა ჯეჯეია (ავტორი მარინა თექეთუმანიძე), ლევან ჯინჯიხაძე (ავტორი რობერტ მესხი), აპოლონ ჯინჯოლია (ავტორი ირმა ზაქარაია).

მომავალ წელს დაგეგმილია ნიგნის – „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“ – მეხუთე ტომის გამოცემა.

ჟურნალ „მიჯნის“ ამ ნომერში ვბეჭდავთ წერილებს ამ ნიგნიდან რევაზ ოკუჯავასა (შემოკლებით) და თორნიკე ქავშაბაიას შემოქმედების შესახებ.

## ლეონ ჯინჯიხაძე

# რევაზ ოკუჯავა

რევაზ ოკუჯავა (თუნთი ბერულავა) დაიბადა 1951 წლის 1 მაისს სოხუმის რაიონის სოფ. ქვემო იაშთხვაში სერაპიონ ოკუჯავასა და აგრაფინა პერტახიას ოჯახში.

1977 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან თავისი პროფესიით დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში და დაუღალავად ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდის საქმეს.

დევნილობის წლებში რევაზ ოკუჯავა სოხუმის ა. შარვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ასწავლიდა ხელოვნებასა და ისტორიას, არის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი. იყო აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რევაზ ოკუჯავა იმ დიდი ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც ტრადიციულად ქართული კულტურით საზრდოობდა. სერაპიონის ხუთ ვაჟიშვილს დედამიწვილობის გარდა აერთიანებთ ქართული ხალხური სიმღერების უდიდესი და უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდნენ – მამა და ხუთი ვაჟიშვილი: მურმანი, გურამი, ვეზდენი, ვიტალი და რევაზი. ოკუჯავების ოჯახი მთელ საქართველოში ცნობილია, როგორც ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე. მათმა ოჯახურმა ანსამბლმა თავის დროზე კონცერტებით მოიარა ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა.

რევაზ ოკუჯავას გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული. პირველი სამი კრებული „სულის ხვიარები“ (1996 წ.), „სული მზეს ჩახეხუტება“ (2011 წ.), „დილის მადლი“ (2016 წ.) გამოიცა ქ. თბილისში. პირველი კრებულის რედაქტორია ალექსანდრე ცანავა, ხოლო მომდევნო ორი ნიგნისა – ჯემალ შონია. მეოთხე კრებული „მადლობა“ დაისტამბა ბათუმში 2020 წელს (რედ. კესო ბორჩხაძე).

ოკუჯავებმა არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელი მოხიბლეს თავიანთი სიმღერებით, ამ ნიგნით კი რევაზ ოკუჯავას მშვენიერ პოეზიასაც ეზიარება მკითხველი.

„ქვეყნად არაკაცური არაფერი არა მწამს“, – ამ სიტყვების ავტორი გულწრფელ, ნატიფ სტრიქონებს უძღვნის სამშობლოს და თითოეულ ჩვენგანს. პოეტი და მისი ლექსები ერთმანეთს ჰგავს შინაგანი ხიბლით, ღრმა პოეტური განცდებით და რაც მთავარია, სიმართლით.

რევაზ ოკუჯავას ლექსებიც სიმღერასავითაა ამოფრქვეული ალალ-მართალი გულიდან, სიმღერასავითაა წასაკითხი და მოსასმენი, სიმღერასავით ახლავს სევდაც და მომავლის რწმენაც და, თვით პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მათ არ შეიძლება რამე შიში ჰქონდეთ წარსულისა და მომავლის წინაშე“.

„შენ არასოდეს არ თავდები, შენ ყოველთვის იწყები“, – მიმართავს პოეტი საქართველოს. მკითხველი დამეთანხმება, რომ 60 წლის პოეტის შესანიშნავი ლექსები კვლავაც გვაგრძობინებენ მშვენიერების დაუშრეტელ

სანყის, რომელსაც დასასრული არასოდეს ექნება“.

რევან ოკუჯავა ზღვისპირელი პოეტია, მისი ლექსები მართლაც რომ შესანიშნავია და მომხიბვლელი, გულის სიღრმიდან ალაღად, ძალდაუტანებლად წამოსული ტკივილნარევი სიტყვებია, რომლებიც მკითხველს თუ მსმენელს განაცდევინებს სიტყვის მაგიურ ძალას, აღაფრთოვანებს და ამავე დროს დააფიქრებს როგორც ქვეყნის, ასევე ადამიანის სვე-ბედზე.

მის პოეზიასთან დაკავშირებით გაცილებით უფრო ადვილია საუბარი იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას ახლოს იცნობ, მის გვერდით იმყოფები, მოგილხენია სუფრაზე, ან გიბრძოლია მასთან ერთად იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად. და მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ რევან ოკუჯავასთან, ჩემი ისტორიის მასწავლებელთან, უფროს მეგობართან ერთად მომინია ყოფნა არა მხოლოდ სკოლაში, არამედ საერთოდ, ზოგადად ცხოვრებაში.

რევან ოკუჯავას ლექსები არ არის დიდი მოცულობის. უმეტესი ნაწილი მისი ლირიკული ნაწარმოებებისა ერთსტროფიანია, ან ორსტროფიანი. იშვიათობაა შეგვხვდეს მის ლირიკულ კრებულებში შედარებით დიდი ლექსი. თუმცა, დიდი შოთა რუსთველისა არ იყოს „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

ასე, რომ პოეტი თავის ძარღვიან სათქმელს სრულიად თავისუფლად ატეხს მცირე მოცულობის ლექსებში, რომლებშიც ძალიან კარგად ჩანს მისი ცხოვრების კრედო – ურყევი და მტკიცე რწმენა, მრწამსი, მსოფლმხედველობა.

პოეზია რევან ოკუჯავას სულის ნაწილია. მისი პოეტური შთაგონება წყაროს წყალივით მოედინება და ეს წყარო ურევია იმ წყაროში, თუ პოეტის სიტყვებს მოვიშველიებთ „რომლითაც საქართველომ პირველი ცისკრის ხილვისას მოიფშვნიტა თვალები“.

ლექსის თქმის ნიჭი ღვთისმიერი საჩუქარია, ადამიანის სულში ნათელ შუქად ჩალვენთილი და სწორედ ეს ნათელი შუქი გასდევს თავიდან ბოლომდე რევან ოკუჯავას შემოქმედებას. მისი ლექსები სულის სიღრმიდან ამომდინარეა და სიყვარულით, მზიური და ადამიანური სითბოთი არის გაჯერებული უფ-

ლისადმი, სამშობლოსადმი, ადამიანისადმი, რომლებიც სულში ხვიარებად ჩახვევია.

რევან ოკუჯავას არცერთი კრებული არ არის დიდი მოცულობის. პირველი კრებული 38 გვერდიანია, მეორეც ამდენივე გვერდს მოიცავს, მესამე – 44 გვერდს, ხოლო მეოთხე – 24 გვერდს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი თვლა-ანგარიში არაფრის მომცემი და მთქმელია. პოეტის განცხადებით თითოეული წიგნი

„სულ პატარა დღიურია, ყველაფერი მიყვარს იგი, რაც წმინდა და ღვთიურია“.

და ასეც არის, ამ პატარა დღიურებში ძალიან კარგად ჩანს რევან ოკუჯავას შემოქმედების თვალსაწიერი, რომელიც საკმაოდ ფართოა და სიღრმისეული. მის შემოქმედებაში ცალკე ციკლადაც შეიძლება გამოიყოს სოხუმში დაწერილი ლექსები, როგორებიცაა „ღმერთო“, „კაცო“, „მეზობელი“, „ცაში მიმრავლე“, „ბავშვის ნახატები“, „ნუ გაიკვირვებ“, „მე არ დავრჩები“, „მე ეს ფიქრები“, „ოსტატო“, „ნეტავ ვინ მოგანიჭა“, „მსურს მზე მუდამ გინათებდეს“, „კი ტკბილ-მწარედ გვაგონდება“, „დაბოლმილი გვაქვს“, „სულო“, „წყეული თარილი“, „ლურჯ ცას“, „კაცს არ ვანუხებ“, „იტყვი სოფელში არ დარჩაო“, „მშობლიურო აფხაზეთო“, „უნებური სიმღერა“, „ბედი“, „ქარი მიმოკლებს ანცი“, „მახსოვს“, „გულო“, „ზღვარი“, „თუ სიცოცხლის სავსე თასი“ და „ხარ თხუთმეტის“.

ამ ლექსებში ცხადლივ შეიგრძნობა მისი გულწრფელი და ტკივილიანი დამოკიდებულება მშობლიური ქვეყნისადმი, საქართველოს დიადი წარსულისადმი, აფხაზეთში გაჩაღებული ძმამტკვლელი ომისადმი, სიკეთისადმი, ხელოვნებისადმი, სატრფოსადმი, სიცოცხლისადმი.

რევან ოკუჯავას პირველი კრებული უფლისადმი მიმართვით იხსნება. ჯერ კიდევ თავის მშობლიურ სოფელში მყოფი პოეტი ლექსში „ღმერთო“ უფალს უზიარებს თავის გულისთქმას და ევედრება:

„გამარჯვების სიმღერები  
მათქმევინე ფხიანად,  
მინა ჩემი მიდღეგრძელე  
ბარიანად, მთიანად,  
საქართველო კიდევ ერთხელ

დამანახე მთლიანად,  
მერე წყალში ხოხობივით  
ჩავიხარშო ფრთიანად.“ **„ღმერთო“**

უფლის ხატება რევაზ ოკუჯავასათვის უმთავარესია. ის არის სწორედ მისი უპირველესი პოეტური შთაგონების წყარო, მისი მამოძრავებელი ძალა, რომელიც აძლევს დაუშრეტელ ენერგიას შეასრულოს ამქვეყნიური მისია, პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი.

ერთ უსათაურო ლექსში, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ნახსენები სიტყვა „ღმერთი“, მისი არსებობა მაინც აშკარად შეიგრძნობა. პოეტის ნატვრაა ცაში ხედავდეს გედებისა და წეროების სიმრავლეს, უსმენდეს ვარდებზე გამიჯნურებული ბუღბუღლის გალობას, ხედავდეს დამარცხებულ მტერს. პოეტი უფალს შესთხოვს, რომ რწმენისთვის და სიყვარულისათვის მტკიცე ტაძარი ააგებინოს:

„რწმენის და სიყვარულისთვის  
ამაგებინე ტაძარი

და შენთვის მომამკვივინე

ქვეყნად სიკეთე რაც არის“. **უსათაურო**

ლექსში „ბავშვის ნახატები“ პოეტის მიერ ყურადღება გამახვილებულია ისევ და ისევ უფლის ხატებაზე, როგორც უდიდეს შემოქმედზე. პოეტი უმზერს ბავშვის ნახატებს და ეუფლება არაჩვეულებრივი განცდა, რადგან „იქიდან წმინდა ზეცა ღაღადებს“. იგი წინასწარ გრძნობს, რომ მომავალში სუფთა ქალღმერთებს „რა მზეც ანათებს“ და იმედი აქვს, რომ უდროოდ არასოდეს დაღამდება.

უფლის სახება ჩანს ერთ პატარა უსათაურო ლექსშიც. ამ ლექსიდან აშკარად შეიგრძნობა პოეტის მოვალეობა, რომ მასაც უნდა ჰყავდეს „პატარა მართვე“. მისი განცხადებით

„და სანამ მისი სიცოცხლე მმართებს,  
ღმერთი სიკვდილის უფლებას მართმევს“.

უფლის სახეს ვხედავთ ჩვენ რევაზ ოკუჯავას ყველა ლექსში, რადგან თავად უფალი მასში სახლობს სიყვარულით და პოეტიც გულით და გონებით მის ხატებას დაატარებს. ის არის მისთვის უდიდესი იმედი ამ ქვეყანაზე და ამავე დროს ადამიანებს მოუწოდებს, რომ უფლისმიერი სიყვარულით უყვარდეთ ერთმანეთი:

„უნდა გვიყვარდეს ყველას უფალი,  
ეს სიყვარული გადამდებია.

მალე ჩვენთვისაც გამოიდარებს  
და მნათობებიც დალაგდებიან,  
ნულარ ნავილებთ იმქვეყნად იმას,  
რაც სიცოცხლეში ვალად გვდებია“.

**„უნდა გვიყვარდეს“**

იქ, სადაც სიყვარულია, სადაც ჯერ კიდევ ციმციმებს სულში ნათელი, ხელიხელ ჩაჭიდებულნი უნდა ვმუშაკობდეთ კიდევ – „შენება არის ჩემი ნუგეში“. უქმად არ უნდა იფანტებოდეს სიტყვა და სათქმელი. ალაღად დაღვრილი ოფლი უნდა ეწვეთებოდეს ქართულ მიწას. სიყვარულით ნაშენები კი მუდამ საფუძველმტკიცეა და მას ვერარა მზაკვარი ძალა ვერ დაანგრევს.

„...უქმად არ ვფანტავ სიტყვას და სათქმელს,

დამაღვრევიანე ალაღად ოფლი  
და შემაჭიდე იმდაგვარ საქმეს,  
რომელსაც ჩემი სიცოცხლე ჰყოფნის“.

**„ღურგლის ვედრება“**

პოეტი ამავე დროს ცდილობს სიღრმისეულად ჩანვდეს და ამოხსნას სამყაროს საიდუმლოება

„...სიბრძნის ქმნილება ერთ სიბრტყეზე  
ველარ თავსდება

და შენში გადის ურთულესი გზები მიგნების.

დასაბამია ჭეშმარიტად შენი არსება  
დანერილის და დასაწერი ანი წიგნების“.

**„სამყაროს საიდუმლო“**

რევაზ ოკუჯავა მხოლოდ სამშობლოსათვის, მოძმისათვის სუნთქავს და მღერის, მისი დიდების და უკეთესი მომავალის მომღერალია და არც არის გასაკვირი, რადგან მისთვის, როგორც ჭეშმარიტი ქართველისათვის სამშობლო უპირველესია და ამიტომ უნებურადაც წამოცდება ხოლმე სიმღერა. იგი ასე მიმართავს მოძმე ქართველ პოეტებს:

„ჩვენ რომ ვწერთ, ძმებო, ისეთი ლექსი  
არ ეკადრება ჩვენს სამშობლოს იქნება  
სულაც,

მაგრამ რომ ვხედავ საქართველოს ჯადოსნურ სურათს,

თავს ვერ ვიკავებ და სიმღერა თავისით  
მოდის.“ **„უნებური სიმღერა“**

პოეტისათვის ჭეშმარიტება, სიმართლე,

მართალი სიტყვის გაგებაა უმთავრესი, რაც მას სასიძლეროდ განაწყობს:

„როდესაც სიტყვას გავიგებ მართალს, გული იმგვარად დამინწყებს ფართქალს, როგორ იქნება სიძლერა არ ვთქვა“.

**„მართალი სიტყვა“**

საქართველო პოეტის სულისთქმა და თვალისჩინია. იგი ასე მიმართავს მიძღვნილ ლექსში თანამეინახეებს

„ამივსეთ თასი კიდევ ერთხელ ცრემლებით ვაზის

და საქართველო ვადღეგრძელოთ ისევე ძმებო“. **„ძმობის საგალობელი“**

მრავლისმთქმელია ლექსი „მეზობელი“, რომელშიც რევანს ოკუპაცია ნათლად და გასაგებად გვესაუბრება ამქვეყნად დამკვიდრებულ ცხოვრებისეულ შუქ-ჩრდილებზე,

„ისლით დახურული მიყვარს ფაცხა, ქვეყანა მძულს ჩალით დახურული“.

მას სწამს მხოლოდ მშრომელი, ალალ-მართალი კაცი, რომლის გულისკარიც მუდამ არის ღია მეზობლისათვის და უხარია მისი მისვლა

„უნდა დაიმშვენო კაცმა

მკლავები მზის სხივებით გამურული.

მიყვარს მეზობლის მეზობელთან მისვლა“...

პოეტი ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა დადებით და მანკიერ მხარეებზეც და გვარაგებს, რომ

„თუ გსურს ამქვეყნად წინსვლა, უარყავ ოქრო და ვერცხლი,

უნდა დააშრო ტალახი შურის, მტრობის და ჭორის“.

რევანს ოკუპაცია უპირველესად ქართველია „ტკბილი ქართული ჩანგის გამთლელი“, რომელსაც ხიბლავს, უყვარს, ეთაყვანება და გულით უძღვნის უტკბილეს საგალობელს თავისი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს, სრულიად საქართველოს.

მას ეამაყება, რომ ქართველია და უფალთან ქართულად საუბრობს:

„მეამაყება, რომ ვარ ქართველი, ღმერთთან ქართული ენით ვსაუბრობ და ჭეშმარიტი რწმენის ნათელით გაბრწყინებულა ჩემი საუფლო“.

**უსათაურო**

რევანს ოკუპაცია სრულიად კმაყოფილია, რომ ქართველია და ქართულ მიწაზე ცხოვრობს:

„ერთი მითხარით, უფალს მეტი რა უნდა ვთხოვო, ვარ ქართველი და საქართველოს მიწაზე ვცხოვრობ!“

**უსათაურო**

პოეტის ქართველობის დამადასტურებელია კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი

„არც გოეთე მაოცებს,

არც ოპერა ბიზესი,

დიახ, ვარ ქართველი და

მაქვს ამისი მიზეზი.

რჯულს და სიბრძნეს სხვასავით

სხვაგან აღარ ვეძებდით,

სხვებს აქედან გაჰქონდათ

ჩვენი ოქროს ვერძები“. **„არ მაოცებს“**

საქართველოსადმი, მამულისადმი არაერთი გულმხურვალე სტრიქონები აქვს მიძღვნილი პოეტს. რად ღირს თუნდაც ლექსი „იმედის მისხალი“, რომელიც ეხმიანება ზემოთ განხილულ ლირიკულ ნაწარმოებებს და, სადაც ამავე დროს შესანიშნავად ჩანს რევანს ოკუპაციას გულწრფელი განცდები:

„ვზედავ ოცნება ტკბილ ნაყოფს ისხამს,

ველარ გამტეხავს დროება ქუში,

შენ გამიღვივებ იმედის მისხალს,

რომელიც მუდამ კიაფობს სულში.

ჯერ აქეთ მიდგას ორივე ფეხი

და მარჯვედ ეხმარობ თოხსა და ფინალს,

მე ვარ უბრალო ქართველი გლეხი,

რომელსაც უყვარს მამულის მიწა“.

პოეტი ეხმატკბილება გამრჯე, მშრომელ ადამიანს, თავის ქვეყანას ავედრებს უფალს:

„...მინდა ყველას შემოვევლო,

ალალსა და გამრჯეს,

მეც არ მინდა წასვლის მერე

ქვეყნის ვალი დამრჩეს,

საქართველოს კარგად ყოფნას

ვევედრები გამჩენს“. **„ვევედრები გამჩენს“**

გკითხულობთ რევანს ოკუპაციას ლექსებს და აშკარად იგრძნობა, რომ მისი პოეზია უფალთან წილნაყარია: ღვთისნიერება, სიკეთე, სიქველე, სიყვარული, ძმობა-მეგობრობა, კარგი საქმის კეთება სულის უბრწყინვალესი



სამკაულია პოეტისათვის.

პოეტი დარწმუნებულია და ამავე დროს მკითხველსაც არწმუნებს, რომ თუ კი გული გამთბარია სიკეთით და სიყვარულით, ცივი და საშინელი ზამთარიც ვერაფერს დააკლებს. მას სჯერა, რომ უფალი ყოველთვის და ყველგან დაიცავს

„უფალო, შენი სიმაღლე მიცავს,  
ყველაფერს შენი თვალებით ვუმზერ,  
ვეაღერებები მამულის მიწას,  
რომ დამეყაროს მსუბუქად გულზე“.

**„უფალო“**

იცის უფალმა, რომ პოეტი გულწრფელად უმღერის სამშობლოს ლექსებით. რევაზ ოკუჯავასათვის საქართველო სამოთხეა და სულის სალბუნია:

„საქართველოვ, მონათლულო ედემად,  
ყველაფერი სულს მალამოდ ედება.“

**უსათაურო**

პოეტი თვით სამოთხის გაცეცების მომსწრეც კი გახდა:

„როცა იხილა საქართველოს მიწა-წყლის ფარჩა, –

თვითონ სამოთხეც მოიხიბლა და სახტად დარჩა“. **„სამოთხის გაცეცა“**

ლექსი „იქ დავიბადე“ რევაზ ოკუჯავას მორიგი გულთბილი სიმღერაა საქართველოზე. ამ ერთსტროფიან ლექს-სიმღერაში კიდევ ერთხელ ძალიან კარგად ჩანს პოეტის უფაქიზესი დამოკიდებულება დედა-სამშობლოსადმი:

„იქ დავიბადე, სადაც სუფთა ტყე და მოლია,

სადაც ზღვის ტალღებს თავს ევლება თეთრი თოლია,

სადაც ნატიფი მიმოზა და დაფნა ყვავიან, სადაც ირმები სიყვარულის ჰანგებს მღერიან“. **„იქ დავიბადე“**

პოეტი თავის ერთ-ერთ ლექსში ცდილობს დაგვიხატოს, თუ როგორი სიყვარულით ისწრაფვის ბალ-ვენახოვანი ოაზისისაკენ მერცხალი, რადგან სხვა უკეთესი ბუდე არსად ეგულება

„სხვა, უკეთესი სამყოფელი რადგან ვერ ნახა,

ისევ ამ მიწას მოაკითხა, ქცეულს ვენახად. რამდენი ზღვა და მიწა უნდა გადმოეღახა,

რომ საყვარელი საქართველო ისევ ენახა!“

**„მერცხალი“**

ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების დამხობა პუტჩისტების მიერ, რომელიც განხორციელდა კრემლის ინსპირირებით, ბუნებრივია, რომ არც ქვეყანას წაადგებოდა სასიკეთოდ.

პოეტი დამწუხრებულია და დანაღვლიანებული ძმათამკვლელი ომის გამო. იგი მოცულია უიმედობით, რადგან ყველაფერს თალხისფრად ხედავს. ხედავს თუ როგორ ჯიჯგნის კაენის მოდგმა საქართველოს. ხედავს, რომ საშველი არსაიდან ჩანს. სისხლისღვრა, ბოროტება, შური ის მძლავრი მორევია, რომელსაც ქვეყანას დაღუპვას უქადის:

„ეხლა ყველაფერს ფერი აქვს თალხის ცხოვრება ისეთ მორევში შედის, მამულო, გჯიჯგნის ისეთი ხალხი, – აღარ მახარებს ხსენება შენი.

ვილაც გპირდება სიცოცხლეს ამოს – ძმამ ძმის დაღვარა ამიტომ სისხლი, გაბოროტების და შურის გამო ან საქართველოვ ვერავინ გიხსნის.

მორჩები სოფლის ღვარძლიან ყაყანს, ყოველდღიური სირცხვილით თუთქვას, დაღებული აქვს ურჩხულსაც ხახა

და ელოდება შენს ბოლო სუნთქვას“.  **(„წყეული თარიღი“).**

პოეტი ძლიერ არის შეწუხებული არსებული მდგომარეობით, მწვავედ განიცდის თანამოძმეთა მიერ დატრიალებლ ცოდვის კალოს საქართველოში და ეძებს ცოდვის იმ პირველ მარცვალს, რომელმაც კაცობრიობის გულსა და გონებაში მძლავრად გაიდგა ფესვი დასაბამიდანვე.

მეტად ორიგინალურად ჩამოაყალიბა რევაზ ოკუჯავამ პირველი ცოდვის ჩადენის ფაქტი თავის ერთ-ერთ ლექსში, რომლის ნაყოფსაც დღემდე იმკის კაცობრიობა

„უგუნურთაგან ახლა როდესაც ბევრი ტკივილის მიწვევს ატანა, მიკვირს, – წყეულმა, შენში სატანამ როგორ, რა გზებით შემოატანა.“ **„ევას“**

ამ ძიებას კი იგი ბიბლიამდე მიჰყავს, როდესაც ევამ და ადამმა შესცოდეს უფლის წინაშე.

და მაინც რა არის ცოდვა?

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა შემდეგნაირად არის განმარტებული: „1. სახელი სცოდავს ზმნის მოქმედებისა, – დანაშაულის ჩადენა ღვთის წინაშე. 2. ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული“.

ბიბლიის მიხედვით, ადამის ყველა შვილი, ანუ ყველა ის, ვინც ადამის მოდგმას განეკუთვნება, ამ ტრაგიკულ ხვედრს იზიარებს დღემდე. თვით ახალდაბადებულებიც კი, რომელნიც მართალია იბადებიან როგორც ღვთის ხატნი დასაბამად კეთილ სამყაროში, მაგრამ მაშინვე ხდებიან იმ სამყაროს ნაწილები, რომელიც შეკრულია სიკვდილით, რომელსაც სატანა მართავს და რომელიც აღვსილია სატანის ბოროტ მსახურთა უთვალავი თაობის ამაზრზენი ნაყოფით.

ამ თემას კი რევანზ ოკუჯავას არაერთი ლექსი ეხება. ავიღოთ თუნდაც ლექსი „უგნური მოყვარე“, რომელშიც პოეტმა გვიჩვენა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი სურათები. იგი აფხაზებს ახსენებს ძველ, კეთილ ურთიერთობას ერთმანეთისადმი. პოეტს არ მოსწონს მათი ქცევა და გულისტკივილით მიმართავს აფხაზ მოძმეებს, რომ ქართველები და აფხაზები ერთნი ვართ და გასაყოფი არაფერი არ გვაქვს. შეახსენებს იმასაც, რომ მათ ძალიან კარგად იცოდნენ თუ რა ზრახვები ამოძრავებდა რუსეთის იმპერიას, როგორ ცდილობდნენ წყლის ამღვრევას ქართველებსა და აფხაზებს შორის. პოეტი საყვედურობს თანამოძმეებს, რომ ისინი აჰყენენ ცდუნებებს და დაატრიალეს საშინელი ტრაგედია აფხაზეთში.

„მუდამ ერთად გვიმღერია,  
წყალს ვასმევდით ერთურთს პეშვით,  
ხომ იცოდით, იმპერია  
შხამს ურევდა მორდუს რძეში.  
მშობლის ხორცი შეაჭამეთ  
სისხლისმსმელს და გადამთიელს,  
დებს ნამუსი ახადეთ და  
ძმებს შავი დღე დაათიეთ“.

თუმცა, პოეტი მაინც ვედრებით მიმართავს უფალს და შესთხოვს

„ღმერთო, ღმერთო ძეს შეცდომილს  
ეს ცოდვებიც აპატიე!“ **„უგნური მოყვარე“**

გკითხულობთ რევანზ ოკუჯავას ამ ლექსს და არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გრიგოლ

აბაშიძის ლექსი „ფიქრები საქართველოს რუკაზე“, რომელშიც იმედგაცრუებული მწერალი გულისტკივილით ხატავს საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის ნგრევის ტრაგიკულ სურათს. ეს ტრაგიკული მოვლენა საქართველოსადმი მიმართული სტრიქონებით გრიგოლ აბაშიძის მიერ ასე არის გამოხატული:

„...მუხას ნააქცევს, ლერწამს კი არა  
პირალესილი ამდენი ცული,  
რა მოგიშუშებს ამდენ იარას,  
რამ მოგიჩინოს ამდენი წყლული!..  
და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი,  
შორიდან როგორ გიყურო მშვიდად.  
ნუთუ დამხოვა ჩვენს დროში გველის,  
დაუდევრობით შენთავე შვილთა?!“

ასევე შეიძლება გავიხსენოთ ჩვენი წარსულის შავბნელი პერიოდები, თუნდაც დავით გურამიშვილის პერიოდისა. დიდი ქართველი პოეტი თავის შემოქმედებაში ქართველი ერის ცოდვიანი მისწრაფებების შედეგად წარმოშობილ უსამართლობას, ძალადობას, ბინიერებას დაუნდობლად გმობს:

„მაგრამ კვლავ შესცდნენ მის გზითა, რა  
ცოდვის ბურმან მონისა,

ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ  
სცნეს მადლთა ფონისა“.

ჩადენილ ცოდვას, ბოროტებას კი უფლისგან განმორება, უფლის დავინყება ჰქვია.

„უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა  
ემმაკისა“.

ის რაც გვაქვს დავით გურამიშვილთან თუ გრიგოლ აბაშიძესთან, ვხედავთ რევანზ ოკუჯავას შემოქმედებაშიც. პოეტი დაუფარავად, პირდაპირ ამხელს ძეშეცდენილთა შავბნელ „საქმიანობას“. ისევ დავითის მცნებისა არ იყოს, პოეტი საკუთარ თავს ვალდებულად თვლის, რომ იქადაგოს მხოლოდ სიმართლე, თუმცა, ხედავს რა „ღმერთი არის ძალიან მალლა“ და განრიდებულია კაცობრიობას, თითქოს ჩუმდება, რადგან რა მოელის თვითონაც არ იცის, სიზმრებიც კი ავის მაუნყებელია, მაგრამ საკუთარ თავს ავალდებულებს თქვას სიმართლე:

„დამიფრთხა ძილიც, იმდაგვარი სიზმრები  
ახლავს

და კაციც არ ჩანს, რომ დაგპირდეს რაიმეს ახალს“. **უსათაურო**

ერთ-ერთ ლექსში ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედია სასონარკვეთილმა პოეტმა ასე გამოხატა:

„ვინც სამეგრელოს დაჰკრა ჩანგალი,  
იმან გასწირა ქართლიც, ჩარგალიც,  
საქართველოში დღეს ბევრი კერა  
სწორედ ამიტომ არის ჩამქრალი“.

**„ჩანგალი“**

მხოლოდ უფლის იმედად ყოფნა რომ არ შეიძლება, ამას ძალიან კარგად ხედავს რევაზ ოკუჯავა, იმასაც ხედავს, რომ ვინც წინ აღუდგა ბოროტებას, ცოცხალი ვეღარ გადარჩა.

გაუსაძლისი ყოფა, ფიქრი და სევდა-ნალველი არ შორდება პოეტის გულსა და გონებას, რომელიც ყოვლისმომცველია და პირველ რიგში ქვეყანას, ხალხს ეხება:

„...სულში ფიქრი შემოდის  
მძიმე, სახსრის დამშლელი,  
საქართველოვ, ჩვენ როდის  
დაგვადგება საშველი“. **„დარდის მიზეზი“**

რევაზ ოკუჯავას შემოქმედებაში ვრცელი ადგილი უჭირავს აფხაზეთის, სოხუმის თემას. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პოეტს თვალწინ უდგას აფხაზეთი, სოხუმი, თავისი სოფელი, საკუთარი დამწვარი სახლი, სადაც ახლა მხოლოდ მკვდარი სიჩუმეა და მხოლოდ ტურების კვილი თუ ისმის:

„ჩემი ბავშვობის დამწვარი სახლო  
ჩემმა თვალებმა ვით უნდა გნახოს.  
გული დანისლა ცრემლების ორთქლმა  
და დარდი ისევ თანდათან მალხობს“.

პოეტი წუხს, რომ ყოველგვარი ნაკვალევი დრო-ყამმა წაშალა და შთანთქა, ნატრობს იქ დაბრუნებას:

„წაშლილა კვალი ჩვენი ფეხისა,  
მორღვეულია ჭიშკარი ფართოდ,  
მიჯობს დამატყდეს რისხვა მეხისა,  
შენი დანახვა თუ არ მეღირსა,  
მე შენზე ფიქრით ვსულდგმულობ მარტო,  
შენზე ვლოცულობ გათენებისას“.

**„ჩემი წასახლარი“.**

წლების განმავლობაში მოთმინებით აღჭურვილ პოეტს ზოგჯერ სურს დატოვოს მეგობრები, ახლობლები, სადმე მეტეორივით

გაქრეს და ამ უკიდევანო სამყაროში თავის მისამართს ტოვებს

„მე ჩემს ყოფას ვეჩვევი  
და ფიფქები მათოვენ,  
სამყაროში მე ჩემი  
მისამართი დავტოვე“.

**„დევნილობის მესამე წელი“**

დედის მოლანდება რევაზ ოკუჯავასათვის უძვირფასესია

„სიყვარული შენი  
სანდოდ გადავმალე,  
გავახარებ, ვიცვი,  
მომლოდინე თვალებს,  
კაცისა და უფლის  
გადავიხდი ვალებს  
ოღონდ ჩემს სოფელში  
დამაბრუნე მალე“. **„დედის მოლანდება“**

ერთ-ერთ მიძღვნილ ლექსში, პოეტის წარმოსახვა მშობლიური კუთხისადმი და მშობლებისადმი კიდევ უფრო მძაფრი და სულისშემძვრელია

„...მე ახლაც ვეტრფი იმ მაღალ ხეებს,  
რომლებსაც თითქოს ვეფრქვევი ნამად,  
ვიგონებ ჩემთვის ბედნიერ დღეებს,  
როცა მეც მყავდა დედა და მამა...“.

**უსათაურო**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იმედგაცრუება ნახა, ბევრჯერ იწვინა ცხოვრების მწარე შოლტი და გაქცევასაც კი ლამობდა, მისთვის სიცოცხლე მაინც კარგია

„მე, დევნილს, სული ძლივს მიმაგრია  
და ცხოვრებიდან გაქცევას ვლამობ,  
მაგრამ სიცოცხლე მაინც კარგია  
შენისთანების სიცოცხლის გამო“. **„მაგრამ**

**სიცოცხლე მაინც კარგია“**

სოხუმი, სანაპირო, ზღვის ტალღების ხმაური გაცოცხლებულია ლექსში „სოხუმი“. პოეტს მწველი განცდები ეუფლება, მისი ნატვრია მშობლიურ კუთხეში დაბრუნება:

„...ჩაგეხუტები სოხუმო ოდეს,  
შენ შეგიძლია გამათბო ასე,  
არ შეიძლება აქ გული გქონდეს  
და სიყვარულით არ გქონდეს სავსე...“

**„სოხუმი“**

აფხაზეთის უდიდესი მონატრება და გულისტკივილი არის ჩაქსოვილი რევაზ ოკუჯავას

ერთ შესანიშნავ ლირიკულ ნაწარმოებში. პოეტი უაფხაზეთოდ მწუხრის ბინდს დამსგავსებია და მძიმე კაემნით არის გარემოცული. ნუხს, რომ ვერ ახერხებს თუნდაც ერთხელ მაინც იხილოს მშობლიური მხარე

„...დიდი ხეები ქარმა დაგრიხა  
არ დამიტოვა მცირე ნუგეში,  
ო, რომ იცოდე, როგორ მაკლიხარ  
ამ ჯოჯოხეთურ საუკუნეში“. **„აფხაზეთო“**

ემოციებით არის აღსავსე ეროვნული გმირის ყიული შარტავასადამი მიძღვნილი ლექსი: „რაც თქვენ დაგშორდით, იმის მერე ცრემლი მასველებს, ბედკრულ მამულზე მწველი დარდი აღარ მასვენებს!..

რა ბედენაა, აბა, ისე გახელა თვალის, თუკი სამშობლოს სიყვარულით არა ხარ მთვრალი“. **„ყიული შარტავას“**

აფხაზეთში, მშობლიურ მხარეში დაბრუნების სურვილით იწვის პოეტი, იგი მთელი არსებით ილტვის მონატრებული კუთხისკენ. ამიტომ ის მოუწოდებს ყველას – მეზობლებს, მეგობრებს, თანამებრძოლებს

„უნდა დავბრუნდეთ, ჩვენთვის სხვა გზა აღარ არსებობს,

ჩვენ ჩვენი ქუდი უნდა დავიხუროთ, ქუდი კაცებო.“ **„დაბრუნება“**

რევან ოკუჯავას, მართალია, იმედი აქვს, მაგრამ ეს იმედი ზოგჯერ მაინც პესიმიზმნარევია

„...ვარ იმედის ამარა,  
ანმყო გადამიცოცხეს,  
კი, ცოცხალი ვარ, მარა,  
ვაი, ასეთ სიცოცხლეს.“ **უსათაურო**

პოეტი საკუთარ თავში შესაბამის ძალას პოულობს, რწმენით ძლიერდება და ფიქრობს, რომ შეძლებენ გაუმკლავდნენ ავდრიან დღეებს და აფხაზეთში სიცოცხლის კვლავ აღორძინებას.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის თვალწინ თალხით მოსილი სქელი ნისლ-ბურუსია, იგი მაინც მთელი სიცხადით ხედავს და გრძნობს, რომ საქართველოს არ აკლია როგორც ცხადად, ასევე მოყვრის ნიღბით შენიღბული მტერი

„ახლა ზეიმობს ლხინით, ქორწილით  
მტერი ცხადი და მტერი მალული,

მგლისგან დაგლეჯილ ირმის ხორცივით დაგლეჯილია ჩემი მამული.

ჩემს თვალწინ ისევ სქელი თალხია და სულში ჩამდის სისხლის ნაწრეტი, საქართველოში ბევრი სახლია, მაგრამ არ არის ჩემი არცერთი!“

**უსათაურო**

არსებული რეალობიდან გამომდინარე პოეტისათვის ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს უზენაესისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრება ქვეყნის დახსნა-გადარჩენაზე და იმ დღის დადგომაზე ოცნება, როცა ნაფლეთებად ქცეული ჩვენი ქვეყნის სხეული ლაზარესავით აღდგება.

„...მოსპე ზნეობა დანარცხებული,  
ისევ ღვთიური რწმენით აღგვავსე,  
ერი მოყვრისგან დამარცხებული  
მიდის გოლგოთას წყეულ აღმართზე.  
მტერო, სიჩუმე ჩემი ნუ გიკვირს,  
კვლავ გამოვადნობ მახვილს საზარეს,  
ხვალ საქართველო დაიდგამს გვირგვინს  
და გააცოცხლებს ქრისტე ლაზარეს“.

**უსათაურო**

საქართველოს უბედურებათა მთავარ შემოქმედ ძალად რევან ოკუჯავას, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი მიაჩნია. პოეტის თქმით

„არ მოუხდა ჩვენს ქვეყანას  
„უფროს ძმასთან“ მიხუტება,  
რა ხანია მის მკლავებში

სულს ლაფავს და იხუთება“. **უსათაურო**  
ამას ემატება საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიული სიახლოვეც.

„ეს დედამინა ავბედად  
დაყოფილია მიწებად,  
სადაც რუსეთი მთავრდება,  
იქ საქართველო იწყება“. **„ეს დედამინა“**

პოეტი დარწმუნებულია იმაში, რომ როგორც სხვა იმპერიები დაინგრნენ და გაცამტვერდნენ დედამიწის ზურგზე, რუსეთის იმპერიასაც „შავბნელ გზაზე ბარბაცით მავალს“, კაცობრიობის ავთვისებიან სიმსივნეს, მოკვეთა და ძირს დამხობა მოეწივს:

„ჩვენთან რა ხელი გაქვს ბინძურო ურჩხულო,  
მონახე შენსავით უღვთო და ურჯულო.  
გეყო რაც სიცოცხლე მოსპე და გალენე,



გიმზადებს მსოფლიო სიკვდილის სარეცელს“. **„უკანასკნელი იმპერია“**

პოეტს სწამს, რომ უფალი ყოვლისშემძლეა და შეძლებს ყველა უსამართლოდ დაცემულის ფეხზე წამოყენებას, თაღლითებისა და მოლაღატეების ალაგმვას და საქართველოს დაცვას

„...შენ დაიცავ ისევე ჩემს ერსა და სამშობლოს.“ **„ღმერთო“**

მაგრამ მღვრიე დინება იმდენად მძლავრია, რომ ხავსზე მოჭიდებაც კი შეუძლებელი ხდება. არავის უღხინს, იმედიც სულს ღაფავს. პოეტი წუხს, რომ

„...დარი დაუდგა ფლიდსა და ლაჩარს,- საქართველოზე სულ ცოტა ფიქრობს, დღეს კაცობაზე ნაკლებად ითქმის სიგლახეს ფეხქვეშ გავეგეთ ხიდად, ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ თითქმის, რისთვისაც მართლა სიცოცხლე ღირდა“.

პოეტი მოუწოდებს ყველა ჩაგრულს გამოფხიზლდეს, იპოვოს საკუთარ თავში რწმენა და ერთიანი ძალით დაამარცხოს თაღლითთა ურდო:

„ვპოვოთ ღირსება საკუთარ თავში, ნულარ ვიქნებით მორჩილი ბედის, აღარ დაუფურათ თაღლითებს ტაში, არ შეიძლება მოთმენა მეტის“.

**„მღვრიე დინება“**

რევაზ ოკუჯავამ არ იცის რომელი ერთი იტიროს, დაკარგული აფხაზეთი, შიდა ქართლი თუ კახეთის ვაზი, მისი გული მწუხარებით არის აღსავსე:

„მან დაგვიმკვიდრა უკუნი ღამე, ყველგან სისხლის და ცრემლების რუა, მან ჩაიღინა ისეთი რამე, რომ ჯოჯოხეთშიც ეტყვიან უარს“.

**„ამომგდები“**

პოეტი ხედავს ოცდაათ ვერცხლად სულგაყიდულ, საკუთარი ქვეყნისა და მიწის გამსხვისებელ კმაყოფილ იუდას, ირგვლივ როგორ მძვინვარებს არნახული ბოროტება, ფარისევლობა და გრძნობს, რომ ეშმას ფაფხური ბოლო წერტილს უახლოვდება

„მიუახლოვდა ბოლო წერტილს ეშმას ფაფხური,

ღროა ქვეყანა მოვატაროთ ვირით კახურით,

დაიმსახურა მოლაღატემ ერის პანღური“.

**„განაჩენი“**

პოეტი ნათლად ხედავს, რომ სამშობლოს მოლაღატენი და მყვლეფავეები არ აკლია. მათგან არც მოელის არანაირ სიკეთეს, თუმცა, მაინც სურს შეაგონოს, რომ

„თუ მიეძაღე, იუდას ლუკმას, თუ არ დაუდექე სიმართლეს გვერდით, მთელი სიცოცხლე იქნები უქმად და ვერ გაიგებ სად არის ღმერთი“.

**უსათაურო**

მაგრამ გრძნობს რა მათ დამოკიდებულებას ქვეყნის მიმართ, ხედავს რა, რომ სინდისიანი კაცები სანთლით საძებნია, სწორედ ამიტომაც ტკივა გული:

„თუ დაგესვარა სინდისი, ველარ გაგრეცხავს საპონი, სინდისიანი კაცები დღეს სანთლით არის საძებნი“.

**„სინდისი“**

პოეტი ხედავს რა მავანთა უსინდისობას, ვერაგობასა და თაღლითობას, ხვდება, რომ მათი გამოსწორება შეუძლებელია

„არ მორჯულდება, რა გინდ უძახო, არ მიატოვებს მამულის ყვლეფას, ქვეყანა დარჩა, ძმაო, უძაღლოდ, მიტომაც ისმის კატების ყეფა“.

**უსათაურო**

პოეტი აღშფოთებულია და სიბრაზეს ვერ მალავს დაუპატიჟებელი სტუმრების ქცევითა და აღვირახსნილი ქმედებებით:

„წაუბულწიათ თაღლითებს ჩვენი მიწა და წყალი“.

**„დაუპატიჟებელი სტუმრები“**

უფალს თხოვნით მიმართავს, წერტილი დაესვას თაღლითების თარეშს და ბედნიერი მომავალი უბოძოს მამულს და პატიოსან მშრომელ ქართველ კაცს:

„...თუ სამყარო გულმკერდიდან გადაიყრის ნისლებს, თუ ჩემს მამულს გაუთენდა მე რომ მიწა ისე, თუ ქართველი კაცის ტანჯვას მოეღება ბოლო, – მაშინ ჩემი სალოცავი შენ იქნები მხოლოდ!“

**„ღმერთო“**

მრავლჭირმნახველი რევაზ ოკუჯავა დაწყლულებულ გულს თხოვს არ უღალატოს, არ

დაუძღვრდეს და მოუნოდებს შეძლოს ქვეყნის მომავალზე ზრუნვა:

„გულო, კიდეე გაუძელი,  
გულო, ბევრჯერ ნაისარო,  
გამთელეა რომ ვერ შეძლო,  
ისე აღარ გაიბზარო  
და მამულის ბედზე ზრუნვა  
არასოდეს დაიზარო“. **„გულო“**

პოეტი პირდება თავის სათაყვანებელ მამულს

„ნუ გეშინია, არ დაგტოვებ მამულო ქირში,  
ვერ იბოგინებს შენს მინაზე იუდას ჯიში“.

**„ნუ გეშინია“**

რევან ოკუჯავა ცდილობს თავისი ლექსით და სიმღერით ძირფესვიანად ამოძირკვოს ის გესლი და შური, რომლებიც გარეშე მტერმა დათესა და ახარა ქართულ მინაზე, ქართველი კაცის სულსა და გულში. ალბათ, სწორედ ამიტომაც არის, რომ პოეტი უფალს სთხოვს უკეთესად შეასწავლოს ათი მცნება:

„... ვერ მივიღე კერპი ხატად  
და ჩემივე დარდი მამხელს,  
ჯერ ვერავინ დამიხატა  
მე ნამდვილი ქრისტეს სახე.  
ვერ ჩავთვალე მტრები ძმებად,  
ვერ გამოვთქვი ბოღმა ლექსად,  
ღმერთო, შენ გთხოვ ათი მცნება  
შემასწავლე უკეთესად...“ **„ათი მცნება“**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არაერთხელ მიაყენა ზიანი როგორც მომხდურმა მტერმა და ასევე ღვთისპირიდან გადავარდნილმა ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ქვეყანას არ ჰგავს, ჩალითაა დახურული, ქაოსითა და ჭირით დასწეულბულა და „ღმერთის მინა-წყლის გაისმის კვნესა“, პოეტი მაინც იტოვებს იმედს, რომ ჭეშმარიტი, თავდადებული მამულიშვილები უფლის წყალობით ისევ მოევლინებიან საქართველოს მხსნელებად. პოეტი მზადაა მათთან ერთად ფარად დაუდგეს მამულს.

„მამულო, აგეფარები,  
აგაცდენ მტრისა მახვილსა...“ **უსათაურო**  
პოეტი პირობას დებს, რომ ის მუდმივად იბრძოლებს ქართული მინისათვის:

„სანამ ძარღვებში  
სისხლი ფათურობს,-

შენთვის ვიბრძოლებ  
მინავ ქართულო!“ **„მინავ ქართულო!“**

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თუ მტერს ნამდვილი იარაღი აქვს მომართული საქართველოსკენ, რევან ოკუჯავას იარაღს სულიერი სიმტკიცე, კალამი და მართალი სიტყვა წარმოადგენს, რაც ძალიან კარგად ჩანს ლექსში „ავტოპორტრეტი“. მოცემულ ლექსში პოეტი ასე მიმართავს საკუთარ თავს

„თუ ვინმეს უჭირს ქვეყანაზე,  
შენც გიჭირს ახლა,  
მაინც არ გატყდი, მტრის ჯინაზე  
ამაყად დახვალ,  
არ გაბოროტდი, თან დაგყვება  
კეთილი ზრახვა.  
მიმართული გაქვს მტრებისაკენ  
კალამი ლახვრად  
და გეჩქარება ბედნიერი  
მამულის ნახვა!“ **„ავტოპორტრეტი“**

პოეტის კალამი ამავე დროს მოყვრისათვის სულის სალბუნია.

რევან ოკუჯავას შემოქმედებაში საკმაოდ მძლავრად ისმის მიმართვა წინაპრებისადმი, იგი ეთაყვანება და ქედს იხრის მათ წინაშე:

„თქვენით ვსულდგმულობ,  
წინაპართა მძლავრო ფესვებო,  
ჩემო სიმღერავ,  
მწუხრის ჰანგად ანაკვნესებო,  
ქარიშხლის შემდეგ  
ნიავეთაც ნაალერსებო,  
ცრემლით და სისხლით  
დანერილო ჩემო ლექსებო!“

**„თქვენით ვსულდგმულობ“**

სხვა ლექსში პოეტი ასე მიმართავს ქართველ კაცს:

„შენ ხარ წინაპრის სახე და  
რადგანაც დღემდე მოხვედი,  
განვლილ გზას როცა გახედავ,  
არ შეგრცხვეს უკან მოხედვის“.

**„წინაპრის სახე“**

პოეტი დარწმუნებულია, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ღვთაებრივი ქვეყანა არასოდეს აღიგვება პირისაგან მინისა

„წარსულ დღეთა მოგონება  
მძიმე ფიქრში მახვევს,  
მაინც გიდგას სული ამდენ

ნატყვიარს და ნახმლევს,  
 ვხედავ მტერი კვლავ გიმზადებს  
 ფათერაკს და მახეს,  
 მაგრამ მაინც ველარ წაშლის  
 შენს ღვთაებრივ სახეს“. **„საქართველო!“**

რევაზ ოკუჯავას განცხადებით, ღვთით-  
 კურთხეული, მარიამ ღვთისმშობლის ნილხვედ-  
 რი საქართველო თავისი არსებობის მანძილზე  
 არაერთ იმპერიას უთელია ფეხქვეშ, მაგრამ  
 ვერასოდეს ვერ დაუჩოქებია. მიუხედავად  
 იმისა, რომ ქართველობას მუდამ ემუქრებოდა  
 სიკვდილი ქიშით, არასოდეს დაძაბუნებულა ში-  
 შისაგან და დარდსა და ჭმუნვას არ მისცემია.  
 „...და მართლაც სანამ სული უდგას სამ-  
 ყაროს პირში

არ მოისპობა ქვეყანაზე ქართველის ჯიში“.

**უსათაურო**

ლექსში „უფლისციხე და ვარძია“ ავტორი  
 ყოველგვარი მინიშნებების გარეშე ხატოვნად  
 გვესაუბრება ჩვენი ქვეყნის უდიდეს და სუ-  
 ლისშემძვრელ წარსულზე, მას ანცივიფრებს  
 უფლისციხის სანახები და გრძნობს, თუ რა-  
 დენ უძველესი წარსული აქვს საქართველოს,  
 ქართველ ერს. ხედავს, რომ ყოველ გოჯში,  
 ყოველ ნაკვეთში დიდი სიბრძნის კვალი იხა-  
 ტება. პოეტის გონებაში, მის წარმოსახვაში ერ-  
 თიმეორის მიყოლებით ცოცხლდებიან მითები  
 და გრძნობს თუ როგორი ფესვმაგარი, ძლიერი  
 და შეურყეველია საქართველო:

„ყოველ გოჯში დიდი სიბრძნის კვალია,  
 აღარ უნდა გადაშენდეს ის ხალხი,  
 ვინც ვარძიის წყაროს წყალი დალია“.

**„უფლისციხე და ვარძია“**

საქართველო ფერფლიდან არაერთხელ  
 აღმდგარა ფენიქსივით კიდევ უფრო ძლიერი  
 და შეუპოვარი. სწორედ ამიტომაც არის დარ-  
 ნმუნებული რევაზ ოკუჯავა ქართული გენის  
 უკვდავებაში:

„ჩვენი ჯიში და ჯილაგი  
 ღვთის წყალობით იმფერია,  
 რომ ვერცერთმა იმპერიამ  
 ველარ მოსპო იბერია“. **უსათაურო**

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ  
 სწორედ უფალმა დააკისრა საქართველოს ანუ  
 ლაზარეს კაცობრიობის ხსნა გარდაუვალი გა-  
 ნადგურებისაგან

„განგებისაგან ასე დარგულა,  
 ყველა თავისი ბედის ღირსია,  
 უფალმა ღმერთმა ქართველს არგუნა  
 კაცობრიობის მხსნელი მისია“. **უსათაურო**  
 ამის დასტურია პოეტის მიერ დაწერილი  
 კიდევ ერთი ლექსი „მეორედ მოსვლა“, რომელ-  
 შიც ავტორი გვესაუბრება სატანის ფეხქვეშ  
 შერყეულ მიწაზე, წმინდა გიორგის ძლევა-  
 მოსილებაზე, ღვთიური ნათლის სინმინდეზე,  
 სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.

„მეორედ მოსვლის კარიბჭესთან ლაზარე  
 ვიცან,

საქართველოში უფლისათვის მზადდება  
 ტახტი...“ **„მეორედ მოსვლა“**

რევაზ ოკუჯავა დარწმუნებულია, რომ ბო-  
 როტება აუცილებლად დამარცხდება და ვერ  
 შეეხება სულის უკვდავებას

„შენ ბოროტება ვერ დაგიპყრობს,  
 ვერასდროს სულო,  
 ვერ ეკარება უკვდავებას  
 ხავსი და სურო“. **უსათაურო**

პოეტს მტკიცედ სჯერა, რომ სიცოცხლი-  
 სათვის ნაშობ საქართველოს ვერავინ მოერევა,  
 ვერავინ ვერ დაჩაგრავს, რადგან იგი დევგმი-  
 რების სამშობლოა

„სიცოცხლისთვის ნაშობო  
 მიქრის შენი მერანი,  
 დევგმირების სამშობლოს  
 ვერ წაგაქცევს ვერავინ“.

**„საქართველოს ჰიმნი“**

პოეტის რწმენა ურყევია და შეუდრეკელი,  
 მას სწამს საქართველოს მარადიულობისა და  
 უკვდავებისა, რადგან

„საქართველოს ქვეყანაზე ღმერთის მიწა  
 უკავია,

საქართველო უფალივით მარადი და უკ-  
 ვდავია“. **უსათაურო**

და თუ საქართველო მარადიული და უკ-  
 ვდავია, მაშინ ქართველობაც, ეს უძველესი,  
 ამაყი და მუდამ ბედთან თუ მტერთან მებ-  
 რძოლი ერიც მარადიულობასა და უკვდავებას  
 არის ზიარებული:

„ჩვენ ვეკუთვნით მარად უკვდავ  
 ერს, ამაყს და ძირძველს,  
 ღმერთმა მოგვცა ჩვენი ფრთების  
 გასაშლელი სივრცე

და არა გვაქვს ჩვენ უფლება იგი მტერს რომ მივცეთ!“ **უსათაურო** პოეტის აზრით საქართველოს სჭირდება ილია ჭავჭავაძის თანა დარი ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც ქვეყანას უხელმძღვანელებს და გამოიყვანს არსებული მდგომარებიდან:

„საქართველომ ილია კიდევ უნდა დაბადოს.“ **„ილია“**

როგორც ვხედავთ, რევან ოკუფაცია მუდმივად ეფერება და ეალერსება თავისი ლექსებით სამშობლოს. მისთვის მთავარია ადამიანს სიყვარული სწამდეს და თუ სწამს, მაშინ უფალიც ყოველთვის მის გვერდით იქნება. თუ კი გული სიყვარულით და სიკეთით არის გამთბარი, საშინელი და ცივი ზამთარიც კი უსუსური იქნება ღვთაებრივი სითბოს წინაშე.

სიბნელე უცილობლად დამარცხდება და გაქრება ცხოველმყოფელი მზის ამოსვლისთანავე ცაზე და არაჩვეულებრივი, ღვთიური ნათელით შემოსება არა მხოლოდ არემარე, არამედ დასწეულეული, მომაკვდავი ადამიანიც შეძლებს ფეხზე წამოდგომასა და გამოჯანმრთელებას ბიბლიური ლაზარეს დარად.

რევან ოკუფაცვისათვის დილის მადლი იმდენად ძლიერია, რომ სჯერა, მოვარდნილი დელგმაც უკან დაიხევს. აღტაცებული პოეტი ხატოვნად აღწერს დილის უმშვენიერეს სურათს, თუმცა, ამავე დროს ამ ლექსში კარგად შეიგრძნობა ზეგარდმო ნათელი გაბრწყინებული საქართველო

„მზეს ნათელი მოჰყოლია და სიბნელე დამდნარა,

სულდგმულისთვის ასე კარგი დრო ჯერ აღარ დამდგარა,

ყველაფერი იმდაგვარი სილამაზით დამოსა,

რომ ღრუბელი ცის ტატნობზე ვეღარ ბედავს გამოსვლას.

აბა, კარგად დააკვირდი, ხეც თუ აღარ შეირხეს,

მომაკვდავიც თვალს გაახელს და ჭრილობებს შეიხვევს.

სხივები რომ მოადგება ამ მთებსა და ხეივნებს,

ღმერთო, მჯერა, რომ წარღვნასაც უკან დაახევინებს.

ჩემს ქვეყანას ღირსებოდეს ყველა ღამის გათევა,

ჩვენს ტკბილ მამულს შეძლებოდეს ამ ყველაფრის დატევა!“ **„დილის მადლი“**

საქართველო ხომ ის ბალნარია, სამოთხე, ნალკოტი, სადაც უფალი საკუთარ თავს ნებას რთავს გაისეირნოს

„უფალმა ღმერთმა ასე ინება,

მზეს აქ მოუნდა გასეირნება“. **„ასე ინება“**

რევან ოკუფაცვას სურვილია არა მხოლოდ დღისით, არამედ ღამითაც, მთვარის ნათლით გაბრწყინებულ მამულს უცქიროს და დატკბეს მისი მშვენებით

„ცა მახურავს კამკამა

და ფიქრით უძირო,

მთვარიანზე ჩემს მამულს

მსურს ღამითაც ვუმზირო“. **„ცა მახურავს“**

პოეტის აზრით, თითოეული ადამიანი სანამ ქვეყანაზე ცხოვრობს, ვალდებულია გულითადად ემსახუროს ერსა და ქვეყანას. ამისათვის კი საჭიროა იყო სულით შემოქმედი.

„ქვეყანაზე სანამ ცხოვრობ,

ჰქმენ საქმენი სამახსოვრო!“ **უსათაურო**

რევან ოკუფაცვას ღირსებაში უფლისდმი რწმენა უდიდეს როლს ასრულებს. იგი მუდმივად დგას ქვეყნის სადარაჯოზე და თანამემამულეებსაც მოუწოდებს რწმენაში გაძლიერებისაკენ

„მამულის ცაზე ღრუბლების სისქე

გასაზომია ფხიზელი თვალით

და მერე უნდა ვიაროთ მზისკენ

ჩვენი უშრეტი რწმენით და ძალით“.

**„ფხიზელი თვალით“**

მზე – ღვთაება, უფალი, უზენაესია. პოეტისათვის მზე არის ორიენტირი, მარად შეუცნობელი. მზისაკენ სვლა მისთვის მთავარ გზას წარმოადგენს, რომელშიც უფლის გზა იგულისხმება.

და სადაც რწმენაა იქ, ყოველთვის თანა-არსებობს იმედიც, იმედი იმისა, რომ ქვეყნის მომავალი გაცილებით უფრო უკეთესი იქნება.

„წინსვლის იმედი ჩემთან ერთად ღამეებს ათევეს,

არ მინდა შენს ცას გაეკაროს ბურუსის ფთილა,

ზარებს ყოველთვის თავის დროზე შემოჰკრავს მნათე,



ჩემო მამულო, დაგილოცავ სხივმრავალ დილას“. **„მამულო“**

წინსვლის იმედი პოეტისათვის მომავალი თაობაა, რომელმაც უნდა გამოჰკვეროს ბედი საქართველოსი. იგი აღფრთოვანებით ასე მიმართავს ლტოლვილ ბავშვთა წყნეთის ანსამბლ „ხალისს“:

„სიცოცხლის ლამაზ მდინარეს  
ატკობთ ციური ჰანგებით,  
თქვენთვისაც გამოიდარებს,  
იცხოვრებთ უფლის განგებით.  
თქვენ გიყვართ თქვენი სამშობლო,  
ჩვენი ლამაზი სახატე,  
თქვენი ცეკვა და სიმღერა  
მის უკვდავ სულზე ღაღადებს...“ **„ხალისი“**

ლელა გულედანისადმი მიძღვნილ ლექსში, პოეტი ასე მიმართავს მას

„...შენ, ჩემო შვილო, სისხლო და ხორცო,  
ქვეყნის იმედად მეგულვი მარად,  
კამკამა სულის ანთებულ კოცონს  
არ უნერია ჩაქრობა, არა.“ **უსათაურო**

რევაზ ოკუჯავას მტკიცედ სწამს, რომ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დიდი შოთა რუსთველის შთამომავლები მოუვლიან და თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან საუკუნეების განმავლობაში შექმნილ ერის უდიდეს სულიერ საგანძურს.

იმედი, რწმენა და სიყვარული რევაზ ოკუჯავას შემოქმედების მთავარი მასულდგმულე-ბელი წყაროა. ეს კი წყაროა, რომელიც „უნყვეტად მოედინება და რატომღაც ვგრძნობთ,

რომ ამ წყაროში ურევია ის წყარო, რომლითაც საქართველომ პირველი ცისკრისას მოიფშენი-ტა თვალები“.

ავტორი თავის კრებულებში გულისტკი-ვილით იგონებს მარადისობაში გადასულ მა-მულისათვის თავდადებულ მამულიშვილებს, საქართველოს ეროვნულ გმირს ყიული შარ-ტავას, მაცი ქირიას, ბორის ზარქუას, მურმან ოკუჯავას.

რევაზ ოკუჯავას შემოქმედებაში მიუხე-დავად იმისა, რომ იგრძნობა ტკივილი, სევდა, იმედგაცრუება, საბოლოო ჯამში მაინც იმედი-ან და ოპტიმისტურ განწყობას ვხედავთ, მას მტკიცედ სჯერა საქართველოს, ქართველი ერის უკვდავებისა.

პოეტს თავის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია, ემსახუროს უფალს, თავის ქვეყანას, ქართველ ერს. ამ შეგნების შესანიშნავ გა-მოხატულებას წარმოადგენს მისი მუდმივი სწრაფვა განთიადისაკენ, მზისაკენ. მზე რევაზ ოკუჯავას შემოქმედებაში წარმოადგენს ნათელ მომავალსა და სიკეთის სიმბოლოს.

მას სურს იხილოს დილის მადლით გას-ხივოსნებული მამული, უშრეტი რწმენით და ძალით იაროს ნათლისაკენ, სული მზეს ჩაე-ხუტოს, მუდმივად მოყვრის იმედად ენთოს. პოეტის სული შემოქმედი მუდმივ წვაში და ნათებაშია, რისი დასტურიც არის მისი ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელი ლექსი:

„ნულარ დამტოვებ სულს მანამდე,  
სანამ ვინვი და სანამ ვანათებ!“

## გიორგი სიჭინავა

# თორნიკე ქავშაბაია

თორნიკე ქავშაბაია დაიბადა 1960 წლის 1 იანვარს გალის რაიონის სოფელ რეფი-შე-შელეთში. მთელი ცხოვრების განმავლობაში ძირითადად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას; დღემდე გამოცემული აქვს პოეტური კრებუ-ლები; „კაკუნი ღამით“ (1998), „სახსოვრად დღევანდელ დღეს“ (1999), „ზამთარი – დიდი ფრინველის სევდა“ (2002), „კოლხეთის ტრაგე-დია“ (2006), „ზღვის სამფეროვანი მობრუნება“

(2006), რჩეული (2007), „გამოქცევა ქვიშის ტაძრიდან“ (2010), „ლევიათანის პირთაფლი“ (2013).

შემოგთავაზებთ ბოლო ორი კრებულის ჩვენ მიერ დაწერილ წინასიტყვაობებს, აგ-რეთვე პოეტის რჩეულის ოდნავ შემოკლებულ შესავალ წერილს (ავტორი მურმან ჯგუბურია); მიგვაჩნია, რომ მათი ნაკითხვა სრულიად საკ-მარისია თორნიკე ქავშაბაიას თავისებური, გან-

სხვაგვარი ხელნერის მთელი შემოქმედების გასაცნობად.

\*\*\*

თორნიკე ქავშაიას ლექსთა კრებული „გამოქცევა ქვიშის ტაძრიდან“ განურჩევლად ყველასათვის არ არის დაწერილი, თუმცა ის, რაც დიდი სიყვარულითაა შექმნილი და რასაც ავტორი საკუთარ სუნთქვას ატანს, ყველას ეკუთვნის. მის ლექსებში ხშირად ფიგურირებს სიტყვები: „უხილავი“ და „მიღმიერი“. რასაც ვერ ხედავ და ვერ გრძნობ, განა არ არსებობს?! – მიგვანიშნებს ავტორი; უფრო მეტიც, ზოგან ხილვადი სამყაროს არარსებობაში, მის მოჩვენებითობაში გვარწმუნებს, მიუხედავად იმისა, ეყოლება თუ არა მრავლად დამჯერე ან თანამოაზრე. მის შემეცნებაში ყოფნას არყოფნაში უდგას ფესვები, წესრიგს – უწესრიგობაში, თანხმობას – უთანხმოებასა და კოსმიურ ქაოსში, მოძრაობას – უძრაობაში... ისინი ერთმანეთს შობენ და ანადგურებენ, მაგრამ პოეტს თუ დაუფურცლებს, უმართავნი როდი არიან, ისინი უდიდესი გონის ნიაღში ბრუნავენ და მონაცვლეობენ.

„რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩიტივით გაგვიფრინდება“ – უთქვამს ქართველ კაცს და ნუთისოფლის წარმავლობისათვის სევდიანი მზერა გაუყოლებია. თორნიკე ქავშაია კი თავის ერთ-ერთ ლექსში გვეუბნება, ცხოვრება ქარის ზურგიდან ასხლეტილი სიზმარიაო. ძნელია წარმოიდგინო ქარის ზურგიდან სიზმრის ასხლეტა, მაგრამ ცხადია, რომ დიდ სათქმელს გვეუბნება; თანაც ეს გაფრთხილებაცაა მიწიერ ვნებებში მოტივტივე ადამიანთა მიმართ, რომლებიც მარადიულობის კანონზომიერებისაგან გაყინულნი ამაოდ გამოკიდებიან ილუზორულ „რეალობას“, რომელიც დიდი იმედგაცრუების უკუნეთში უჩინარდება.

„ნოემბერი უმისტიკო წყალში გახედებს, მე რა თქმა უნდა მესმის ძველებური ხმები. ატმოსფეროს სისველე აზრებს იძლევა შავ-თეთრ შერეულს“... („შემეცნების სტრიქონთან“)

და იქვე: „დავიღალე ნაკლებგაცხადებულთან,

დავითენთე ნახევარმიწიერ ზებუნებრივ ჭიდილთან“...

მძიმე და ნახევარრეალური სურათები განაგრძობენ ადამიანთა სულის წამებას. მათ სიახლოვესა და სიშორეს ვერ გაზომავ ისე, როგორც ვერ შეძლებ საკუთარ ლანდთან მიახლოებას. რაც უფრო ეცადო, მანძილი უცვლელი რჩება.

„შავი და თეთრი ერთმანეთში ირევა“, საგნები და მოვლენები ერთმანეთს არ უკავშირდებიან და უწესრიგოდ მოძრაობენ, ისინი ხშირად უპირისპირდებიან ურთიერთს და ეს ყველაფერი ადამიანის გარშემო ტრიალებს, ხშირ შემთხვევაში მას ეხებიან კიდევ. თუ წვრილმან და მდაბალ საზრუნავს გამოეკიდები, გამოსავალს ვერ იპოვი. „უმისტიკო წყალში ჩახედვას“ მხოლოდ „გარეგანი წრის რკალთა“ მონაცვლეობა მოაქვს. პოეტი მიგვანიშნებს, რომ არ ღირს გონის დაკარგვა ცხოვრებისათვის, ის ცდილობს, წარმოაჩინო მოვლენები ისე, როგორც ის არის და სულაც არ არის აუცილებელი, ჩავეძიოთ მათ ბუნებას. ამას გულისხმობდა შოპენჰაუერი, როცა გვმოდღვრავდა: „ნუ დაარღვევთ საგანთა სიმშვიდეს“.

შეიძლება ჩვეულებრივი მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელი იყოს ის გადასახედი, საიდანაც იმზირება პოეტის გონება: „ირეალური დამოკიდებულება თვალსაჩინო მალლობია საბინოკლედ დადგე“.

ირეალურიდან ბინოკლით ჭვრეტა მეტი არაფერია, თუ არა სხვა განზომილებაში გადასვლის სურვილი, ოღონდ არა მიწიერი თვალით და არა შემოსაზღვრული ადამიანური გონებით. მას სწამს ადამიანში მთვლემარე ზეადამიანური ძალების, რომელიც ტვინის ხვეულებში ჩაჭედოდა და ჯერაც არ განძრეულა.

რეალურ სამყაროში დანახულ ყოვედლიურ საზრუნავსა და მიწიერ წესრიგს კი ერთგვარი ირონიით თუ „სევდამოძალებული ყვავის“ ჩხავილით შეგვახსენებს; „ნამსხვრევების მოგროვებით და შეყრით საჭიროა ზრდილობა მოემსახუროს სანაგვეს“.

არ ვიცი, როგორ აღვიქვა „ნიაგონაცვლეობის ტუჩებზე აღმოჩენილი აუზი“, ან თუნდაც ასეთი ფრაზა: „თხელი სითხეა თავისუფლება, შეგიძლია შეორთქლილ ოკეანის წყალივით შესვა“.

მე, როგორც მკითხველი, ვფიქრობ, მინდა

მოვირგო და მოვიზომო ნანახი და განცდილი, მაგრამ ვხედავ, ბევრი არაფერი გამომდის და ამ დროს მშველელად თვითონ ავტორი მეველინება, რომელიც ყურში ჩამჩურჩულებს: „არც ინდომო ცოცხალი ბუნებისაგან გამოყოფა“. რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ რალაციისგან გამოყოფის სურვილი აღმიძრა მისი ლექსების კითხვამ და ახლა მეც მინდა ირეალურიდან ბინოკლით გადავხედო აქამდე შეუცნობელ სივრცეს.

პრაქტიკული გონება ყოველთვის ეძებს თავის გასამართლებელ არგუმენტებს, რომელი არგუმენტებიც ზღუდავს თეორიული გონების მოღვაწეობის (სწრაფვის) არეალს, თუმცა თეორიული გონება სრულიად ეჭვქვეშ აყენებს მოვლენებად გაფორმებულ პირველწყაროთა მოუწესრიგებელ დასაბუთებათა მცდელობებს. თორნიკე ქავშაბაია კარგად გრძნობს ამ გათიშულობათა ნაპრალების სიღიადეს და რწმენაში მოცემულობის ფაქტორებით ცდილობს გადალახოს ცნობადისა და შეუცნობელის ბურუსით მოცული სამანი. აქედან გამომდინარე, პოეტი ამ სივრცეთა ჭიდილში თავს სრულიად მარტოსულად გრძნობს და მარტოსულობის სიმშვიდით შემოსილი, ადამიანური ხედვის არეალს მიღმა რწმენის იმედით უპირისპირდება მოვლენების დასახასიათებლად ობიექტურ სინამდვილედ მიჩნეულ ონტოლოგიურ საფუძვლებს.

თორნიკე ქავშაბაია ცხოვრების ფერებსაც ჭვრეტს. ერთ-ერთ ადრეულ ლექსში პოეტი ჩივის: „ძალიან გახდა მოსაწყენი ტორფისფერი ცხოვრება“. ის ხედავს, „ჰარმონიულობა თუ როგორ ლუპავს წესრიგს“, ხოლო „აზროვნების ტოტიდან ჩამოვარდნილი ნაყოფი“ ცრემლიან თვალებს აგონებს.

პოეტი ენერგიულად და შთამბეჭდავად ეძებს ფილოსოფიის, რელიგიისა და მეცნიერებების მახლოებელ არგუმენტებს, თუმცა კარგად ხედავს მათ განსხვავებულ ფორმებს საკუთარი ფუნქციით, მიზნებითა და ამოცანებით და, რაც მთავარია, საგანთა ერთობლიობის პირობებში ადამიანთა მისწრაფებების მიზნობრივ-მიზეზობრივ დაუსაზღვრელობას.

თორნიკე ქავშაბაიას ლექსებში ცვალებადს უცვლელის ბეჭედი აზის, ემპირიულს – მეტაფიზიკურის, სასრულს – უსასრულობის,

მაგრამ, ყოველივე ეს მოვლენები უწყვეტ მოძრაობაში აღიქმება და სწორედ ეს მოძრაობაა სასრულის უსასრულობა.

პოეტის ენა რთულია, ხატოვან გამოთქმებთან ერთად ის უხვად იყენებს იდიომებს, ხშირად შეგნებულად არღვევს საყოველთაოდ დანესებულ გრამატიკულ ნორმებს, რათა იდიომორფიზმული ერთობლიობის საშუალებით მიიღოს უფრო ტევადი სტროფი, შინაგანი მუხტით დანალმული. თუკი ავტორს გაფანტული ქვების შეკრების ჟამი დასდგომია, ცხადია, იგი ამ ქვებს ვერ ჩაალაგებდა აბრეშუმის ტომარაში, რომელიც მხოლოდ ლირიკულ განცდებს თუ გაუძლებდა და ვერც მსუბუქი ფრთებით იცურავებდა ქარიშხლით გახელებულ ოკეანეში.

წინამდებარე კრებული ნაკლებად დააინტერესებს იმ კატეგორიის მკითხველს, რომელიც ცხოვრების მიერ თავსმობხვეული მონყენილობის გამო საკუთარ თავს და ამავე დროს განაცრისფერებულ ყოველდღიურობას გაურბის. ეს არ არის თავშესაქცევი წიგნი. აქედან თავდავინწყების ვერავითარ „შეებულეზას“ ვერ აიღებთ. ის საკუთარი მეობის დათმობის სანაცვლოდ ვერაფერს მოგანიჭებთ. მოჩვენებითი ურთიერთობების, გართობის და მოვლენათა ზედაპირული აღქმისადმი მიდრეკილ ადამიანებს საკუთარ „არკადიაში“ ყოფნა ურჩევნიათ. ამ კრებულში კი სინამდვილისადმი მიმართებაში სამყაროს იმანენტური გაორებისა და ამავე დროს ორიენტირთა ერთიანი თანხვედრის თეორიულ საფუძვლებს ვპოულობთ. ასეთია თორნიკე ქავშაბაიას მიერ „ირეალური მაღლობიდან“ ბინოკლით დანახული სივრცის თავისებურება.

მოგვყავს ნაწყვეტი ლექსიდან „ნეპტუნი“.

„რა მინდოდა, ნეპტუნიო, შენთან?!

სულის გადაგ ზავნით მოგეახლე,

დაკანონების სიმშვიდის იქით...

ამ ცოდვას შემართო პოლარულმა ხედვამ...

რა მინდოდა, ნეპტუნიო, შენთან?!

მარილი მეჭამა გრაციის სუფრისა,

მოთეთრო სულკარვიდან მეყურა

შეუცნობელის მომეტებულ ციალზე...

ნეტავ რისთვის გიმადლოდე  
მე, თორნიკე, მთენთავო ნებტუნო?  
არაბუნებრივად შემომღწევი ინტრიგა  
განმიმუხტე,  
ძლევამოსილად აბობოქრებულ და მღვრიე  
მდინარის ქარდანოლილი ხიდი  
გადამარბენინე

თუ ტაძარში მზაკვრულად შენთქმულ  
ბრმა მლოცველებისგან დამიფარე?!"

... მაგრამ ეს მაინც არ არის „ნებტუნთან“  
ამაო გასაუბრება. მან სულის გადაგზავნით  
მოიხილა მიღმიერი და როგორც მისი ლექ-  
სთა კრებულიდან ჩანს, იმედგაცრუებული არ  
დაბრუნებულა იქიდან. ამ კრებულის ავტორს  
ნამდვილად არ ეტყობა „ბედნიერების აღვი-  
რახსნილი მადა, ოცნებებით რომ იკვებება“. ის  
ხორციელად თავის ტყავში ეტევა და სულის  
გადაგზავნით შეუძლებელია მიეახლოს შორე-  
ულ „ნებტუნს“. არტურ შოპენჰაუერი ამბობს:  
„ერთნი მხოლოდ ანწყობთ ცხოვრობენ. ესენი  
ქარაფშუტებია. მეორენი მომავალს შესციცი-  
ნებენ. ესენი შფოთიანი ხალხია“.

თორნიკე ქავშბაიას საკუთარ ცნობიერება-  
ში შემოსაზღვრული არაფერი აქვს – არც დრო  
და არ სივრცე. არსებითად ერთმანეთისგან  
განსხვავებულ საგნებსა და ხდომილებებში ის  
ეძებს საერთო მანიშნებლებს და ესწრაფვის  
სასრულში უსასრულოს ხილვის ხელოვნების  
დაუფლებას. ამავე დროს, მას კარგად ესმის,  
რომ სინამდვილის იდუმალ სიღრმეებში ლო-  
გიკური მანიშნებლების საშუალებით შეღწევა  
შეუძლებელია. თორნიკე ქავშბაიას ზოგიერთ  
ლექსში სინამდვილე თვითონ საუბრობს და ეს  
ცოდნა მას გარედან, რელიგიური გზით ეძ-  
ლევა, მაგრამ ხშირად ვხედავთ ასევე წმინდა  
გონითი ინდივიდუალურობის მომენტებსაც,  
რომელსაც ფილოსოფიური აზრების ნაკადში  
უდგას ფესვები.

ამ წიგნში რაც ერთი შეხედვით, გაფან-  
ტულად, ცალ-ცალკე და ერთმანეთის გა-  
მომრიცხავად გამოიყურება, მაინც უხილავ,  
თუნდაც მოკვდავთათვის შეუცნობელ დიდ  
თანხმებებში ბრუნავს. ცდომილი ვარსკვლა-  
ვიც, რომელიც რალაცას მოსწყდა და კოსმიურ  
უსასრულობაში ჩაიკარგა, არ არის ცდომილი,  
ის კოსმიურ მტვრად იქცა და ოდეს ისევ გამ-

თლიანდება.

როგორც ადამიანს, ყველა წიგნს თავისი  
ბედი აქვს. ადამიანი საკუთარ თავს მართავს  
და მეტწილად ბედისწერაც მისი ქმედებებისგან  
გამომდინარეობს. წიგნის ბედი კი მთლიანად  
დამოკიდებულია შემფასებლის შემეცნებით  
თვალსაწიერზე, მაგრამ ადამიანი ხომ უფრორე  
სუბიექტურობისკენაა მიდრეკილი და ის ეძებს  
სხვაში მას, რასაც თავად წარმოადგენს.

„რა ქნას ბალზე მოსულმა ჭაბუკმა მოცეკ-  
ვავემ, თუ იქ კოჭლი ქალები დახვდნენ“.

დროის გამოცდა ყველაზე მკაცრი, მიუ-  
კერძოებელი და ობიექტური გამოცდაა. ჯოი-  
სის „ულისეს“ თავიდან დიდი აღტაცებით არ  
შეხვედრია მკითხველი საზოგადოება, მაგრამ  
შემდგომ დრომ მიუჩინა თავისი კუთვნილი  
ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

თორნიკე ქავშბაიას მეტად თამამსა და  
ორიგინალურ ლექსებს დროის დიდი გამოც-  
და ელის. იმედი მრჩება, რომ ის ამ გამოცდას  
წარმატებით გაივლის.

ამ მოკლე წინასიტყვაობას აქვე დავამთავ-  
რებდი, ეზოპეს ერთი პატარა ზღაპარი რომ არ  
გამხსენებოდა:

ლამით ბრმა მიდიოდა გზაში და ხელში  
ანთებული ფანარი ეჭირა. ბრმას რად გინდაო  
ფანარი, – ჰკითხეს თვალხილულებმა. მან უა-  
სუხა: – ფანარი თქვენთვის დამაქვს, რომ მე  
არ დამეჯახოთო.

იქნებ, ჯერჯერობით ესეც საკმარისია,  
ბატონო თორნიკე!

\*\*\*

### „ლევიათანის პირთაფლი“.

თორნიკე ქავშბაიას წინამდებარე ლექსთა  
კრებულის ხელნაწერი რომ წავიკითხე, ისეთი  
განცდა დამეუფლა, თითქოს ძილ-ბურანში  
შესულს სული წარმეტაცა და სხეულსაგან  
გასული ეულად დაბორიალობდა უსაზღვრო  
და უკიდევანო გალაქტიკაში. ჩვეულებრივი  
მოვლენაა, როცა ადამიანი მთელი ღამე სა-  
გულისხმო მინიშნებებითა და გაურკვეველი  
სიმბოლიკებით დატვირთული მოჩვენებებს ხე-  
დავს და გამოღვიძებული ვერაფერს იხსენებს  
რიგიანად, ვინაიდან თანმიმდევრობას მიჩვეულ



გონს ერთი მთლიანი და სრული მოვლენის ნამსხვრევებად დანაწევრება გზა-კვალს უბნევს და ხილულს მისთვის მონიშნულ რეალურ სიბრტყეებში ვეღარ ალაგებს. ბოლომდე ჩავამთავრე ხელნაწერი და ოდნავ ამოვისუნთქე. ვიგრძენი, რომ სული დაუბრუნდა ცნობად რეალობას და მიწიერ სიმარტოვეს. ისე გაიტრუნა, როგორც ოკეანე ქარიშხლის ჩადგომის მერე. ჩემთვის მოულოდნელი ის იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამიჩნდა სურვილი, კვლავაც გადამეკითხა ხელნაწერი. ახლა ვხვდები, ამ კრებულის მთავარი ღირსება ის არის, რომ ჯერ დაგაფრთხობს, შეგაშინებს და მერე ისევ აღგიძრავს სურვილს, კვლავაც შეხვიდე იმ მოულოდნელობებითა და უცნაურობებით აღსავსე სამყაროში, რომლის პირველ გაცნობისთანავე გეგონა, აქ შენი არაფერი არ იყო და რომელსაც უკანმოუხედავად გამოექეცი.

ღიას, რთულია თორნიკე ქავშაბაიას თვალთ დანახული „ქვეყნიერება“. ის ცდილობს აღიქვას და გადმოგვცეს მიღმიერი სამყარო, ჩვენთვის შეუმჩნეველ და ჯერაც შეუღწეველ განზომილებაში დავანებული, მისთვისაც უცხოა იგი, მაგრამ შეუცნობელის შეცნობით გამსჭვალული თამამად მიემართება უხილავი გზებით, მეტის და მეტის გაგების წყურვილით ანთებული მისი სული ჯიუტად მიიკვლევს სხვა განზომილებებისაკენ მიმავალ იდუმალ გზებს, გუმანის, გულთვალისა და, რაც მთავარია, ღრმა რწმენის წყალობით, ადრეულ ლექსებშიც და ახლაც აშკარად ჩანს, რომ ავტორი არ ყოფს ჟამიერებას სამ ნაწილად – წარსული, აწმყო და მყოფადი ერთმანეთს არ სცილდებიან მის წარმოსახვაში, არამედ ისინი ერთმანეთში არიან განსხვავებულნი და ერთსახეობას ქმნიან.

„მე პირამიდის იატაკზე ნაჯდომი,  
სულ-თიხა ტანჯული,

ასკეტთა სამშვიდებო მდგომარეობას ვე-  
ბარები,

სადაც სათადარიგო დრო მდინარებს!“ – ამბობს ავტორი და უნებურად იბადება კითხვა: რას ნიშნავს სათადარიგო დრო და სად არის იგი?

ამქვეყნიურ ამაო ორომტრიალისაგან განთავისუფლება და ბუნებობობასთან შერწყმა მოუპოვებს სულს სიმშვიდეს და ასეთი სიმ-

შვიდე ხდება მთლიანის, სრულყოფილის ორგანული ნაწილი. სათადარიგო დროის მდინარება მხოლოდ ამ ყოფაში შეიგრძნობა, რომელსაც მარადიულობისაკენ ანუ პირველსაწყისთან მიჰყავს ღვთის მიერ ნაბოძები ადამიანის სული. პირამიდა ფარაონთა უკვდავსაყოფად ააგეს ადამიანებმა და ამოდ დაშვრნენ. „პირამიდის იატაკზე ნაჯდომმა სულ-თიხამ“, გამიწიერებულმა ყოფამ, მხოლოდ ტანჯვა მოუტანა ადამიანს წარმავალ წუთისოფელში და პოეტის მითაჟამგამოვლილი ნანვალები სული ებარება ასკეტთა სამშვიდებო მდგომარეობას, რათა „სათადარიგო“ დროში ანუ მარადიულობაში გადაინაცვლოს.

„თავდაპირველად იუპიტერი გამომეკიდა.

ზიგზაგოვანი მანერები შევითვისე

პრაქტიკასუსტ სიყმანვილეში...“

არ დაემორჩილა იუპიტერს, არ დაჰყვა მის ნებას, განზე გადგა და თითქოს გაუუცხოვდა საზოგადოებას. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოება განდგომის ნაპირზე აზრ-გაფართობის აზვირთებას მიკრძალავდა, – პასუხობს პოეტი. მას თავისი ცხოვრების გზაზე მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, მრავალ უბედურებას გაუსწორა თვალი და ამით ყალიბდებოდა მისი ბუნება, ხასიათი, ისახებოდა ახალი მიზნები.

„ადრე მივხვდი, გაცნობილი უბედურება შეიძლება ბრძენით ასაუბრო, თავის უძლიერესობაში ასეირნო...“ ეს უკვე გამარჯვებაა, პირველ რიგში, საკუთარ თავზე და მერე ამ წარმავალი წუთისოფლის უცნაურ გამონვევებზე.

„...სამყურას პანია ქვეშეთში მიკროსიზმრულ კადრს შევყურებ და ვხედავ პრინცესას ნახევრადგაფოთლილ სახელს...“ ასეთი „არაბუნებრივი“ ხილვები ხშირად გამოკრთება თორნიკე ქავშაბაიას ლექთა სტრიქონებიდან. პოეტი ცდილობს, შეაღწიოს მიკროსამყაროში და იხილოს მისი ღვთიური სიდიადე, რაც ჩვეულებრივი ანუ კაცობრივი გადასახედიდან ძნელად აღსაქმელია და ზოგჯერ შეუმზადებელ მკითხველს შეიძლება უაზრობადაც მოეჩვენოს, მაგრამ ის ხომ არსებობს ჩვენთვის იდუმალეობით მოცულ განზომილებაში? რა საშუალებით შეუძლია ადამიანს შეაღწიოს სამყაროს მთლიან

და უნივერსალურ საუფლოში? ეს არის განსაკუთრებული უნარი, რომელსაც ჩვენ გონს ვუწოდებთ. მხოლოდ მას შეუძლია, კანტისეულად რომ წარმოვიდგინოთ, უსასრულობიდან რაღაც „დაფანტული ნაწილები“ ამოკრეფა. ადამიანი სრულიად შეხმატკბილებული შეიძლება იყოს მხოლოდ მიჩვეულ გარემოს, ხოლო უჩვეულო და გაუცხოვებულ მდომარეობაში გადასვლა უეჭველად გამოიწვევს მის არსებაში სულიერ დისკომფორტს.

წინამდებარე კრებულის გაცნობისას არაერთხელ დამეუფა სულიერი დისკომფორტის განცდა, რადგან ავტორმა შეძლო მოვენყვიტე ჩვეულ გარემოს და არ მიმდინარეობდა ერთობლივი ტკობა ჩემსა და ავტორის მიერ შემოთავაზებულ პოეტურ ხილვებს შორის. უფრო მეტიც, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ავტორი მკითხველისაგან ითხოვდა მის სულში ფესვგამდგარ ვნებათა ნაწილობრივ ამოძირკვასა და იმ ცნობიერების „დამახინჯებას“, რომლის ნაცვლად რაღაც ახალი, აქამდე ვერდანახულის ჩანაცვლება გახდებოდა შესაძლებელი. შეთვისებული გარემოებით ტკობა შინაგანი სიცარიელის ბრალია და ამ მდგომარეობიდან გასვლის შიში ერთფეროვნებას მიჩვეულ ადამიანებს ეუფლებათ ხოლმე, სიცოცხლის მასაზრდოებელი ძალა სიკვდილის შიშია. ეს განცდა უფრო იქ მძლავრობს, სადაც ადამიანი მიჩვეულ, ეგრეთ წოდებულ უძრავ გარემოშია ჩაკეტილი, ვინაიდან სული ქვეცნობიერად მაინც გრძნობს, რომ ადაპტირებული გარემო ადრე თუ გვიან წაიშლება, ვინაიდან წუთისოფელში ყველაფერი ცვალებადია და წარმავალი. ვერ დავიჩემებ, თუ რაოდენ დამაჯერებლად ახერხებს თავის ლექსებში ავტორი, თუნდაც წამიერად გაიყვანოს მკითხველი ახალ, მისთვის უჩვეულო სამყაროში, მაგრამ მის მცდელობაში მაინც გამოსჭვივის ძველი ინდური ანდაზის არსი: – „არაა ლოტოსი ღეროს გარეშე“. თორნიკე ქავშაბია ეძებს სიმშვიდეს სამყაროსეულ ერთიანობაში, ხილულისა და უხილავის თანხმიერებაში, წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის დაუნანვერობაში, რაც შეიძლება არც ისე ადვილი აღსაქმელია და ვისთვისაც ეს ცნება მიუღებელია ან არ ჰყოფნის „ქარაფშუტობა“, მიენდოს ამ ცნებას,

მსხვერპლი ხდება იმ საგნების სიყვარულისა, რომელიც მას არ ეკუთვნის. ეს აზრები ხან შეფარვით, ხან აშკარად ერთმანეთს ენაცვლებიან პოეტის მიერ შემოთავაზებულ კრებულში, თუმცა მკითხველთა ფართო მასებში ერთიანი გუნება-განწყობილების შექმნა შეუძლებელია და ეს არც იყო ავტორის მიზანი.

თორნიკე ქავშაბიას წინამდებარე კრებული თემატურად მრავალფეროვანია. ავტორი თავის პოეტურ ქმნილებებში ეხება როგორც ისტორიულ წარსულს, ასევე ორიგინალურად გვანვდის საკუთარ შეხედულებებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. ზოგიერთი მახინჯი მოვლენები მის ლექსებში წარმოჩენილია ირონიული სარკაზმით და მტკივნეულ ღიმილს იწვევს. მრავლისმეტყველია მინიშნებებითა და სარკაზმით ნათქვამი „გაუხედნავი“ სტრიქონები: „მე მხარი ვუქციე მოჩხავლე ყვავთა ერთობლივი განგამის კონსტრუქციას“... „ტაძარში განმიმზადა ტკარჩალი – მეძავის ხანძარი. მე დავეცი“... „ჩემს ყელში ცისკრის მამალი აყივლდა, მოციქული პეტრე ხედვის სრუტიდან გავიდა, დავიმსახურე სქელბურუსიანი მიტოვებულობა...“ პოეტის სევდაში აშკარად გამოსჭვივის ჰორაციუსის წუხილი: „რას გაუძლებს უმწეო სული მარადისობაზე ფიქრს?“ სწორედ აქ არის ადამიანთა სულიერი მხედველობის ცთომილებანი, თუმცა გვგონია, რომ მტკიცენი ვართ ჩვენს რწმენაში, მაგრამ მერე სინანულით ვიხსენებთ პეტრეს და ვამბობთ: „ჩემს ყელში ცისკრის მამალი აყივლდა“, რამაც გამოიწვია „სქელბურუსიანი მიტოვებულობა“.

წინამდებარე კრებული იმის დასტურია, რომ მისი ავტორი წიგნიერი და განსწავლული პიროვნებაა, რომელმაც ჯეროვნად იცის როგორც სხვადასხვა ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსული, მათი რელიგია და კულტურული მემკვიდრეობა, ასევე ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიერ სახელოვნად განვლილი ისტორიული გზა.

კრებული გამთბარია ადამიანთა სიყვარულითა და მომავლის ღრმა რწმენით. მკითხველს კი ვურჩევდი, იქონიოს მოთმინება და გამოიჩინოს მეტი სიბეჯითე ავტორისეული სამყაროს აღქმაში.

\*\*\*

ბოლოს, დაპირებისამებრ, შემოკლებით გაგაცნობთ თ. ქავშაიას „რჩეულის“ წინასიტყვაობას, რომლის ავტორი, ცნობილი პოეტი და საკმაოდ გემოვნებიანი მკვლევარი, ან განსვენებული მურმან ჯგუბურია საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს პოეტის შემოქმედებაზე:

„...თორნიკე ქავშაია სიტყვას აცნობს სიტყვას... არ იცნობდნენ ერთმანეთს და გაიცნეს, დამეგობრდნენ.

ავილოთ, მაგალითად, სიტყვა „ზარი“.

და კიდევ ერთი სიტყვა „სწორი“.

რა საერთო უნდა ჰქონდეს ამ ორ სიტყვას? მაგრამ, აქვთ:

პოეტი წერს:

„სწორია ზარი“...

ესე იგი, სწორია ის, რასაც ზარი გამოსცემს, გვეუბნება;

სწორია, ანუ: მართალი.

...არის წიგნი მკითხველისათვის, ანუ: საკითხავი წიგნი. არის წიგნი წიგნის მწერლისთვის, ანუ სამწერლო წიგნი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება, ჩემი აზრით, თორნიკე ქავშაიას პოეზია.

საიდან მოდიან ასეთი სიტყვები?

„მე მაგონდება ზღვა წაყვანილი...“

ან კიდევ ასეთი:

„წინასწარი თქმა ნიავს ემოსა...“

...ახლა ეს ვნახოთ:

„ცოცხალი ვარ მკვდარი...“

როგორი გამონათქვამია!

... ჩავუღრმავდეთ ამ სტრიქონებს:

„მგრძნობიარე სულში საზამთრო მოსაზრება ცხელი კომეტის თოვლით შემოსვლაა, რომ გაგრძელდეს ამბოხი. სურვილის დიდებულად გაშლა ზღვისფერი ბალახების ტრადიციას აცოცხლებს...“

გაიგეთ რამე?

მეც ვერ გავიგე.

მაგრამ რაღაც მაინც ხომ გავიგეთ?

... თორნიკე ქავშაია რთული პოეტია.

მაგრამ რა არის მარტივი ამ წუთისოფელში?

რამდენი რამე არ ვიცით, არ ვიცით და არც გვეცოდინება. საკვირველი კი ისაა, პოეტის მინიშნებით რომ შეიძლება გაიგო, მაგრამ არ იცოდე – ხედები, რაზეა საუბარი, მაგრამ, ვერ გამოგითქვამს.

... ეს წიგნი თითქოს იმისთვის დაიწერა, რომ ხშირ-ხშირად გაიმეოროს მკითხველმა: არ ვიცი, არ მესმის, ვერ გავიგე და მისთანანი. ასი პროცენტიდან – ოთმოცდაცხრამეტი – გაუგებარია, ერთი პროცენტი – გასაგები.

„გამოცდილების საფუძვლიდან გაიღო, გამოიცადა ხიდი, გადაიარეს, ჩატყდა! გადარჩნენ, გაგრძელდნენ თმებით შემოსილ ტყეში...“

... „გავწიოთ მუზა ძილისგარეთ“, – წერს პოეტი.

სხვებმა წერონ თავისი, მე ჩემსას ვწერო, გვეუბნება, თუ არ გეზარებათ, მომყევითო.

„შედეგი! – გეტყვი, ჰორზონტის მიძიმს ყურება...“

მაგრამ ამის მერე გვეტყვი, ჯერ კი აქ ისმის სიმღერა: „მღერიან ბოშურ ბალადებს და არ არის ბოშა...“

... თორნიკე ქავშაიას არ სჩვევია წუწუნი, ტირილი, წუხილი, გულზე მჯილის ბრაგუნი, სადღეგრძელოები, პათეტიკა, რაც ახლავს და რითაც არის სავსე ჩვენი თანამედროვე პატრიოტული პოეზია... არ გვეუბნება, რომ ის დევნილია, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგულია... აფხაზეთიც იქვეა, სადაც იყო, და სამაჩაბლოც. მშობლიური ადგილების დროებით დაკარგვას კი, როგორც ჩანს, საკუთარ თავს უფრო აბრალებს, ვიდრე მომხდურს.

არ მეგულება დღეს საქართველში სხვა პოეტი, ასე ღრმად იყოს დაფიქრებული იმ მარადიულ თემებზე, რასაც ათეული წლებია არ ეხმიანება თანამედროვე პოეზია: სიყვარული, სიძულვილი, ღალატი, ყოფნა-არყოფნა, სიკვდილი, სიცოცხლე, ბნელი და ნათელი, კენტი და ლუწი, ციფრი და რიცხვი, ნაწილი და მთელი, დედამინა და მზე და მთვარე, ვარსკვლავები და სამყარო, უსასრულობა...“

## სუტა პაჭკორია – ექიმი და შემოქმედი...

არის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც რალაცნაირად არაამქვეყნიური დამოკიდებულებისა გამო საქმისადმი, პროფესიისადმი თუ ადამიანებისადმი, მხატვრული ნაწარმოებიდან გადმოსულ გმირებს მაგონებენ. სადღაც, ვიღაც უნიჭიერესმა მწერლებმა შექმნეს ტილოები და ეს ღვთაებრივი სისავსით გამორჩეული პიროვნებები იქიდან მოგვევლინენ, რათა დაგვანახონ, როგორი უნდა იყოს ძე კაცისა და როგორი სიყვარული უნდა შეეძლოს ამ უგერგილო, ბოროტებით ვნებულ ნუთისოფელში.

ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ექიმი-თერაპევტი და ერუდიტი, დიდებული პუბლიცისტი ბატონი ხუტა პაჭკორია, რომელიც ჩემს ცნობიერებაში, გამომდინარე მისი უნიკალური თვისებებიდან და ცხოვრების წესიდან, უმაღლეს ადამიანად ჩამოყალიბდა. მით უფრო, როცა ის უაღრეს წესიერებასთან ერთად, გახლავთ ეროვნულსულოვანი ქართველი, პიროვნება, რომელსაც სამშობლოსთან არასდროს შეშლია და ქვეყანაში მიმდინარე ათასგზისი პერიპეტივის ყამს მუდამ სწორი პოზიცია ეკავა.

შოპენჰაუერი „უმაღლეს ადამიანად“ თვლის მას, ვინც შეიმეცნა სიცოცხლის ნების შინაგანი კავშირი ტანჯვასთან და ამის საფუძველზე უარი თქვა „კამკაშა ცხოვრებაზე“, საკუთარი პიროვნების ზომაზე მეტად წამოწევაზე. ამისთვის ადამიანი გადის ესთეტიური ჭვრეტის კამკაშა გზას, ემხრობა ე. წ. პლატონურ იდეებს, ანუ საგანთა სრულყოფილ ფორმებს, ემსახურება საყვარელ საქმეს, პროფესიას და საკუთარი მე განზე აქვს განუელი. ასეთი ნათელი ადამიანის განსახიერებად წარმომიდგება ეს დიდი პიროვნება!..

ბატონმა მურმან ზაქარაიამ გამაცნო, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მეტად მოკრძალებული კაბინეტი ეკავა, წიგნებითა და ჟურნალებით უწესრიგოდ გამოქმდილი. მე მხიბლავს ეს „უწესრიგობა“, მასში ვხედავ წიგნიერი ადამიანის დაუსრულებელ კირკიტს, მოუსვენ-

რად ჩანვდომას ფოლიანტთა უსასრულობაში, რა თქმა უნდა, ცოდნის მიღების უსაშველო წყურვილით. საოცარი შთაბეჭდილებით დასრულდა ჩვენი პირველი შეხვედრა, მე ვიხილე სიბრძნით მოპირთავებული თავმდაბალი კაცი, რომელიც მონოდებული იყო კეთილი საქმეების საკეთებლად და თუ ვინმეს, დედამიწის ზურგზე, შეუსრულებია პირნათლად ჰიპოკრატეს ფიცი, ალბათ ამ დიდ ექიმს.

ხშირად გაიგებდით, მასთან მისული, მაღლიერი პაციენტებისგან, რომ ის კეთილი ადამიანია. – დიახ, კეთილი, ასეთ რამეს ისე არ ამბობენ, ეს შიგნიდან მომდინარე ამოძახილია. სიკეთე და ბოროტება ხომ ეთიკის ცნებებია, ის ახასიათებს ადამიანებს და გვანახებს მათ, მათივე ქცევებიდან, ცხოვრების წესიდან გამომდინარე. ბატონი ხუტა უკეთილესი ადამიანია, რადგან ყველა მისი ქმედება და მთლიანად ცხოვრების წესი არის ის, რაც ღირებული და აუცილებელია, რაც ღვთაებრივი და მისაბაძია. ყოველივე ამას თავისი მიზეზი და საფუძველი გააჩნია, როცა პიროვნება ნათლად აცნობიერებს სამართლიანობის აუცილებლობას და შეიმეცნებს მას ქვეყნიერების უმთავრეს და უღალატო წესად, ესაა სწორედ მოქალაქეობრივად სინდისიერი მიდგომა და დამოკიდებულება ქვეყნიერებისადმი და ამიტომაც არ შემცდარა ხუტა პაჭკორია სამშობლოსთან.

ის ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ღვანების უზადო იდეის ერთგული გახლდათ და ყოველთვის გვერდით ედგა კანონიერი ხელისუფლების დამცველთ. ამიტომაც გახდა დედაქალაქის შუაგულში „ტაშკენტის 25“-ის, კანონიერი ხელისუფლების მომხრე და მისი აღდგენისთვის მებრძოლთა გუნდის უღალატო წევრი და რაც მთავარია – ყველას მშველელი ექიმი.

„ხუტა ექიმი“ სიკეთის მეტაფორად ამომზევდა ამ დიდ გუნდში და მშველელის, ყოვლის-



შემძლის სასუმელი შეიძინა!

იქნებ არ ესაიამოვნოს ამ ფაქტის გახსენება თავმდაბლობით გამორჩეულ მედიკოსს, მაგრამ რადგანაც ამომიტვივტიდა ცნობიერებაში, ვიტყვი კიდევაც.

ერთხელ მე და მხატვარი თემო ლლონტი ასეთი სურათის შემსწრენი გავხდით გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში, ერთი ცნობილი პოეტი ჩვენთან საუბრისას ისე ცუდად გახდა, გინაღამ ხელში ჩაგვაკვდა, რაღაც კრუნჩხვების მაგვარი, აუტანელი ტკივილი დაეწყო მუცლის არეში, ცეცხლს გამოტაცებულივით ტიროდა და იგრიხებოდა, ხმის ამოღებაც უჭირდა, ვიღაცამ გვითხრა, ე, ბიჭო, რესპუბლიკურში წაიყვანეთ, მაგისი ძმაა იქ, პროფესორი, განყოფილების უფროსიო. თემოს „ნივით“ გავაქანეთ ავადმყოფი, მივიყვანეთ იმ განყოფილებაში, სადაც ნამდვილად მისი ძმა ყოფილა ხელმძღვანელი (ვის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), გადაირია ის პროფესორი, შეხედა თავის ძმას, გასინჯა ხელებით, ფერი არ ედო საწყალს და ბოლო ხმაზე დაუყვირა იქ მდგომ ახალგაზრდა თეთრხალათიანებს, რას მიყურებთ, ჩქარა ხუტას დამიძახეთ, ხუტა მოიყვანეთო... მალევე გაჩნდა ჩვენი ხუტა ექიმი მკრუნჩხავ ავადმყოფთან, ის პროფესორი განზე გადაგა, ისედაც ვერაფერს აკეთებდა, ვიშვიშებდა მხოლოდ. ამ საოცარმა ექიმმა გასინჯა თუ არა, დაიწყო დირექტივების გაცემა. მოკლედ, ყველაფერი გააკეთა, რომ გადაერჩინა პაციენტი. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, უკვე საღ-სალამათი „ჩვენი პოეტი“ შემხვდა რუსთაველზე – ზემელზე, მაღლობა გადამიხადა დახმარებისა და გულისხმიერებისათვის და თავის პროფესორ ძმას დაუწყო ქება-დიდება, ასეთი დიდი ექიმია ძმაო, სხვები რომ ყოფილიყვნენ ეგრევე საოპერაციოში მიკრავდნენ თავს და რამეო! – ხუტა პაჭკორია არავის გახსენებია, არადა, ჩვენ ხომ ვხედავდით, ყველა ხედავდა, მაგრამ მაღლიერების „სარგო“ მაინც სხვას მიეკუთვნა! ასეთი რამეებისთვის ყურადღება არასდროს მიუქცევია, მისთვის უმაღლესი ჯილდო ხომ – გადარჩენილი სიცოცხლეა...

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ მომინდა ამ წერილის დაწერა, მაგრამ ჩვენი პატივსაცემი ადამიანები ყურადღების გარეშე რომ არ

უნდა დაგვრჩენ – აუცილებელია!

ბატონი ხუტა ტერენტი გრანელზე უსაზღვროდაა შეყვარებული, ღრმად იცის ტერენტის შემოქმედება და მეტად საინტერესო წერილებიც მიუძღვნა უსამართლოდ მივიწყებულ „სევდის გენიას“, ვისი შემოქმედება ჯერაც შეუსწავლელი და გამოუკვლეველია. ამაში ვინძლო მნიშვნელოვანი ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილის, ჩვენი საყვარელი ექიმის, ცნობილი კარდიოლოგის მამანტი როგავასთან ახლო მეგობრობამაც გააკეთა, მაგრამ ბატონი ხუტა სამართლიანი ესთეტია, იცის ნამდვილი შემოქმედების ფასი და „მას არ იტყვის კახაბერად, ვინც არაა კახაბერი“...

მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით საუბრობდა ბატონი ხუტა ტერენტის, ამ პლანეტარული გენიის გრაფიკულ მხატვრობაზე, რომელიც ამ ბოლოს გამოჩნდა დღის სინათლეზე და რომელსაც დიდებული ნარკვევი მიუძღვნა ჩვენმა სახელოვანმა მხატვარმა და მწერალმა რეზო (ემელიანე) ადამიამ. ჩვენ სხვა ტერენტი ვიხილეთ, ხაზებსა და ფიგურებში ბიბლიურად ჩაძირული შემოქმედი, ვისი წერტილოვანი და ბგერითი აზროვნება ეზოთერული სიმალღეების სამზერიდან დასცქერის უსასრულობის საზრისით აღვსილ თავისავე შემოქმედებას, მრავალწინაგოვანი კონტექსტებით, ღრმა ფილოსოფიური ჭვრეტებითა და ლირიკული მშვენიერებით – მედიტაციათა უკიდევანობაში რომ კონცერტირდება. თუ ვინმე ჩასწვდა ამ უდიდესი პოეტის სიღრმეს, ერთ-ერთი პირველთაგან ხუტა პაჭკორია, ამის განცხადების უფლებას მაძლევს მისი წერილები და ხედვები, მასთან ფილოსოფიური მიდგომები ტერენტის პოეტური ნიმუშებისადმი.

მოდით, ტერენტის ვერლიბრი „მე და გაფითრება“ გავიხსენოთ:

„შუალამე ჩამოეშვა...

ხატების წინ ხელაპყრობილი ვდგავართ მე და გაფითრება.

სადღაც შორს ბნელი თვალეებით ვამჩნევ: თეთრ უდაბნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი.

არ ვიცი:

შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი უხილავი ბალების სილურჯე იყოს...

ლამის უფსკრული გაიხსნა.

უნდა გათენდეს.

ხატების წინ ისევ ხელაპყრობილი ვართ  
მე და გაფითრება.

და ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი  
ისევ ლამის შუქივით ელავს თეთრ უდაბნოში.“

ასე რომ, ბევრი რამის გახსენება და დანერა  
შეიძლება ჩვენი წერილის გმირზე, იმდენი საინტე-  
რესო რამეებისა, რომელიც გააცოცხლებს ჩვენი  
თანამედროვე ისტორიის ძვირფას წამებს და ბევრ  
რამეზე სხვანაირი, მართალი თვალთ შეგახედებს,  
რამეთუ ეს ადამიანი დღემდე ცხოვრობს მართალი,  
ღირსეული ცხოვრებით და ტოვებს უნათელეს  
კვალს. აკი ლაო ძი ბრძანებს: „ადამიანი მაინც მი-  
სი ცხოვრებააო“, ასეა, ყველას ჩვენივე განვლილი  
გზა გამოგვაჩენს, ან ისე, ან ასე!

ხუტა პაჭკორიას ცხოვრებისეული გზა ნათე-

ლი გზაა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სიკეთის ნა-  
თელით გარემოსილი, რომელიც თამამად ერწყმის  
ერთიანი ეროვნული ენერჯის ფენომენს.

ერთი სენტენციის პერიფრაზირებით მინდა  
დავასრულო წერილი: როცა უფალი გვეხმარება  
და გშველის ტკივილის დაამებაში, ჩვენ გვჯერა  
მაცხოვრის ყოვლისშემძლეობისა და თაყვანს  
ვცემთ მაღლიერებით მის დედებულებას, ხოლო  
როცა ღმერთი არ აგვარებს ჩვენს პრობლემას  
ავადმყოფობასთან დაკავშირებით, მაშინ ღმერთს  
სჯერა ხუტა ექიმის, რომელიც უთუოდ შესძლებს  
ჩვენს დახმარებას, ტკივილთა ჩვენთა მისეულად  
დაამებას!..

მრავალჯამიერ, ძვირფასო ადამიანო!

**პატივისცემითა და სიყვარულით  
ქ. ზუგდიდი, 25 აპრილი, 2023 წელი**



**ბერტოლდ ბრახტი  
(ბერმანი)**

**ჰოზიისთვის საკავალი დრო**

მთარგმნელი **თორნიკე ქავშაია**

ვიცი, თვისი ბედნიერებით შეუყვარდათ ვინცა, ის არის ხმამხიარული. ის არის პირმშვენიერი.



შუა ეზოს ხე  
ნიადაგის სიმწარეზე საუბრობს მუდამ,  
მიუხედავად ამისა, გამვლელები  
მას გონჯ ხეს უწოდებენ.  
და მართლებიც არიან.

მე ზუნდზე\* მწვანე ნავეს ვერ ვხედავ.  
ვერც იალქნებს ვხედავ.  
მე მეთევზეების ნახვრეტებიან ბადეებს ვხედავ.  
ფვიქრობ, რატომ ვიმეორებ მე თხრობას იმაზე, ორმოცწლიანი  
მოჯამაგირე ქალი წელმოდრეკით რომ მიედ-მოედება რალაცას?..  
როგორც გარდასულ დღეებში,  
ქალწულებს თბილი აქვთ უბე.  
ჩემს სიმღერაში რითმა  
მე სიკეკლუცედ მეჩვენება.

ჩემთან ბრძოლაში ჩაებნენ  
ყვავილოვანი ვაშლის აღტაცება  
და მხატვრის\*\* თავზარდამცემი სიტყვები.  
მაგრამ აქედან მხოლოდ მეორე  
მბრძანებლურად მსვამს მე მაგიდასთან.

\*-ზუნდი – სრუტე სკანდინავიის ნახევარკუნძულსა და ზელანდიის კუნძულს შორის  
\*\*-მხატვარი – იგულისხმება ადოლფ ჰიტლერი

**ფიურარის ომიდან დაუბრუნებლები\***

ეს გახანგრძლივებოდა ოთხიოდ კვირა. შემოდგომის პირველ  
დღეებში თქვენ უნდა დაბრუნებულიყავით სახლებში.

მაგრამ ბევრჯერ  
მოვა და ნავა შემოდგომა, თქვენ კი გახდით სახლებში  
დაუბრუნებლები.

მხატვრის აზრით, თითქოს თქვენს მაგივრად  
მანქანები იომებენ და მხოლოდ ზოგიერთი  
თქვენთაგანი მოკვდება. თუმცა თქვენ  
ასეულ ათასობით იქნებით გასიკვდილებული.  
ამდენი რაოდენობით ბრძოლის ველზე აქობამდე,  
არავინ მომწყდარა ამქვეყნად.  
თუ მე მომიწევს იმის გაგონება, რომ თქვენ ბრძოლებში ხართ  
ჩაბმული

ჩრდილოეთ პოლუსში,  
ინდოეთში თუ ტრანსვალში,  
ეს იმას ნიშნავს, რომ მე მეცოდინება,  
სად არის თქვენი საფლავები.

\*-ამ ლექსისთვის მთარგმნელს სათაური აქვს შეცვლილი

**ქლიერი მანქანაა შენი ტანკი,  
გენერალო!**

მას შეუძლია გაშლილი კორომების, ასეული  
ადამიანის მიწის პირისგან ალგვა.  
მაგრამ მას გააჩნია ნაკლი:  
ის არის მესაჭის სამართავი.  
გენერალო, მძლავრი მექანიკური  
მონყობილობაა შენი თვითმფრინავი.  
ის – გრიგალზე მალი. ტვირთამწეობით  
სპილოზე მეტად ძალოვანი.  
მაგრამ მას გააჩნია ნაკლი:  
სჭირდება ტექნიკოსი.  
გენერალო, შენი მიზნებისთვის ადამიანმა  
ივარგა მეტწილ.  
ის აღმოჩნდა გაფრენის შემძლე, მკვლევლობის  
შემძლე.  
მაგრამ მისი ნაკლი:  
აზროვნების უნარი.

**გატონები ამბოჯან: ომი და მშვიდობა**

ისინი თავიანთი ბუნებით სრულიად  
განსხვავდნენ.  
მათი მშვიდობა და მათი ომი  
მობერილი ქარია და გრიგალი.  
მათმა მშვიდობამ შვა მათი ომი,  
როგორც დედის მუცელმა ბავშვი,  
რომელიც არის მემკვიდრეობითი  
მსგავსების მატარებელი.  
იმ ყველაფერს ანადგურებს ეს ომი,  
რაც მათ სამყაროს აქამდე გადაურჩა.

**გერმანია. 1945 წელი**

შინ – ჟამი.\*  
გარეთ – ზამთარი.  
სად უნდა გავიქცეთ ჩვენ?  
გომურაში დედაჩემად გაცხადებული  
ლორი  
თავს იქცევს ლორულად.  
ვგლოვობ, ვჯავრობ,  
ოჰ, დედაჩემო, დედავ.

**გალში**

მხოლოდ ერთი მარადმწვანე მცენარე... თუკი  
ამ დროს მე მიჩნდება  
შემოდგომის ნახვის სურვილი,  
მივდივარ ქალაქგარეთ, მეგობრებთან.  
იქ მე შემძლე ვარ, ხუთი წუთი დავდგე და  
ხისკენ გავიხედო მაღლა,

რომლისგან დასცვივდა ფოთლები, და მერე ამ  
დაცვენილ ფოთლებსაც დავაკვირდე.

მე ვნახე შემოდგომის უზომო ფოთოლი. მას ქარი  
ქუჩებში ტანჯვით დევნიდა. მე გავიფიქრე:  
„ძნელია ერთობ  
ფოთლის გასაველელი გზის წინასწარი გამოთვლა“.

\*ჟამი – ჭირი

**მიტოვებული**

მოვიგეთ ბრძოლა. ყველანი მაგიდასთან!  
მკაცრი დროების დადგა აღსასრული.  
განსაცდელგამოვლილო, სტაცე კოვზს ხელი!...

გადარჩნენ ძლიერები,  
ულონოებს კი ძალები კბენენ.

ლონემიხდილო, წამოდექი!  
ის არის ძლიერი, ვინც არსად, არასდროს, არვინ არ  
მიატოვა.  
კვლავ იქით მიიქეცი, კოჭლობით გაიარე,  
გაბობლდი, გააღწიე  
და იქ მიტოვებული ჩვენს ალაგს დაუბრუნე.

**მე აპიტაფია არ მჭირდება**

მე ეპიტაფიას არ ვითხოვ, მაგრამ  
თუ თქვენ გაქვთ გადაწყვეტილი,  
რომ ის ჩემთვის არის აუცილებელი,  
მაშინ მე ვისურვებდი, რომ მას ჰქონდეს ასეთი  
წარწერა:  
„ის წინადადებებს გვთავაზობდა, რომლებსაც  
ვიღებდით ჩვენ“.  
და თქვენთვისაც  
საპატივსაცემო იქნებოდა ამგვარი წარწერა.

**შაკითხვა**

როგორ შეიძლება აშენდეს დიადი წესრიგი  
მრავალთა განბრძნობის გარეშე? ვინც არის ამაზე  
ანგარიშგაუწეველი,  
მას ვერ ხელენიფება იყოს მილიონი  
ადამიანის გზის მაჩვენებელი.

დიდებულო მოძღვრებო!  
სიტყვის წარმოთქმისას არ დაიხშოთ ყურები.

**ციტატა**

პოეტი კინი ამბობდა:  
გამოჩენილობის გარეშე, როგორ შევქმნა მე,



უკვდავი თხზულებანი?  
როგორ ვუპასუხო, როცა არ მეკითხებიან?  
რატომ დავხარჯო დრო ლექსებზე, თუ დრო  
იქნება მათი დამკარგველი?  
მე ჩემი წინადადებები  
საკმაოდ მტკიცე სიტყვებითა მაქვს დანერვილი,  
რადგან ვშიშობ, მათი განსახიერების დროის  
მოსვლა არ მოხდება მალე.  
მეტ მიღწევებს სჭირდება მეტი ცვლილებები.  
მცირე ცვლილებები მეტ მიღწევებს მტრობენ.  
ჩემთვის ამდენი მტრის ყოლა ნიშნავს, რომ მე  
უნდა გავხდე საყოველთაოდ აღიარებული.

**იღბლიანობის შესახებ**

იცოცხლო! – აუცილებელია იყო იღბლიანი.  
იღბლიანობის გარეშე  
თავს ვერავინ დაიხსნის გათოშვისგან,  
უპოვრობისგან, ადამიანებისგან.

იღბლიანობას მოაქვს საშველი.

მე მხოლოდ ჩემი იღბლიანობის გამო  
გადავრჩი.  
მაგრამ მე, მყოფადზე თვალმიდევნებული,  
თავზარდაცემით ვიცნობიერებ,  
კიდევ რამდენჯერ არის ჩემთვის აუცილებელი  
იღბლიანობის ქონა.

იღბლიანობას მოაქვს საშველი.

მძლავრობს იღბლიანი.  
მებრძოლია და ჭკვიანი დამრიგებელი,  
ის ვინც არის იღბლიანი.

იღბლიანობას მოაქვს საშველი.

**კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ**

კრიტიკულ დამოკიდებულებას ზოგიერთები  
უშედეგოდ მიიჩნევენ,  
რადგან მათ საუფლოში კრიტიკით ბევრ  
ვერაფერს მიაღწევ.  
მაგრამ რაც უშედეგო კრიტიკადაა მიღებული,  
სინამდვილეში არის უნებო კრიტიკა.  
შეჭურვილ  
კრიტიკას ძალუძს განახორციელოს  
საბრძანებლის ნგრევა.  
შეცვალოს მდინარის კალაპოტი.

გაკეთილშობილოს ნაყოფის მომცემი ხე.  
აღზარდოს ადამიანი.  
განახლოს სახელმწიფო.  
შეიძლება სწორედ  
ამგვარი იყოს  
თავზე საყრელი,  
თითით საჩვენებელი  
კრიტიკა  
და თანაც  
თითით საჩვენებელი  
ხელოვნება.

**ჰორაციუსის ნაკითხვისას**

წარღვნაც კი  
არ გაგრძელებულა საუკუნოდ.  
ერთხელ გაედინდნენ  
შავი მორევები,  
მაგრამ ცოტა ვინმემ  
თუ შეძლო ამის გადატანა.

**გაფიქრება ჯოჯოხეთზე**

მე როცა იმაზე გავიაზრე, რაც ჯოჯოხეთზე  
მქონდა გაგონილი,  
ძმა შელიმ გადაწყვიტა, რომ ის არის  
ლონდონისნაირი ადგილი.  
მე არა ლონდონში, არამედ ლოს-ანჯელესში  
ვცხოვრობ.  
მე ჯოჯოხეთზე გაფიქრებისას ვხვდები,  
რომ ის სავარაუდოდ არის ლოს-ანჯელესის  
მსგავსი.

უეჭველად,  
როგორც აქ, ჯოჯოხეთშიც  
ხეების სიდიდის ყვავილებივით  
გაშლილან ბალები,  
თუმცა ისინი მყისიერად ეძლევიან ჭკნობას,  
თუკი  
მეტად იშვიათი წყლით არ მოიხრწყა.  
სავსეა ხილით იქაური ბაზრები,  
მაგრამ წართმეული აქვთ გემო და სურნელი.  
დგას ავტომანქანების უსასრულო რიგი,  
რომლებიც საკუთარ ჩრდილებზე მსუბუქები და  
მოელვარე ლიმუზინების ყრუ აზრებზე  
სწრაფები არიან.

ქვემოთ, არსაიდან მოსული და არსაით მავალი  
ადამიანები ჩანან.  
ბედნიერთათვის აღმართული სახლები  
სიცარიელეს განიცდიან,

მაშინაც კი, როცა შიგ ვილაცები სახლობენ.  
ჯოჯოხეთში ყველა სახლი არ არის უსახური.  
მაგრამ გარეთ ქუჩაში იქნე გაგდებული, –  
ამ შიშით, ვილის მაცხოვრებლები აქ  
არანაკლებ იტანჯებიან,  
ვიდრე ბარაკის მკვიდრები.

**თუკი ქვას უნდა, კვლავ რომ იყოს  
ჩამოვარდნილი**

თუკი ქვას უნდა, კვლავ რომ იყოს  
ჩამოვარდნილი,  
როცა ჰაერისგანაა მალლა აგდებული,  
მაშინ მის სიტყვებში იყავი დარწმუნებული.  
თუ წყალი გეტყვის: წყალში შეხვალ და,  
დასველდები,  
მაშინ მის ნამდვილობაში იყავი  
დარწმუნებული.  
თუ წერილობით შენთან ჩამოსვლის სურვილს  
გამოთქვამს მეგობარი ქალი,  
უნდა იცოდე, რომ ეს არის წარმოუდგენელი...  
ამ საკითხებს არ განაგებენ  
ბუნების ძალები.

**ოზიქტურობის წინააღმდეგ**

1  
უუფლებობასთან მებრძოლები,  
როცა თავიანთ წყლულებზე,  
დასაპყრებულობაზე საუბრობენ,  
მაშინ უსაფრთხოდ მყოფნი ბოლმიანობენ.

2  
რაზე ჩივიხართ თქვენ? – აღგზნებულად  
კითხულობენ ისინი, –  
თქვენ უუფლებობას ებრძვით და მან  
თქვენზე გაიმარჯვა, ამიტომ იყავით ჩუმად!

3  
მებრძოლის აზრით, საჭიროა დანაკარგისთვის  
მზადყოფნა,  
საშიშროების წინაშე დგება ყველა  
უთანხმოებაში შესული.  
ვინც არის მოძალადე,  
მან არ უნდა დაგმოს იძულება.

4  
ო. საფარში დამალულო  
მეგობრებო,  
რატომ  
გვიბრაზდებით ასე? – ჩვენ  
უუფლებობის მტრები, რამ გაგვხადა თქვენი  
მტრები?  
ჩვენ დამარცხება ვინწინეთ, რადგან  
უკანონობა სიმართლედ ვერ გარდაიქმნა.

5  
უფლებააყრილობის მიერ ჩვენი დაჯაბვნა  
ჩვენს მცირერიცხოვანებაზეა  
მანიშნებელი.  
ჩვენ, უსინდისობის წინააღმდეგ ამხედრებულები,  
მათი სირცხვილის შეგრძნებას ველოდებით,  
რომლებიც ჩვენ  
შორიახლოდან თვალყურს გვადევნებდნენ.

**ქება დიალექტიკას**

(პიესიდან „ლონისძიება“)

ამ მიწაზე ურყევი ნაბიჯებით დადის მზაკვრული  
სივერაგე.  
აქ ათასწლობით დაემკვიდრდნენ  
სისხლისმსმელები.  
ძალმომრეობა მაუნყებლობს: „რაც არის,  
როგორც არის, ყველაფერია შეუცვლელი“.

ხელისუფალთა ბოროტ ბლავილს ვერ გაკვალავს  
ხმა კაცობრივი.  
საჯაროდ აცხადებს მჩაგვრელი: „ახლა მე ვარ  
დიასახლისი“.  
ჩაგრულები კი განმარტავენ:  
„ჩვენს იმედებს არ უწერიათ ახდენა საუკუნოდ“.

არსოდეს არ თქვა „არასოდეს“, თუ ხარ ცოცხალი.  
რაც მტკიცეა, არ არის მტკიცე.  
ამჟამად რაც არის, ის ასეთნაირად არ დარჩება  
მუდამ.  
მჩაგვრელები იტყვიან -  
ენას ამოიდგამენ ჩაგრულები.  
თქვას „არასოდეს“, ვინ იქნება ასეთი გაბედული.

ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ჩაგვრა არის  
ცხოველმოსილი? ჩვენ.  
მონობის უღლის გადაგდებაზე ვინ უნდა იყოს  
პასუხისმგებელი. ისევ ჩვენ.

შენ დამარცხდი? განაგრძე ბრძოლა.  
დღეის ძლეული, ხვალ იქნება ძლევამოსილი.  
საკუთარ მდგომარეობას თუკი შენ გაუგე,  
მაშინ მის მიმართ იქნები შენ შეურიგებელი  
და „არასოდესს“ შეენაცვლება „ახლა!“

**ქება გულმავიწყობას**

გულმავიწყობაშია ხსნა!  
 სხვანაირად  
 როგორ გაეცლებოდა ვაჟიშვილი დედას,  
 რომელმაც ის გამოზარდა,  
 რომელიც ძალ-ღონით აღჭურვა  
 და ვისაც ძალა ხელს უშლის საკუთარი თავი  
 გამოცადოს?  
 სხვანაირად  
 როგორ განშორდებოდა ცოდნის მომცემ  
 მასწავლებელს ერთგული მოსწავლე?

ცოდნის მიღების შემდეგ  
 ფართო გზა აქვს მოსწავლეს გასავლელი.  
 ძველ სახლში ესახლებიან მდგმურები,  
 იქ მშენებლების დარჩენის შემთხვევაში,  
 ვერ გამოინახებოდა ყველასთვის ადგილი.  
 მხვენელმა დიდი პურის კვერი  
 თავის საკუთრებად არ ჩათვალა.  
 როგორ შეძლებდა დილით სანოლიდან  
 წამოდგომას ადამიანი,  
 რომ არ წაეშალა ბნელი ღამის ყველა ნაკვალევი?  
 როგორ შეძლებდა ექვსჯერ ფეხმოცვლილი  
 მეშვიდედ წამოდგომას,  
 რომ ქვიანი მინა დაეხნა,  
 რომ მრისხანე ცისკენ ელივლივა?..  
 ადამიანს  
 ძალ-ღონეს მატებს, საკუთარი მახსოვრობის  
 სისუსტე.

**სწავლება მოსწავლეების გარეშე**

ასწავლო მოსწავლეების გარეშე,  
 აღიარების გარეშე წერო,  
 საქმეა წარმოუდგენელი.  
  
 სასიხარულოა დილაუთენია გახვიდე  
 ახალწარგავსებულ ფურცლებთან ერთად.  
 შენ გელოდება ასოთამწყობი. შენ ხმაურიან  
 ბაზრის გავლით იქითკენ  
 მიიჩქარი,  
 სადაც ხორციით და ხელობით ვაჭრობ;  
 შენ სიტყვას ჰყიდი.  
  
 გაქანებით მიქროდა მძღოლი.  
 მან ვერ მოასწრო ესაუზმა.  
 ის რისკულობდა მოსახვევებთან.  
 ის სწრაფი ნაბიჯებით კარებში შევიდა.

ვისთვისაც ის ამ ადგილას მოვიდა,  
 ის უკვე სახლიდან გამოვიდა.

იქ ლაპარაკობს ის, ვისაც არ ჰყავს  
 ყურისმგდებელი.  
 ის არის ტემბრანეული.  
 ის მეორდება.  
 ის ლაპარაკობს გაუმართავად  
 და ეს რომ შეუსწოროს, ისეთი  
 აქ არავინ არ იპოვება.

**მათ, რომლებსც შეუძლიათ წასვლა**

უნდა წავიდნენ ისინი, რომლებსაც შეუძლიათ  
 წასვლა.  
 შენ არ თხოვო მათ ჩვენთან დარჩენა.  
 დაე, დარჩნენ ჩვენთან ისინი, რომლებსაც არ  
 ძალუძთ წასვლა.

განა მას დააშოშმინებ,  
 ვინც შემძლეა წავიდეს აქედან?  
 უძალო, არაქათგამოლეული,  
 ვერ იქნება ვისიმე შემკავებელი.

თქვენ რიგიან დროშიც კი  
 არ დააბრკოლოთ წამსვლელი,  
 ვინ იცის, იქნებ დრო მოდის საძაგელი.

ჩვენთან ერთად ბრძოლაში წამოვლენ  
 მარტო ისინი,  
 რომლებსაც ემუქრება ის ხიფათი,  
 რაც ჩვენ.  
 რა სარგებელია მასში, თუკი ვინმესთვის  
 ლამაზი თვალების გამო აღმოვჩნდით  
 გამორჩეული?

ჩვენ დღეს ვუთხრათ მათ,  
 რომ გზა აქვთ ჩვენი მხრიდან გახსნილი,  
 ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ყოველი მხრიდან  
 შემორკალული.

წავიდეს ყველა, ვინც გარეთ პოვოს  
 თავშესაფარი.  
 ვისაც მტერმოდულეთა შორის ჰყავს  
 მეგობარი.  
 ვისაც აღეძრა წასვლის სურვილი.

დავრჩეთ ჩვენ მარტოდმარტონი,  
 ჩვენთვის აქედან  
 წასვლაა შეუძლებელი.

**თქვენ ყველა ოცნებას დაანებეთ თავი**

თქვენ ყველა ოცნებას დაანებეთ თავი, თქვენ გგონიათ, თქვენთვის რამენაირ გამონაკლისს დაუშვებენ.

ნუ გულგრილობთ იმ საკითხებზე, რაც დედამ დაგიბარათ. თქვენთვის დაიტოვეთ ყოველი თქვენი გარიგება, რადგან ის აქ არის განუხორციელებელი.

თქვენ მოუცილებლად დაგყვებათ სასო-ნაფიქრალი, თითქოს თქვენ პრეზიდენტობისთვის იყოთ მოვლინებული. მაგრამ კვერებად დანანილდით, - ისწავლეთ სხვარიგად ყოფნა, რომ შესაძლებელი გახდეს, სამზარეულოში მაინც მოგიტმინოთ.

შეიმეცნეთ ანბანური ჭეშმარიტება: „თქვენ მოგერევიან!..“

თან იმაზე მიატოვეთ ფიქრი, რაც აქვს თქვენს სურვილს სათქმელი: „თქვენ არავინ არაფერს გეკითხებათ...“ აგერ მჭამელებიც მოსულან და რაც არის საუკეთესო, ეს გახლავთ დაკეპილი ხორცი.

(მაგრამ თქვენ ამან არ უნდა წაგართვათ მხნეობა).

**ცვალებადობს ყოველი**

ცვალებადობს ყოველი. თქვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა შეიძლება გახდეს ახლობის წარმომშობი. რაც მოხდა, მოხდა. ღვინოსთან ერთხელ შერეული წყალი ხდება მასთან სამუდამოდ განუშორებელი.

რაც მოხდა, მოხდა. ღვინოსთან ერთხელ შერეული წყალი ხდება მასთან სამუდამოდ განუშორებელი. მაგრამ ცვალებადობს ყოველი. თქვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა შეიძლება გახდეს ახლობის წარმომშობი.

**არსად არ დატოვო კვალი**

ვაგზალში მეგობრებს ჩამოშორდი. დილაადრიან პიჯაკის შეკვრისთანავე ქალაქში გაიქეცი. დაიქირავე ოთახი. და როცა მეგობარი დაგიკაკუნებს, არ გაულო კარი, არა, არ გაულო! პირიქით, არ დატოვო არავითარი კვალი.

ქალაქ ჰამბურგში, ანდა სხვაგან, მშობლებს უცაბედად გადაეყრები. შენ გვერდი აუარე მათ, ვითომც უცნობებს. იქვე კუთხეში შეუხვიე. თვალეზამდე ჩამოინიე შლაპა. მათ სახე არ აჩვენო, ო, არ აჩვენო სახე. პირიქით, არ დატოვო არავითარი კვალი.

გაქვს ხორცი? არ შეინახო, ჭამე. თუ კოკისპირულად წვიმს, ნებისმიერ სახლში შედი. ნებისმიერ სკამზე დაჯექი, რომელშიც შეიძლება ჯდომა. მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩე და არ დაგავინწყდეს შლაპა. მე გეუბნები, - არ დატოვო არავითარი კვალი.

ნუ გაიმეორებ იმას, რაც ერთხელ თქვი. თუკი შენს ნააზრევს სხვასთან შეხვედები, მაშინ მას განეშორე. ხელი მოაწერე მასზე, ვინც არ დატოვა პორტრეტი, ვინც მოწმეობას არ დათანხმდა, ვინც ერთი სიტყვა არ თქვა. თქვი, როგორ უნდა იყოს იგი დაჭერილი. მაგრამ არ დატოვო არავითარი კვალი.

გადაწყვეტილი გაქვს მოკვდე? – მალულად იზრუნე, არ გქონდეს ძეგლი, რადგან ის გაამჟღავნებს რომელ საფლავში წევხარ. არც გარდაცვალების თარიღი მიუთითო, თორემ მოტყუვდები. შეგახსენებ, – არსად არ დატოვო არავითარი კვალი. (მე ამგვარი დარწმუნებით მასწავლიდნენ)



**რას სარგებელი მოაქვს სიკეთეს?**

1

რით არის სასარგებლო სიკეთე, როცა კეთილებს დაუყოვნებლივ საიქიოში ისტუმრებენ ან საიქიოში ისტუმრებენ მათ, რომლებსაც გაუკეთეს სიკეთე?

რით არის სასარგებლო სიკეთე, როცა თავისუფლებს უთავისუფლოთა შორის უხდებათ ყოფნა?

რით არის სასარგებლო გონიერება, როცა სიცოცხლისთვის აუცილებელი სურსათ-სანოვავის მოპოვების ყველა უფლება უგუნურობას გადაეცა?

2

კეთილნესიერებით ყოფნის ნაცვლად შეეცადე, ისეთი პირობების შექმნა, სადაც კეთილქმნადობაა შესაძლებელი. ყველაფერზე კარგი, ეს არის გადამეტებული სიკეთის ქონა.

გამომწყვდეული თავისუფლების ნაცვლად შეეცადე შექმნა ისეთი პირობები, სადაც ყოველი ჩვენგანია თავისუფალი.

თავისუფლებასთან სიყვარულიც კი ხდება მეტისმეტი!

გამოცარიელებული გონიერების ნაცვლად შეეცადე შექმნა ისეთი პირობები, სადაც უგუნურობა არავისთვის არ იქნება ხელსაყრელი.

**რად უნდა ითქვას ჩემი სახელი?**

1

მე გავიფიქრე: შორეულ წლებში, როცა დაინგრევა ის სახლი, სადაც მე ამჟამად ვცხოვრობ და დაღუპებიან ის ხომალდები, რომლებითაც მე დავცურავ, მაშინ ადამიანები, სხვათა გვერდით, ჩემს სახელსაც გაიხსენებენ.

2

იმის გამო ხომ არა, რომ სასარგებლო საქმეებს წინ ვაყენებდი, რადგან ჩემი დრო არ იყო მაღალღირსოვანი. იმის გამო ხომ არა, რომ მე მჩაგვრელებს შევებრძოლე, ანდა შეიძლება მას კიდევ ჰქონდეს განსხვავებული საფუძველი.

3

იმის გამო ხომ არა, რომ ადამიანებს ვედექი მხარში და მეიმედებოდნენ ისინი და მათ მაღალ შეფასებას ვაძლევდი. იმის გამო ხომ არა, რომ მშობლიური ენის სიყვარულით მე ლექსებს ვწერდი, თან ბევრ ვინმეს აქტიურობისკენ მოვუწოდებდი, ანდა შეიძლება მას კიდევ ჰქონდეს განსხვავებული საფუძველი.

4

აი, მე რატომ მივიჩნიე, რომ ჩემი სახელი გრანიტის ფილაზე იქნება დანერვილი. და ერთი წიგნიდან სხვა ახალ წიგნში გადაიტანენ.

5

მაგრამ მე წერისამებრ ვთანხმდები, – დაე, ის გახდეს დავინწყებული. რატომ მოვიკითხოთ პურის მცხობელი, თუ ბლომადაა პური? რატომ შევაქოთ დნობადი თოვლი, თუკი ხელახლა ითოვებს მალე? რად სჭირდებათ ადამიანებს წარსული, როცა მათ აქვთ მომავალი?...

რატომ უნდა ითქვას ჩემი სახელი?...

**მოხერხებული მანქანით მავლები...**

მოხერხებული მანქანით მავლებმა, შებინდებისას, თავსხმა წვიმაში, ატალახებულ გზის პირას, ჩვენ შევნიშნეთ ძონძებში გახვეული ადამიანი. ის ხელებს გვიქნევდა და თავს ხრიდა, რომ ის ჩვენ აგვეყვანა. ჩვენ ზემოთ იყო სახურავი. გვერდით – ცარიელი ადგილი. და ჩვენ მივდიოდით გზის გასწვრივ. ამ დროს ჩემი მძულვარე ხმა ყველამ გაიგონა: „არა, ჩვენ არ შეგვიძლია ავიყვანოთ ვინმე“. ჩვენ გავიარეთ გზა, შესაძლოა, ერთი დროის სავალის თანაბარი. მე უცებ შემადრწუნა ჩემმა ნათქვამმა სიტყვებმა, ჩემმა საქციელმა და ამ სამყაროში რაც ხდება, ყველაფერმა იმან.

ავაზაკი და მისი მსახური

„საბავშვო სიმღერიდან“

ჰესენის ტყეში ორი ავაზაკი  
 ლამის საათებში საშოვარზე გამოვიდა.  
 ერთი მშვიერი მგელივითაა გაძვალტყავებული.  
 მეორე არის პრელატივით სრული.  
 აქედან ერთია მბრძანებელი.  
 მეორე, – მისი ქვეშევრდომი.  
 ერთმა რძის ყველა ნალები თვითონ შეჭამა.  
 მეორემ ყველა მისი ნარჩენი შესვა.  
 გლეხებმა მაგრად მოჭერილი  
 თოკით ჩამოახრჩვეს ისინი.  
 ერთი მშვიერი მგელივით იყო  
 გაძვალტყავებული,  
 მეორე – პრელატივით სრული.  
 დგანან, პირჯვარს იწერენ გლეხები  
 და განხილვაზე აქვთ გამოტანილი:  
 ცხადია, პრელატივით სრული რომ არის  
 ავაზაკი,  
 აი, ის გაძვალტყავებული გახლავთ რომელი?...

მეხუთე ბორბლის შესახებ

ჩვენ შენთან ვართ იმ საათში, როცა შენ  
 მეხუთე ბორბლად ყოფნას ამჩნევ  
 და სასოგანშორებული ხდები.  
 მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ  
 არაფერია ხელშესახები.  
 შენ, როგორც სწრაფმოუბარი,  
 საჭირო სიტყვებს არჩევ, რომლითაც  
 შენ აქედან წასვლას შეძლებ.  
 უპირველეს ყოვლისა, წასვლის წინ  
 შენ არ გინდა იყო შეუნიშნავი.  
 შენ, ფრაზის ბოლომდე ართქმით,  
 ფეხზე წამოდექი.  
 გახელებული, წასვლის სურვილს  
 ისევ გამოთქვამ.  
 ჩვენ გვეუბნები: „დარჩი!...“ თუმცა  
 ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ  
 შენ ხარ მეხუთე ბორბალი.  
 შენ ისევ ჯდები.  
 შენ ჩვენთან იმ საათში რჩები,  
 როცა ჩვენ მეხუთე ბორბლად შეგიცანით.  
 მაგრამ შენ ამ ყველაფერს ამჯერად  
 ბუნდოვნად ამჩნევ.  
 არ დაგიმალონ, გაგიცხადონ  
 შენი მეხუთე ბორბლად ყოფნა.  
 იმის გამო, რაც მე გითხარი,

შენ გარენრობას ნუ დამწამებ.  
 ცული არ გადმოიღო, არამედ  
 შენ სავსე ჭიქიდან შესვი წყალი.  
 მე ვიცი, შენ არაფერი არ გესმის უკვე.  
 შენ ხმამაღლა ნუ იტყვი, რომ ჩვენი სამყაროა  
 ღვთის გარეგანი.  
 შენ ჩუმიად თქვი ის, რაც მასზე გაქვს  
 სათქმელი.  
 ოთხი არ არის ძალიან ბევრი, მხოლოდ მეხუთე  
 ბორბალია ზედმეტი.  
 ჩვენი სამყაროა არც ისე ცუდი.  
 ჩვენი სამყაროა ბოლომდე აღვსილი.  
 (შენ არაერთხელ გესმა ამის შესახებ.)

დიდი სამადლოხელი ქორალი\*

- 1  
ხალხო, ლამის დადგომას შეასხით ხოტბა.  
ყველა ამაო ფაცური  
იქნება ზღვარდადებული.
- 2  
თქვენ თქვენი გალობით ხოტბაშესხმული  
გახადეთ მწერები, ცხოველები, ფრთოსნები.  
ისინი, -  
ცვრიან ბალახებში თქვენებურად  
სულდგმულები,  
სიცოცხლის დაკარგვით წარვლიან.
- 3  
დანაკლებულ მიწიდან ცისკენ შემართულ  
მუხას შეასხით ხოტბა.  
ეს ახოვანი მუხა  
პოხიერმა ნაკელმა გამოზარდა.  
მან ასაზრდოვა,  
მაგრამ ის ზესკნელს მიელტვა.
- 4  
ვარსკვლავეთს ასმენინეთ თქვენ სახოტბო  
საგალობელი,  
რომლებსაც ხიბლავს სხვა საზრუნავი!  
თქვენდა ბედად  
ცამ დაგივინყათ, -  
ცას მახსოვრობა აქვს დაფლეთილი.
- 5  
ცივი საბურველით დამალულ ბნელს  
ასმენინეთ თქვენ ქების გალობა!  
გზად დიდი ღამეა აღპყრობილი.  
მშვიდობით წახვიდეთ ამ სამყაროდან,  
ხელს ვერ შეგიშლით თქვენ ველარავინ.

\*-ქორალი-კათოლიკეთა და პროტესტანტთა რელიგიუ-რი საგალობელი

**მსუბუქი დაქროლების ლიტურგია**

1  
 ბიცოლა საიდანლაციდან მოვიდაო ამბობენ  
 2  
 მას შიმშილისგან აეჭრა გამოხედვა  
 3  
 მაგრამ მთელი პური ჯარისკაცმა შეჭამა  
 4  
 ის დაუძღურების გამო ორმოში ჩავარდა  
 5  
 და საუკუნეებით დაავინყდა, რას ნიშნავს ჭამა.  
 6  
 ხეთა ვარჯები კი არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 7  
 ექიმი მოვიდაო ამბობენ  
 8  
 მან თქვა: სასაფლაოშია ბიცოლას ადგილი  
 9  
 და დამარხეს მშვიერი ბიცოლა  
 10  
 და მასზე არვინ არ აღმოჩნდა ბრალეული  
 11  
 და დაუჩრდილავ შერცხვენის გარეშე ექიმმა  
 ჩაიცივნა.  
 12  
 და ხეთა ვარჯები ისევ არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 13  
 ერთი ადამიანი გამოჩნდაო ამბობენ  
 14  
 თურმე მისთვის არ არსებობს არავითარი  
 პატიოსნება  
 15  
 ბიცოლას ტრაგედია კი ის შეაძრწუნა  
 16  
 მან თანაგრძნობით აღვსილმა დიდი გაოცება  
 გამოხატა  
 17  
 მან თავისთვის თქვა: ადამიანებს სჭირდებათ  
 ჭამა.  
 18  
 მაგრამ კვლავინდებურად ვარჯები არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 19  
 აქ პოლიციელი მოვიდაო ამბობენ  
 20

მან ერთ კაცს ხელები გადაუგრიხა უკან  
 21  
 მას ორჯერ-სამჯერ ერთმანეთის მიყოლებით  
 მუშტი უთავაზა  
 22  
 რისი მოსმენაც ადამიანებს უნდოდათ, მათ ის  
 ვერ მოისმინეს  
 23  
 ბოლოს პოლიციელმა თქვა:  
 24  
 აი აგერ ხეთა ვარჯები არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 25  
 აქ სამი პირწვერიანი მოვიდაო ამბობენ  
 26  
 და თქვეს: მარტო ერთ კაცს არ ხელენიფების  
 ასეთი რამის ჩადენა  
 27  
 მაგრამ მათ ამ განსწავლისთვის მიიღეს  
 სასყიდელი  
 28  
 საკუთარმა სიტყვებმა საფლავის ჭიებს  
 შეჰყარა ისინი  
 29  
 ის რაც მათ გეგმაში იყო ყველაფერი ამგვარად  
 იქნა დავინწყებული  
 30  
 ხეთა ვარჯები კი არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 31  
 აქ ბევრი ადამიანი მოვიდაო ამბობენ  
 32  
 მათ სურთ ჯარისკაცს მოუსმინონ  
 33  
 მაგრამ ჯარისკაცის ნაცვლად მათ ავტომატმა  
 გასცა პასუხი  
 34  
 და რაც უნდოდათ მათ ის უკვე არასოდეს არ  
 ენდომებათ  
 35  
 მათ უმალ ღრმა ნაოჭებით დაელარათ შუბლი.  
 36  
 მაგრამ ხეთა ვარჯები ჯერ კიდევ არ მოძრაობენ  
 და არ ისმის ფრთოსნული ქორო  
 და მთათა მწვერვალებზე  
 არც სიოა დაქროლებული  
 37  
 აქ დიდი დათვი მოვიდაო ამბობენ  
 38

დათვის ადგილობრივი წყობილება ძალზე ეუცხოვა

39

მაგრამ ის ნატყვიარი იყო და რამე გარკვევა-გამოცნობისგან თავი შორს დაიჭირა

40

მან ფრთოსნების ჭამა დაიწყო და უკლებლივ ყველა შეჭამა.

41

და აი აქ როგორღაც ვარჯები ამოძრავდნენ და აიძვრა ქორო ფრთოსნული და მათათა მწვერვალებზე სიომ დაიქროლა

### შთაშოშავლობისადმი

1

მე პირქუმ დროში მერგო ცხოვრება. უბოროტო სიტყვა გულუბრყვილობად გარდასახდა. უნაოჭო შუბლი კი გულქვაობაზე მეტყველებს. ვილაცამ სიცილი იმიტომ არ შეწყვიტა, საზარელი ამბავი აქამდე რომ არ ეუნყა. ნეტავ ვიცოდე, რა დროა, ეს დრო, როცა დანაშაულად ითვლება ხეებზე საუბარი. მასში სიმხეცეების დასაფარად, ჩვენი გაჩუმებაა ნაგულისხმევი! ვინც ქუჩაში დადის მშვიდად და არხეინად, ეტყობა, არ ესმის, როგორ იტანჯებიან მისი ტოლ-ამხანაგები.

მე კვლავ შემძლე ვარ მოვიპოვო პური არსობისა, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ხდება თავისდაუნებურად. რასაც მე ვაკეთებ, იმ საქმეებიდან მეძლევა მე იმის საშუალება, ვიყო ყელამდე მაძლარი. მე შემთხვევით გადავრჩი. (თუ ჩემი ილბლიანობა შენიშნეს, მე უცილოდ დავიღუპები)

მეუბნებიან: „ჭამე, სვი, გახალისდი, რადგან გაქვს სარჩო-საბადებელი!“ მე საიდან მექნება ჭამა-სმის ხალისი, როცა მოშიმშილეს ლუკმას ვართმევ. როცა ჩემ მიერ დალეული ჭიქა წყალი მწყურვალისთვის იყო განკუთვნილი?.. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვჭამ და ვსვამ.

მე მქონდა განბრძნობის სურვილი. ძველი წიგნები თხრობდნენ, რას ნიშნავს სიბრძნე.

ამქვეყნიურ საქმეებს ჩამოშორდე და ძრწოლის გარეშე დაასრულო შენი ხანმოკლე ჟამი. თავიდან აიცილო მოძალადედ ყოფნა. ბოროტებას კეთილად მიუზღა. ვნებები დაიოკო და დავინყებას მისცე ისინი. აი, რა იგულისხმება სიბრძნედ.

მე ნამდვილად პირქუმ დროში მერგო ცხოვრება.

2

მე შფოთიანობის ჟამს ქალაქებში ჩავდიოდი. ირგვლივ გამეფებული იყო სიყმილი. საყოველთაო მღელვარებისას მე ხალხის გვერდით ვიდექი. მე მათთან ერთად ვდრტვინავდი. ასე დიოდნენ ამ მინაზე ჩემთვის განკუთვნილი წლები. მე ბრძოლების დაცხრომისას საქმელს შევექცეოდი. მე მკვლელთა შორის ვწვებოდი დასაძინებლად. მე სიყვარულის წინაშე არ ვყოფილვარ მოკრძალებული. მე ბუნებასთან ვერ გამოვდექი გონგამჭვრეტი. ასე დიოდნენ ამ მინაზე ჩემთვის განკუთვნილი წლები. ჩემმა დრომ საფლობისკენ გაკვეთა გზები. ჩემი სიტყვა ჯალათის მამხილებლად იქცა. მე ბევრი არაფერი მინდოდა. მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერნი უჩემოდ საკუთარ თავში უფრო მეტად დარწმუნებულები იქნებოდნენ. ასე დიოდნენ ამ მინაზე ჩემთვის განკუთვნილი წლები.

მე თანდათან გავხდი ძალშეზღუდული. დიდ მანძილზე გავიდნენ ჩემი განზახულობანი, რაც საამკარაოდ იქნა ჩენილი, მაგრამ ჩემთვის გამოდგა ხელშეუხებელი.

3

ო, თქვენ ნაკადებიდან ამოტივტივებული ნორჩებო, რომლებიც გვშთანთქავთ ჩვენ, ჩვენზე საუბრისას გახსოვდეთ ჩვენი სისუსტეები და ჩვენი პირქუში



დრო,  
რომლებიც თქვენ აგცდათ.

ჩვენ მივაბიჯებდით. ჩვენ ფეხსაცმლებივით ქვეყნებს ვიცვლიდით.  
ჩვენ კლასობრივი ომის ქარცეცხლში გავიარეთ და სასონარკვეთით  
ვიყავით გაგუდული.  
ჩვენ უსამართლობები გველობებოდა ყველგან.  
ჩვენ ამის გამო, ვერ დავინახეთ, ვინმე რომ ყოფილიყო აღშფოთებული.  
ამასთან ერთად ვიცოდით ჩვენ,  
უნამუსობის მიმართ სიძულვილიც  
ამახინჯებდა ნაკვეთებს.  
უსამართლობის წინააღმდეგ რისხვასაც  
გამოუნვევია ხშირად ხროტინი. ვაი, რომ  
ჩვენ, საყოველთაო სითბო-სამართლიანობის მქადაგებლები,  
თვითონ ვერ გავხდით სამართლიანები.

მაგრამ როცა დრო მოვა და ადამიანი  
გახდება ადამიანის მეგობარი,  
მაშინ ჩვენკენ გამოიხედეთ თქვენ  
შემწყნარებლურად.



**ДОБИТЬСЯ ДАЛИ**

Этому зову уже не внемлю –  
Пьяных ночей колхидских пиршеств,  
Я отправляюсь к вершинам Дали,  
Чтоб благосклонности Дали добиться.

Не устоит предо мною крепость,  
Не утрашусь всех Девов – добытчик,  
Вот везу я уже в Анаклия  
Златовласую эту добычу.

Снял дождевое с неё облаченье.  
Пламень языческий ложе сжигает.  
Заповедное моё рвенье  
Исполненьем пьянит желаний.

Ведь вернулся к тебе с победой –  
Синь ночей тех колхидских пиршеств.  
Что ж, с сражённого перстью Дали,  
Ты слезу из меня истогнешь.

От неё мои шрамы и раны,  
А не от сатаны. Не от фурий.  
Ведь воде меня Дали предала,  
И к тебе послала с Ингури.

**ВЧЕРА ПАСТУХИ...**

Когда солнце мой двор обустроит,  
Я не буду его поживой,  
С пастухами на летних пастбищах  
Облаков дою тёплое вымя.

Склон в безмолвье хранит меня в памяти,  
В скал тенетах укрою лик я,  
С пастухами отары дождей  
Я гоню на небесный выгон.

Я своей покорился судьбе,  
К ней влеку я мысли и веянья,  
Позапрошлогоднего снега  
С пастухами я слышал бляенья.

Что ж поделать? – И я поклонюсь  
Тем владыкам охоты, втуне,  
Пастухи дали мне остудить  
Накануне, в траве, кровь турью.

Одолело, – как мир взор ослабил,  
Всех желаний, янтарных, приволье,  
Пастухи вновь с твоей равнины  
Увлекли меня в мои горы.

**ДЖЕМАЛ ШОНИЯ**

*Перевела Этери Агафонова*



**ЗВИАДАУРИ**

Да, я, пожалуй, не Звиадаури,  
Не умерщвлен мной лезгин или кистинец,  
И моих жил трепетанье и грохот  
Не укрощали мечом, во мщенье.

Знаю, кто враг. Но не окроплял  
Кровью ничьей персти и длани,  
И одному только богу вверял  
Арфу свою и души возгоранье.

Да, я, пожалуй, не Звиадаури,  
В ордене рыцарском я не воитель.  
Но, если враг мою землю возглаждет,  
Знаю и я, как с ним скреститься.

И коли враг предаст поруганью  
Имя моё, и кров – пепелищу,  
Пред мертвецами, в болотной жиже  
Их увязая, склониться прикажет,

Я повторю, вслед за Звиадаури,  
Эти слова, в неистовой раже:  
Смерть – это праздник,  
Псам мертвецы ваши, вороги-враже.

## ДОЖДЬ НА ПЕПЕЛИЩЕ

Сверкнёт, а затем загремит,  
Небеса прольются потоками.  
Души предков уже не пребудут  
Впредь, в безмолвьи, объаты дремотою.

Сообразно, земля и небо  
Темноте той вверяют братство.  
Отмолчаться душа не сможет,  
Когда кости в земле шевелятся.

И опять просвистела пуля,  
Рухнул дом и обрушилась кровля.  
Здесь и мелкий дождь во спасенье,  
Даже тот, тревогою полон.

Облака мчат, лишившись спуда,  
Бусы слёз с нитей молний срываются.  
Не свободны теперь от обузы,  
Прежних тёплых дождей пристанища.

Солнце, вот, поди, вновь окутано  
Смрадным дымом парчи искусной,  
И порожнее мёртвое облако  
Над своею тенью нависло.

## НЕ ХОДИ ТУДА

Не ходи туда, Бога ради,  
Тёмным ветрам тем доверяя.  
Там собрались во множестве Каджи,  
Землю сжигают и воздух варят.

Паводок туч там учащён,  
Дёгтя потоки с неба сливаются.  
Бросят тебя в кипящий котёл,  
Даже костей твоих не останется.

Лучше тебе призвать во спасенье  
Заступ могильщика, верный поборам.  
Тот поглотит тебя там живьём,  
Кто отравил всё, что так тебе дорого.

Пусть же тебя не манят прежних дней  
И парусов, и ветров устои;  
Ведь и не стоит теперь умирать  
Там, где и жизнь ничего не стоит;

Пребывая теперь в этом круге  
Хлеба тёплого, вин своих славных,  
Чтоб в потоке твоих раздумий  
Свою мельницу враг не ставил.

## НЕБЕСНЫЙ ВЕРДИКТ

Посылают земле заснеженной  
Небеса жёлтых листьев шорохи.  
И поскольку листья уставшие,  
Их сгребти ты в кучи и ворохи.

В тех посланьях, тревогой полных,  
Знаки трепета, скола, стенанья.  
О, моя дорогая, подобные  
Письма издавна к нам посылали.

Но затворы усилием не сдвинуть  
Вышних врат, с них мир озирая;  
Небеса не примут бескрылых  
И уставших, земле вверяя.

Лист опал. С ним былых теней  
Скорбь людская трепещет на дыбе.  
Мы, как лист тот, уходим в землю,  
И небесный вердикт на нас выбит.

\* \* \*

Асхи тёплый ветерок –  
Баловень судьбы,  
В оду Домны Липартелиани  
Входит и балует.

Благодатный на молитвы  
Асхи ветр балует,  
Домны Липартелиани  
Внуков расцелует.

Ветерок желанный Асхи  
В миг один обвеет  
Домны Липартелиани  
Милую деревню.

Зуби хвалит и Лечхуми,  
Ветер, завевая,  
Над домами косы дыма  
Носит, расплетая.

Цвета гор и цвета неба  
В Асхи ветр летает,  
Домны Липартелиани  
Землю воспевают.

**ВИШНЁВОЕ ДЕРЕВО**

Тень благая вишнёвого дерева  
Бризом, зефиром прокравшись, скользнула,  
Платьем, скинутым с тела женщиной,  
Перетекает со спинки стула.

Женщина в комнату вслед возвратилась,  
– Благоухает тело нагое,  
И молчаливо она облачилась  
В платье то призрачное, дорогое.

Утренний луч, соскользнув со стула,  
Полнит кувшины и воздух колышет.  
До опьянения вдыхаешь запах  
Женщины и цветущей вишни.

Так из дома, весной влеком,  
Выйдешь в мир, где цветов изобилье.  
Смотришь, – видишь вишнёвое дерево,  
Облачённое в платье любимой.

**ПРИГЛАШАЮ**

Прежних тревог мне не забыть,  
Тех, что даже во сне обузой.  
Давит ключицы, метёт и крошит  
Вкруг пустота, а не тяжесть груза.

Крыл мне уже не обрести,  
И небеса мне не кажут лика.  
Да, я солёные камни таскал,  
Но не похож был, всё ж, на Сизифа.

Хоть в беспримерных муках влачил  
С рьяным упорством тревоги и беды,  
Вехи вершинные я отстоял  
У этих гор войной и победой.

Озирает теперь с высоты  
Солнце те обретения и клады.  
Я и вас к себе приглашаю  
На преодоления праздник.





# МОРГАНА

ЭТЕРИ АГАРОНОВА

Из маленькой, граничащей с Италией, альпийской французской деревушки, в сопровождении осла и мула вышла Моргана и отправилась в своё путешествие. Я видела её дважды и подивилась её оптимизму и улыбочивости (в этом мы с ней схожи), расхожи лишь в упорстве, хотя в её возрасте и я отваживалась на подобное – в мечтах и грёзах... А Моргана – вьявь... Вот она передо мной – молодая француженка – «magnifique». Она играла на белоснежном баяне сладкую, мелодичную музыку – французскую; потом «Белачао» и «Аванагила», при этом явно позируя собравшимся кругом и включившим свои камеры, откидывала голову, выставляя грудь, твёрдо опираясь на ступни. Так она сидела на одолженном здесь же низком табурете, в полосатых, в голубую с чёрной в широких полосах – колготках. Поверх них на ней были хлопчатобумажные шорты. Ноги – длинные и стройные. Тонкие черты её улыбочивого лица с голубыми глазами располагали. Такой я увидела её; в сиреневой шёлковой чалме на голове, завязанной на затылке тугим узлом и свисающей до пояса, с пирсингом в ноздре.

В следующую минуту всё внимание было приковано к её партнёру – молодому парню растафари, с дредами, с крупными чертами, отчаянно дувшему в диджиридо. Была у него и дайра; и на ней он аккомпанировал ей; с ними была женщина – Деви. «Meine muttersprache ist Deutsch», объяснила она и добавила по-грузински: «დედა – გერმანია, მამა – იტალია»; и показала на своё с чуть раскосыми глазами лицо, прикоснувшись к вискам как-бы растягивающим движением. Прохожие останавливались; толпа нарастала; завязалась беседа на французском, английском, грузинском:

– დედა?

– დედა ჩამოვა ჩემს სახახვად, – пояснила Моргана по-грузински.

– How long have you been here?

– Two years – прозвучал ответ (она имела в



виду продолжительность своего пребывания здесь.

Это было поздней осенью. Я живу в центре города; я шла своим привычным путём некоторое время спустя. По дороге опять прошелестела осина, утратившая серебро своей листвы... Высокие, с уже пожухлой кроной клёны и голуби, воркующие своим неизменным обрядом.

Но как быстро меняются краски... И вот уже прошла осень с её холодами, хлябью и ворохом листьев на мостовых. Пролетели клином журавли; и пора бы и зимней тишине и степенности сменить летнее и осеннее многоголосье... Так заступает в Тбилиси белый цвет. Но белизна здесь обманчива. Она покрывает пуховым одеялом Мтацминду и Лоткинскую гору, а потом как бы исподволь открадывается, пятясь...

... Бело. А солнце уже золотит небосклон; лазурь... и белыми росчерками перистые облака, и клубами, как снежные комья – кучевые.

... И вновь трансформации и игры, и цвета, и света: перво-наперво белизна сходит с крыш, обнажая черепицы; чернеет асфальт... И вот уже текут по долинам вешние воды.

... Мы встретили её в начале марта. На деревьях уже набухли почки. А миндаль уже неделю как цвёл. Солнце... Температура почти летняя. Весенняя истома в воздухе... Парит аэростат... И вдруг звуки баяна; на этот раз русская мелодия: «Ты да не боли, голова. Ой да загулял парнишка молодой; в красной рубашке да весёленький такой».

Ошибки не было никакой. Вот он – её белый

